ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali-Taoba

„ახალი თაობა“+ ვაჟა-ფშაველა 8 ლარი 11 ივლისიდან 25 ივლისამდე




ხუთშაბათი, 21 ივლისი, 2011 №171 (5552) ფასი: 30 თეთრი

# შალვა ხაჭაპურიძე: უგულავა, მერაბიშვილი და ბოკერია სააკაშვილის წინააღმდეგ შეთქმულებას ამზადებენ!

გვ.3



## პატრიარქის მოწინააღმდეგე სასულიერო პირებს ამ დღეებში ვამხელ!

გვ.6



შსს საპატრიარქოზე ზეწოლას ახორციელებს

## რუსეთი „ჯავახქს“ საქართველოს წინააღმდეგ გამოიყენებს

გვ.5

## სომხები გარეგინ II-ის გადადგომას ითხოვენ

გვ.3





## არ გადაიხადოთ „მარშრუტკაში“ 80 თეთრი!

გვ.2

მგზავრობა სააკაშვილმა და მისმა მოლარე შარანგიამ გააძვირეს

## საქართველოს ნატოში არავინ მიიღებს

გვ.7



მერაბიშვილმა აბდალაძესთან დაკავშირებით შეცდომა დაუშვა

## ისრაელმა საქართველო სახიფათო ქვეყნების რიცხვში შეიყვანა

გვ.4

3090

sms განცხადებები „ახალ თაობაში“

თუ გსურთ ბინის, ავტომანქანის ან სხვა რამის ყიდვა ან გაყიდვა, აკრიფეთ თქვენს მობილურ ტელეფონში შესაბამისი ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე **3090** მაგთიდან და ჯეოსელიდან.

თქვენი განცხადება გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი თაობის“ უახლოეს ნომერში.

განცხადებები, რომლებშიც საკუთარი ტელეფონის ნომერი არ იქნება, არ დაიბეჭდება!

1 sms-ის ფასია 50 თეთრი.



## ნიკა რურუა: ოტია იოსელიანის დაკრძალვაზე მისასვლელად არ მეცალა

გვ.2



## ხელისუფლება არჩევნებზე დაისჯება

გვ.8

ISSN 1987-9385

**9** ვინ ზრდის მგზავრობის საფასურს?

**2** საპატრიარქოსთან გიორგი აბდალაძის სოლიდარობის აქცია გაიმართება

**9** მგზავრობის გაძვირებამ დეპუტატებიც აღაშფოთა

**2** ზუგდიდის საკრებულოს წევრებს მედიასთან სატელეფონო საუბრები აეკრძალათ

## საპატრიარქოსთან გიორგი აბდალაძის სოლიდარობის აქცია გაიმართება

დღეს საპატრიარქოსთან ჟურნალისტები და საზოგადოების წარმომადგენლები დაკავებული ფოტორეპორტიორის გიორგი აბდალაძის სოლიდარობის აქციას გამართავენ.

როგორც „ალია ჰოლდინგის" წარმომადგენელმა დიმიტრი ტიკარაძემ „მედიანიუსს„ განუცხადა, აქციაზე შეკრებილი ჟურნალისტები სანთლებით ხელში მის უწმინდესობას ილია მეორეს სთხოვენ, გაითვალისწინოს დაკავებული გიორგი აბდალაძის თხოვნა და თავდებობით გათავისუფლებაზე უშუამდგომლოს.

მისი თქმით, დღესვე პატრიარქს აღნიშნული თხოვნა წერილობითაც გადაეგზავნება.

შეგახსენებთ, რომ ჯაშუშობის ბრალდებით დაკავებულმა ფოტორეპორტიორმა გიორგი აბდალაძემ რამდენიმე დღის წინ პატრიარქს მედიის საშუალებით თავდებით განთავისუფლებაზე შუამდგომლობისათვის თხოვნით მიმართა.

**მედიანიუსი**

## ზუგდიდის საკრებულოს წევრებს მედიასთან სატელეფონო საუბრები აეკრძალათ

ზუგდიდის საკრებულოს აპარატის უფროსმა თეიმურაზ ბასილაიამ საკრებულოს ყველა თანამშრომელს მედიასთან სატელეფონო საუბრები და კომენტარების ტელეფონით გაკეთება აუკრძალა.

ეს განცხადება აპარატის უფროსმა გუშინ, საკრებულოს სხდომის დასრულების შემდეგ, ჟურნალისტებთან და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან შეხვედრისას გააკეთა.

საკრებულოს აპარატის უფროსს გადაწყვეტილების მიზეზი არ დაუკონკრეტებია. მისი თქმით, ამიერიდან საკრებულოს სხდომის გამართვისა და განსახილველი საკითხების შესახებ ინფორმაცია საინფორმაციო დაფაზე და საკრებულოს ვებ-გვერდზე, პრესრელიზების გრაფაში ორი დღით ადრე განთავსდება.

საკრებულოს დღევანდელ სხდომას 6 ჟურნალისტი და 4 არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი ესწრებოდა.

**ინტერპრესნიუსი**

## ნიკა რურუა: ოტია იოსელიანის დაკრძალვაზე მისასვლელად არ მეცალა



საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრ ნიკა რურუას არ რცხვენია, რომ სახელოვან მწერალ ოტია იოსელიანის დაკრძალვას არ დაესწრო.

როგორც მან ჟურნალისტებს განუცხადა, იგი სასაფლაოზე სიარულის ვალდებულებას არ აღიარებს. ჟურნალისტები დაინტერესდნენ, იყო თუ არა იგი იოსელიანის დასაფლავებაზე.

— არის ასეთი ვალდებულება, რომ ვინმეს დაკრძალვაზე უნდა იყო? პირადად მე არ მეცალა და ძალიან გთხოვთ, სულელურ ინტრიგებს ნუ ეძებთ. არ მრცხვენია, რომ სადმე არ ვიყავი და სასაფლაოზე სიარულის ვალდებულებას არ ვაღიარებ, — აღნიშნა ნიკა რურუამ.

მისი ინფორმაციით, კულტურის სამინისტროს ოტია იოსელიანის დაკრძალვისათვის საჭირო ხარჯი არ გაუღია. ეს ადგილობრივი მუნიციპალიტეტის საქმეა. რურუამ ჟურნალისტებს ამ ინფორმაციის გადამოწმება სწორედ ადგილობრივ მუნიციპალიტეტში ურჩია.

**მედიანიუსი**

# არ გადაიხადოთ „მარშრუტკაში" 80 თეთრი!

## მგზავრობა სააკაშვილმა და მისმა მოლარე შარანგიამ გაა ვირეს

შორენა კოწოწაშვილი

ლეიბორისტული პარტია თბილისში სამარშრუტო მიკროავტობუსებზე მგზავრობის ფასის 80 თეთრამდე გაძვირებას აპროტესტებს და მოსახლეობას მოუწოდებს, პროტესტის ნიშნად არ გადაიხადონ ხელისუფლების ბიზნეს-ინტრესებიდან გამომდინარე გაძვირებული მგზავრობის საფასური.

ლეიბორისტები მგზავრობის გაძვირებას პრეზიდენტისა და დედაქალაქის მერის გიგი უგულავას გადაწყვეტილებას უკავშირებენ და აცხადებენ, რომ ამ გზით უგულავა და მისი ბიზნეს-პარტნიორი შარანგია მილიონებს იშოვიან.

— სააკაშვილი და მისი მოლარე, ბიზნესმენი შარანგია, არ კმაყოფილდებიან იმით, რომ სულ რამდენიმე დღის წინ თბილისელებს სამარშრუტო ტაქსებზე გადასახადი 80 თეთრამდე გაუძვირეს. მათ გადაწყვეტილი აქვთ, 1 სექტემბრისთვის მგზავრობის ღირებულება სამარშრუტო ტაქსებზე 1 ლარი გახადონ, — აცხადებს ლეიბორისტული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი პაატა ჯიბლაძე.

ოპოზიციურ პარტიაში მიაჩნიათ, რომ ხელისუფლებას თბილისი და თბილისელები გულზე არ ეხატება. ხალხი ამ ხელისუფლებას მხოლოდ მილიონების საკეთებლად სჭირდება.

— საინტერესოა, რამდენ მილიონს ელოდება წილის სახით თავის კაბინეტში გასუსული ცრუ სტიქაროსანი, ეკლესიის მტერი, დედაქალაქის მერი გიგი უგულავა, რომელიც თბილისელებს არწმუნებდა, რომ ახალი მიკროავტობუსების შემოყვანა დედაქალაქისა და მისი სტუმრების უსაფრთხო, ცივილიზებული მგზავრობისათვის იგეგმებოდა და მას ტარიფის ზრდასთან არავითარი კავშირი არ ჰქონდა, რაც, რა თქმა უნდა, მისი მორიგი თაღლითობა აღმოჩნდა, — განაცხადა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე პაატა ჯიბლაძემ და დედაქალაქის მოსახლეობას გაზრდილი ტარიფის გაპროტესტება ურჩია.

— მოვუწოდებ თბილისელებს, გამოვაცხადოთ ბოიკოტი და არ გადაიხადონ სამარშრუტო მიკროავტობუსებში მგზავრობის ზედმეტი ღირებულება, — განაცხადა პაატა ჯიბლაძემ და საზოგადოებას შეახსენა, რომ ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ აფრთხილებდა ლეიბორისტული პარტია მოსახლეობას, რომ იგეგმებოდა ერთი მონოპოლისტის ჩამოყალიბება დედაქალაქში, რომლის უკანაც იდგნენ სააკაშვილი, მისი ბიზნესმენი შარანგია, ისევე, როგორც ამ მონოპოლისტის ჩამოყალიბებაში, მიკროავტობუსები მაქვს მხედველობაში, რა თქმა უნდა, ჩადებული იყო გიგი უგულავას ინტერესები.

— ჩვენ მაშინვე ვამბობდით, რომ მონოპოლისტის ჩამოყალიბება ამ ბაზარზე გამოიწვევდა მგზავრობის ღირებულების გაზრდას, ისევე, როგორც ეს გამოიწვევდა შესაბამისი სამუშაო ადგილების დაკარგვას, — აღნიშნა ჯიბლაძემ და იქვე დასძინა: „უამრავი წვრილი გადამზიდავი ფირმა იყო დაკავებული მგზავრების გადაყვანით. დღეს ეს 4 კომპანია, რომლებიც „თბილისის ავტობუსშია" გაერთიანებული, მონოპოლისტად არის ქცეული".

გუშინვე შრომის პარტიის წარმომადგენელმა ჟურნალისტებთან დაახლოებით გაშიფრა ის თანხები, რომლებსაც ხელისუფლების პირველი პირები მგზავრობის ღირებულების გაძვირებით ელოდებიან.

— უნდა ითქვას ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი: ამ ვაჟბატონმა მიხეილ სააკაშვილმა თავის ბიზნესმენ შარანგიასთან და დედაქალაქის მერთან ერთად გადაწყვიტა, რომ ეს ბიზნესი გააკეთოს თბილისელების, თბილისის სტუმრებისა და იმ მძღოლების ხარჯზე, რომლებსაც ვითომ დაასაქმებენ. ახლა ვნახოთ, რამხელა თანხებს ეთამაშებიან სააკაშვილი, შარანგია და უგულავა. მათ რომ თვლა კარგად იციან, ამაში არაერთხელ დავრწმუნდით. იცით, რომ ყოველთვიური საიჯარო ქირა განსაზღვრული აქვთ 463 ევროს ოდენობით. თქვენ იცით, რომ დედაქალაქში მოძრაობდა და ეს ციფრი, ალბათ, გაიზრდება, 450 მიკროავტობუსი. თუ ამ 463 ევროს გადავამრავლებთ 4500-ზე, მივიღებთ 2 483 000 ევროს. ამას გავამრავლებთ



12 თვეზე და შემდეგ 7 წელზე, ვინაიდან სწორედ 7 წლის განმავლობაში უნდა იმოძრაონ ამ მიკროავტობუსებმა, რომლებიც შემდგომ თურმე უსასყიდლოდ გადაეცემათ მძღოლებს. საერთო ჯამში, ეს ურტყამს 175 მლნ ევროს. მეორე: მარშრუტზე მოძრაობის ღირებულება დღეში განსაზღვრული აქვთ 10 ლარის ოდენობით. როგორც ინფორმაციაა და როგორც ვმბობენ, ეს შეიძლება 20 ლარამდე გაიზარდოს. მაგრამ, დღევანდელი 10 ლარით რომ ავიღოთ, 4500 მიკროავტობუსი გამრავლებული 10 ლარზე, 45 000. 30 სამუშაო დღეზე — 1 350 000; 12 თვეზე — ეს არის 1 620 000 ლარი. ეს კიდევ გამრავლებული 7 წელზე — საერთო ჯამში, ვიღებთ 113 785 000 ლარს. დღევანდელი კურსით თუ ვიანგარიშებთ, ეს გამოდის დაახლოებით 49,5 მლნ ევრო, — განაცხადა პაატა ჯიბლაძემ.

როგორც პრესკონფერენციაზე ითქვა, მიკროავტობუსის მეპატრონის საბანკო ანგარიშზე გარანტიის სახით მძღოლმა უნდა შეიტანოს 500 ევრო, რომელსაც 7 წლის განმავლობაში ატრიალებს „თბილისის ავტობუსი" კი არა, მიხეილ სააკაშვილი, შარანგია და უგულავა. ეს თანხა, პაატა ჯიბლაძის თქმით, აღწევს 2 250 000 ევროს. ეს უნდა გავამრავლოთ 7 წელზე და გამოდის 15 750 000 ევროს.

— ეს თანხა, საერთო ჯამში, ჩვენ, თბილისელებმა, რომლებიც ვიმგზავრებთ მიკროავტობუსით, უნდა გადავიხადოთ ამ ფასებიდან გამომდინარე. საერთო ჯამში კი უნდა გადავიხადოთ დაახლოებით 552, 5 მლნ ლარი. აი, ეს არის მთელი ფილოსოფია ხალხზე ზრუნვისა, ჩვენი კომფორტული მგზავრობისა და ა.შ. ეს არის უგულავას დაპირება თბილისელებისა და მისი სტუმრებისთვის, რომ ეს იყო ლეიბორისტების მიერ აგორებული პიარი, არავითარი მგზავრობის ღირებულების გაზრდა არ იგეგმებოდა და ა.შ., — აღნიშნა ჯიბლაძემ. მისი თქმით, გიგი უგულავა გვამადლის, რომ თურმე სოცილურად დაუცველი მოქალაქეები არ გადაიხდიან მგზავრობის სრულ გადასახადს და დაფინანსდებიან ბიუჯეტიდან. ნათელაშვილის თანაგუნდელი ფიქრობს, რომ ამ გზით უგულავა და ეს ხელისუფლება კიდევ დამატებით თანხებს იშოვიან.

— ბატონო უგულავა, კი მაგრამ, რა უნდა ქნან იმ ადამიანებმა, რომლებსაც აქვთ 100, 200 ლარი ხელფასი და თქვენი, ნაცმოძრაობის აქტივისტების მიერ არ არიან შეყვანილი სიციალურად დაუცველთა სიაში? ამ ადამიანებს წირავთ? — განაცხადა ბოლოს ჯიბლაძემ და იმედი დაიტოვა, რომ თბილისელები გაძვირებულ გადასახადს მიკროავტობუსებში არ გადაიხდიან.

## საქართველო ნაკისრ ვალდებულებებს არ ასრულებს

სომხეთის ანალიტიკური ცენტრის — „ალტერნატივა" თავმჯდომარე, ეკონომიკის ექსპერტი თათულ მანასერიანი საქართველოს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციისაგან (მსო) აღებული ვალდებულებების შეუსრულებლობაში ადანაშაულებს იუწყება „ნოვოსტი არმენიი".

მანასერიანის თქმით, საქართველოს ტერიტორიის გავლით ტრანზიტი სომხეთს აზერბაიჯანზე ორჯერ ძვირი უჯდება. საქართველო, როგორც მსო-ს წევრი დისკრიმინაციულ პოლიტიკას აწარმოებს მსო-ს მეორე წევრის, სომხეთის მიმართ. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ აზერბაიჯანი მსო-ს წევრი არ არის.

— ასეთი დისკრიმინაციული პოლიტიკით მსო-ს მეორე წევრის მიმართ საქართველო არღვევს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წინაშე ნაკისრ ვალდებულებებს, — განაცხადა ექსპერტმა.

**მედიანიუსი**

## გიორგი ცანავას წალენჯიხაში დაკრძალავენ

პარტია „თავისუფალი საქართველოს" თავმჯდომარის მოადგილეს გიორგი (გუგე) ცანავას 23 ივლისს წალენჯიხაში დაკრძალავენ.

როგორც „მედიანიუსს" პარტიიდან აცნობეს ცანავას პანაშვიდები 21-22 ივლისს გაიმართება

გიორგი ცანავა 18 ივლისს, გამთენიისას გულის შეტევით გარდაიცვალა

**მედიანიუსი**

## „ექვსიანი" აგვისტოდან მილიონი მხარდამჭერის მობილიზებას იწყებს



ოპოზიციური „ექვსიანი" აგვისტოდან მილიონი მხარდამჭერის მობილიზებისთვის კამპანიას რეგიონებიდან დაიწყებს.

ამის შესახებ „პირველს" „ექვსიანის" ერთ-ერთმა ლიდერმა ზვიად ძიძიგურმა განუცხადა.

— ჩვენ არა მხოლოდ საარჩევნო თემებით შემოვიფარგლებით, არამედ ჩვენს კამპანიას სხვადასხვა პოლიტიკურ და სოციალურ თემებზე მივმართავთ. აგვისტოში რაიონებში შეხვედრებს დავიწყებთ. ამ ეტაპზე ჩვენს პოზიციებს ვაჯერებთ და ჩვენი საქმიანობის მომავალ საპროგრამო დებულებებზე ვმუშაობთ. ჩვენ ვიწყებთ მილიონი ხმისთვის კამპანიას, რათა ქვეყანაში არსებული სიტუაცია შევცვალოთ. შემოდგომის დადგომას არ ველოდებით და ამ პროცესს ზაფხულშივე დავიწყებთ, — განაცხადა ძიძიგურმა.

რაც შეეხება კამპანიისთვის საჭირო ფინანსურ რესურსს, მისი თქმით, ეს პარტიების საბიუჯეტო დაფინანსებიდან გამოინახება, თუმცა „ექვსიანი" იმედოვნებს, რომ ფინანსურ რესურსს კამპანიაში ჩართული ბიზნესმენებიც გამოყოფენ.

**პირველი**

## სოფლის მეურნეობის მინისტრისათვის შაქრის გაძვირების მიზეზი უცნობია

სოფლის მეურნეობის მინისტრ ბაკურ კვეზერელს შაქრის გაძვირების მიზეზზე პასუხის გაცემა უჭირს.

„მედიანიუსის" კითხვაზე, რამ განაპირობა შაქრის გაძვირება, მინისტრს პასუხი არ აღმოაჩნდა და მხოლოდ არ ვიცის„ დასჯერდა. მან ასევე უპასუხოდ დატოვა შეკითხვა იმაზე, თუ შაქრის რა მარაგი არსებობს ქვეყანაში.

შეგახსენებთ, რომ ერთი კილოგრამი შაქრის ფასი საცალო ქსელში 40 თეთრით გაიზარდა.

**მედიანიუსი**

## ნიკა გილაური: მომავალი წელი სოფლის მეურნეობისათვის გარდამტეხი იქნება

საქართველოს პრემიერ-მინისტრ ნიკა გილაურის განცხადებით, მომავალი წელი სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის გარდამტეხი იქნება. მან ეს განცხადება გუშინ მთავრობის სხდომაზე გააკეთა, სადაც ხორბლისა და სიმინდის პროგრამების მიმდინარეობით დაინტერესდა და სათანადო ინფორმაცია სოფლის მეურნეობის მინისტრ ბაკურ კვეზერელისაგან მოისმინა.

მისი განცხადებით, პირველი შედეგები უკვე ცნობილია და მათზე დაყრდნობით იმის თქმა შეიძლება, რომ ეს პროგრამები წარმატებულია.

ბაკურ კვეზერელის ინფორმაციით, მიმდინარე წელს საქართველო მეზობელ ქვეყნებში საექსპორტოდ, სავარაუდოდ, 100 000 ტონა სიმინდის გატანას შეძლებს. ამ ეტაპზე არსებული მონაცემებით სიმინდის საშუალო მოსავლიანობა გასამმაგებული იქნება. რაც შეეხება ხორბალს, კახეთში მისი საშუალო მოსავლიანობა გაორმაგებულია.

ნიკა გილაურის განცხადებით, მთავრობის მიზანი სწორედ მოსავლიანობის მნიშვნელოვანი ზრდა იყო.

— სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადავდგით. ამ მხრივ მომავალი წელი აღნიშნული სექტორისათვის გარდამტეხი იქნება, — აღნიშნა ნიკა გილაურმა.

**მედიანიუსი**

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 84-92-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოჩაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი, №89/24, თბილქალაქპროექტის მაღლივი კორპუსი, მე-11 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 95-25-89
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.
რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია.
სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია.

# სომხები გარეგინ II-ის გადადგომას ითხოვენ

თეა მარხვაძე

**სომხეთში გარეგინ II-ის საწინააღმდეგო განწყობა დღითიდღე იზრდება. ადგილობრივ გამოცემებში სომეხთა კათალიკოსის წინააღმდეგ ერთმანეთის მიყოლებით დაიბეჭდა სტატიები. ამჯერად გარეგინ მეორის საწინააღმდეგო კამპანია სოციალურ ქსელ ფეისბუქზეც დაიწყო.**



როგორც ინტერნეტპორტალი „პანარმენიან.ნეტ" იუწყება, სომეხი საზოგადოება სრულიად სომხების კათალიკოსის გარეგინ მეორის გადადგომას ითხოვს.

ინტერნეტპორტალის ინფორმაციით, სოციალური ქსელ ფეისბუქში შექმნილია სპეციალური ჯგუფი. ამ ჯგუფს ასე ჰქვია: „ჩვენ ვითხოვთ კათალიკოსის გადადგომას".

იმ მომენტში, როცა „პანარმენიან.ნეტ" ამ ინფორმაციას ავრცელებდა, ჯგუფში 67 ადამიანი იყო გაწევრიანებული.

ასევე, გვერდის ავტორებმა სოციალური ქსელის მომხმარებლებს დაუსვეს კითხვა: „უნდა განიკვეთოს თუ არა სრულიად სომხების კათალიკოსი გარეგინ მეორე სომხეთის სამოციქულო ეკლესიიდან?"

ამ კითხვას 1560 მომხმარებელმა დადებითი პასუხი გასცა, უარყოფითი პასუხი მხოლოდ 221 ადამიანს ჰქონდა.

გვერდის შექმნისა და გარეგინზე განრისხების მიზეზი სომეხთა კათალიკოსის მიერ გაკეთებული განცხადება გახდა. მან თქვა, რომ მთებში მდებარე ეკლესიები არ აღელვებს.

სომეხთა კათალიკოსმა ეს განცხადება სანაჰინის სამონასტრო კომპლექსის აღდგენის საკითხზე საუბრისას გააკეთა.

ამ განცხადებას სომხურ საზოგადოებაში მართლაც სამართლიანი პროტესტი მოჰყვა, რადგანაც წარმოუდგენელია კათალიკოსს სამონასტრო კომპლექსის ბედი არ აღელვებდეს.

თანაც იმ კათალიკოსს, რომელიც ამტკიცებს, რომ სომხური ეკლესიების ბედი აღელვებს. ისე, ეს გარეგინი არ იყო, მსოფლიოს სომხებს საქართველოს საელჩოებთან აქციების გამართვაზე კურთხევა რომ მისცა. და იმიტომ, რომ თურმე ჩვენ მიტაცებული გვაქვს სომხური ეკლესიები.

მოგეხსენებათ, რომ სომხური მხარე ამ ეტაპისთვის ექვსი ეკლესიის გადაცემას გვთხოვს. აქედან 5 თბილისში მდებარეობს, ერთი კი ახალციხეში.

საინტერესო იცით რა არის, თუ თავისსავე ტერიტორიაზე მდებარე სამონასტრო კომპლექსი არ ადარდებს, ლესელიძის ქუჩაზე მდებარე ეკლესია რატომ ანერვიულებს? ერთ-ერთი სადავო ეკლესია სწორედ ამ ქუჩაზე მდებარებს.

სადავო ეკლესიებზე იყო სასაუბროდ ჩამოსული ის საქართველოში. ამ ეკლესიების გადაცემა მან საკმაოდ უხეში ფორმით მოითხოვა. თუმცა საპატრიარქოში არაფერი გაუვიდა. ჩვენმა პატრიარქმა საკმაოდ ნათლად განუმარტა, რომ სომხურ მხარესაც აქვს გადმოსაცემი ქართული ეკლესიები.

როგორც ბოროტი ხმები ამბობენ, გარეგინმა რალაცეები ჩააწყო ხელისუფლებასთან. ამის გამო საქართველოს საერო და სასულიერო ხელისუფლება კინაღამ ერთმანეთს დაეტაკა. გარეგინს კი თურმე თავის ტერიტორიაზე მდებარე, მართლაც სომხური წარმოშობის სამონასტრო კომპლექსი არ ადარდებს.

საქართველოში მის ვიზიტს იქაურ მედიაში უარყოფითი გამოხმაურება მოჰყვა. გამოცემამ „არავოტი" ის იმ უზრდელობისთვის გააკრიტიკა, რომელიც მან ჩვენს პატრიარქთან შეხვედრის დროს გამოიჩინა.

„არავოტი" აღშფოთდა, რომ ის ასაკით უფროს ილია II-ს შენობით ესაუბრებოდა. და თავი, როგორც რიგით მაფიოზს, ისე ეჭირა.

# მიხეილ სააკაშვილი პერუში ახლად არჩეული პრეზიდენტის ინაუგურაციას დაესწრება



საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი 28 ივლისს პერუში ახლად არჩეული პრეზიდენტის ოლანტი ჰუმალას ინაუგურაციაში მიიღებს მონაწილეობას — იუწყება „გრუზია ონლაინ".

ამის შესახებ ინფორმაციას პრეზიდენტის ადმინისტრაციაში არ ფლობენ. „მედიანიუსს" პრეზიდენტის პრესსპიკერი მანანა მანჯგალაძე ინფორმაციის გადამოწმებას დაჰპირდა, თუმცა შემდეგ მასთან დაკავშირება ველარ მოხერხდა.

„გრუზია ონლაინის" ინფორმაციით კი, ევროპის კონტინენტიდან ჰუმალას იანუგურაციას მხოლოდ სააკაშვილი და ესპანეთის პრინცი ფილიპი დაესწრებიან. ცერემონიალს დაესწრება აშშ-ს სახელმწიფო მდივანი ჰილარი კლინტონი, ასევე არგენტინის, ბრაზილიის, კოლუმბიის და ეკვადორის პირველი პირები. ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო პერუში ჩასვლას ვერ შეძლებს ვენესუელის ლიდერი უგო ჩავესი.

აღსანიშნავია, რომ პერუს პრეზიდენტს აფხაზეთის და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის ამღიარებელ ჩავესთან მეგობრული ურთიერთობა აკავშირებს. რამდენიმე დღის წინ იგი ბრალზილიის ერთ-ერთ კლინიკაში ვენესუელის ლიდერის სანახავადაც იყო ჩასული. მან ჩავესი „ძმად" მოიხსენია.

**მედიანიუსი**

# შალვა ხაჭაპურიძე: უგულავა, მერაბიშვილი და ბოკერია სააკაშვილის წინააღმდეგ შეთქმულებას ამზადებენ!

**„უგულავა — პრეზიდენტის სკამს, ბოკერია — ვანო მერაბიშვილის ადგილს, ადეიშვილი პრემიერ-მინისტრისას უმიზნებს, სააკაშვილს კი შეიძლება ციხეში ამოაყოფინონ თავი", — აცხადებს ხაჭაპურიძე. რა პროცესი დაიწყო და რას აპირებს ხაჭაპურიძე სექტემბერ-ოქტომბრიდან? „ახალი თაობა" „კანონი და სამართლიანობის" ლიდერს, ადვოკატ შალვა ხაჭაპურიძეს ესაუბრა. საუბარი დაკავებული ფოტორეპორტიორების თემით დავიწყეთ.**



ქეთი ხომერიკი

შალვა ხაჭაპურიძე:

— საადვოკატო საქმიანობასთან რომ არ გქონდეს საქმე, შეიძლება, მართლაც რაღაც იფიქრო ადამიანმა, მაგრამ, რადგან ყოველდღიური ურთიერთობა მაქვს ამ საქმიანობასთან, ბუნებრივია, ვიცი, ეს აღიარებები როგორ კეთდება — ეს არის ზეწოლის, შანტაჟის, მუქარის, გათავისუფლების შეპირების შედეგად მიღებული აღიარებები, ასევე ფსიქოლოგიური ზეწოლის შედეგადაც, რომელიც ათასგვარია. ესენია□ოჯახზე ზეწოლა, გაუპატიურების მუქარა, შუქების ჩართვა-გამორთვა, საკანში კრიმინალებთან ან ფსიქიკურად არანორმალურებთან მოთავსება, გასეირნების რეჟიმის დარღვევა, როდესაც ორგანიზმი გადადის არანორმალურ მდგომარეობაში, ფაქტობრივად, შეიძლება გადიოდეს კვირები და ადამიანს ველარ ეძინოს, ვერ იძინებდეს ან არ აძლევდნენ ამის საშუალებას და ა.შ. მარტო აღიარება, თუ იგი არ არის გამყარებული სხვა არაერთი უტყუარი მტკიცებულებით, არის სისულელე და გამამტყუნებელი განაჩენი ვერ დადგება. შეიძლება, გაგიჟდა ადამიანი და უბრალოდ აღიარებს რაღაცას. პირდაპირ გეტყვით, ფოტორეპორტიორები დააკავეს მხოლოდ ერთი მიზეზით — მათი მეშვეობით 26 მაისის ყველაზე მძაფრი კადრები გახდა მსოფლიოსთვის ცნობილი. სააკაშვილმა შეურაცხყოფად მიიღო ეს, რას ჰქვია, ჩემმა ფოტოგრაფმა, პრეზიდენტის ფოტოგრაფმა კი არა, რომლის მოვალეობაც არის, გადაიღოს სურათები, ჩემმა ფოტოგრაფმა როგორ გაბედა, გადაიღო სურათები და მერე ეს სურათები მთელ მსოფლიოს აჩვენაო. აი, ეს არის და ეს. პირად ანგარიშსწორებასთან გვაქვს საქმე. სააკაშვილის რეჟიმმა ნიღაბი ჩამოიხსნა, სააკაშვილმა, როგორც პოლიტიკოსმა, თავი ამოწურა, რაც ძალიან კარგად იცის და ამიტომ ის გადასულია იმაზე, რომ რაც შეიძლება მეტი სიამოვნება მიიღოს და ნაკლები დისკომფორტი შეიქმნას. ნელნელა მზადდება ხელისუფლების ბოკერია-უგულავასთვის გადაცემის პროცესი.

***— სააკაშვილთან შეთანხმებით მზადდება, ბატონო შალვა?***

— სააკაშვილთან შეთანხმებით — არა. სააკაშვილს ამერიკელები პირდაპირ ეუბნებიან, რომ წავიდეს, თუმცა, მიშას, რა თქმა უნდა, წასვლის სურვილი არ აქვს. ბოკერიას რაც შეეხება, გაიხსენეთ, ჯერ კიდევ როდის ვამბობდი, სადღაც ზაფხულიდან გააქტიურდება-მეთქი. შემოდგომიდან ეს პროცესები კიდევ უფრო მწვავე გახდება. თუ სააკაშვილი ამას ტკბილად, მშვიდად და წყნარად არ დათმობს, მაშინ ბოკერიას ჯგუფი უფრო აგრესიული გახდება და, არ არის გამორიცხული, ჩვენ შიდა პატარა გადატრიალების მომსწრენი გავხდეთ, ვიმეორებ, იმ შემთხვევაში, თუ სააკაშვილი ამას მშვიდობიანად არ დათმობს.

***— კონკრეტულად რომელ სკამს უმიზნებს ბოკერია და მისი გუნდი?***

— უგულავა — პრეზიდენტის სკამს, ბოკერია — ვანო მერაბიშვილის ადგილს, ადეიშვილი კი — პრემიერ-მინისტრისას.

***— და ქვეყნის ხერხემლად წოდებული მერაბიშვილი სად არის და რას აკეთებს ამ დროს?***

— მერაბიშვილი ჯერჯერობით სააკაშვილის გუნდშია და, ალბათ, დარჩება კიდეც იქ. დიახ, დარჩება, თუმცა, იმიტომ კი არა, რომ მას არ უნდა აქეთ, ამ ჯგუფში ყოფნა, არამედ იმიტომ, რომ ამ შემადგენლობას აღარ უნდა ვანო მერაბიშვილი, რადგან ის ბოლომდე დისკრედიტებულია. კი აჟღერებენ, რომ ვანოს სამინისტრო ასეთია და ისეთია, მაგრამ ... დააკვირდით, რა არის იმაზე იოლი, გაიხსენეთ ყვარყვარე, დოქსოპულო, თუ შენ გაძლევენ ამის უფლებას, რაც გინდა, გააკეთე. აგერ, შეგიძლია, მთელი თბილისი დააპატიმრო ამაღამ, თუ ჯარისკაცებისა და პოლიციელების დიდი რაოდენობა გეყოლება. გიბრძანებ, როგორც პრეზიდენტი, რომ ხვალვე ყველამ აღიარებითი ჩვენებები მოგცეს.

***— ანუ „ნაციონალების" დაპირისპირება ღია იქნება?***

— თუ სააკაშვილი არ დათმობს და წყნარად არ გააკეთებს ამას, რაშიც ამერიკელები ერევიან, მაშინ იგივე ამერიკელები სერიოზულად გააძლიერებენ რომელიმე ოპოზიციურ ფრთას, რაც ამ შემთხვევაში გამოყენებული იქნება ბოკერიასა და მისი დაჯგუფების მიერ, ანუ ეს ოპოზიციური ფრთა, ბუნებრივია, გააქტიურდება სააკაშვილის წინააღმდეგ. ისე, მე თუ მკითხავთ, სააკაშვილის წინააღმდეგ გააქტიურებას აზრიც აღარ აქვს, რადგან ეგ ფიგურა, როგორც პოლიტიკოსი, დამთავრებულია. ვიმეორებ, სააკაშვილმა ამოწურა თავისი თავი.

***— თქვენ თვლით, რომ სააკაშვილი ვერც პრემიერად და ვერც პარლამენტის თავმჯდომარედ ვერ მოგვევლინება?***

— სააკაშვილს ეს ძალიან უნდა, მაგრამ სურვილით ბევრი რამ შეიძლება ადამიანს უნდოდეს. ამაზე არ წავლენ არც ამერიკელები და არც რუსები. ეს მოხდება რუსეთთან და ამერიკასთან შეთანხმებით და ვეთანხმები ბურჯანაძის მიერ გაკეთებულ განცხადებას, იმას, რომ ხელისუფლებაში რამდენიმე ფრთა არსებობს, რომელიც აგზავნის მესიჯებს როგორც რუსეთში, ისე ამერიკაში და ეუბნებიან, რომ სააკაშვილი არის ყველა პრობლემის შემქმნელი, თორემ, ჩვენ რომ მოვიდეთ ხელისუფლებაში, საქართველო რუსეთისა და ამერიკის დაპირისპირების პოლიგონი კი არ იქნება, პირიქით, საქართველო იქნება ის პოლიტიკური არეალი, სადაც რუსეთი და ამერიკა მოძებნიან საერთო ენას ბევრ საკითხთან დაკავშირებითო. აი, ამიტომ მიდის ახლა გამალებული ბრძოლა ამერიკისა და კრემლის კარზე. საინტერესოა, რომელ ფრთასა და რომელ დაჯგუფებას ენდობიან ამერიკისა და რუსეთის ხელისუფლებები. ჯერჯერობით ამ მხრივ წინ ბოკერიას დაჯგუფებაა, ვინაიდან მათ უკან დგანან ბენდუქიძე და გიგი უგულავას ბიზნესმენები, რომლებსაც საკმაოდ დიდი ფული აქვთ და მათ იციან, რომ თუ უგულავა გახდება პრეზიდენტი, ის ნავთობისა და სხვა ბიზნესი, რომლებიც სააკაშვილის ოჯახს აქვს, ჩამოერთმევა წყნარად და მშვიდად, თუ სააკაშვილი წყნარად იქნება და თუ არა, მაშინ შეიძლება სააკაშვილს მათ თვითონვე ამოაყოფინონ თავი ციხეში და მისი ოჯახის რომელიმე წევრსაც კი. აი, ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, წინა პლანზე, სასტარტო მდგომარეობით ბოკერიას დაჯგუფება იმყოფება, რომელსაც, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, საკმაოდ დიდი ფინანსური ძალის მქონე ადამიანები უჭერენ მხარს.

***— თქვენ ოპოზიციური ფლანგი ახსენეთ. არაერთხელ ითქვა, რომ ალასანია ასოცირდება ბოკერიასთან...***

— არ ვიცი, ახლა ალასანია და ბოკერია ერთმანეთთან როგორ არიან, თუმცა, ეს პოლიტიკაა და არაფერს გამოვრიცხავ. ფაქტია, რომ ბოკერიას დაჯგუფებას ოპოზიციური ძალების მხარდაჭერა ყველა ვარიანტში დასჭირდება. შეიძლება, რომელიმე პარტიაც კი დასჭირდეს ამ თამაშში. ისე, ის კონტურები თუ რომელ ოპოზიციურ პარტიებთან არის დაახლოებული, თითქოსდა გამოიკვეთა კიდეც, თუმცა, მოდით, ამაზე ჯერ არაფერს ვიტყვი, მაინც არ მინდა ახლა რაღაც მკითხავივით გამომივიდეს. აქ გარკვეულ პოლიტიკურ პარტიებს ექნებათ, ასე ვთქვათ, ტორპედოს როლი.

***— და ეს პროცესი უკვე დაწყებულია, ბატონო შალვა?***

— დიახ, უკვე დაწყებულია. აი, როგორ ვთქვათ, ბაზრობის დონეზე შექმნილ და სადგურზე შექმნილ პარტიებს ექნებათ ის ფუნქციები, რომ თუ სხვა პოლიტიკური ძალა წამოიწევს წინ, იმათზე განახორციელონ დარტყმები და რაღაც პოლიტიკური დისკრედიტაციები მოახდინონ. ეს თამაში უკვე დაიწყო და ამაზე მიუთითებს ისიც, რომ ბოკერია, რომელიც, ფაქტობრივად, 2007 წლის მერე აქტიურად აღარ ჩანდა, უკვე გამოჩნდა, თანაც საკმაოდ აქტიურად. ის ინტერვიუებს იძლევა, მათ შორის, რუსეთის წამყვანი გაზეთებისა და ტელევიზიებისთვის, იმიტომ რომ მან ძალიან კარგად იცის, თუ რუსეთთან არ დაალაგა ურთიერთობა (რაც არ უნდა იძახონ, ჯაშუშებიო), ხელისუფლებაში ვერ მოვა. ვიმეორებ, ეს პროცესები დაიწყო. თუ წავა სააკაშვილი წყნარად, ხომ წავა, თუ არადა, გეუბნებით, შიგნით მოუწყობენ შესანიშნავ გადატრიალებას.

***— სააკაშვილი წამსვლელი, თანაც წყნარად, მშვიდად და ტკბილად ნამდვილად არ არის...***

— სააკაშვილის ხასიათიდან გამომდინარე, ასე ფიქრის საფუძველი ნამდვილად გვაქვს. კარგი იქნებოდა, თავისი ენერგია და ის დადებითი მომენტები, რაც ვარდების რევოლუციამდე ჰქონდა, ქვეყნისთვის სასიკეთოდ გამოეყენებინა. მას ის ტემპი რომ დაეკავებინა, საქართველო დღეს აბსოლუტურად სხვანაირი ქვეყანა იქნებოდა, მაგრამ, რას ვიზამთ. იცით თქვენ კუსა და მორიელის ამბავი, რატომ მკბენო, კუ ეკითხება მორიელს. რა ვქნა, ამნაირი ჯიშისა და გვარისა ვარო. რა ქნას ახლა სააკაშვილმა, ამნაირი ჯიშისა და გვარის არის. უყვარს ამ კაცს ქალები, კაი ქეიფი, თვითმფრინავები, ვილები და ა.შ. და არ უნდა ამ ყველაფრის მოკლება. ისე, აქ არის ერთი მომენტიც — ბოკერია თუ ნამეტანს იზამს, შეიძლება ჟვანიას გზასაც კი გაუყენოს სააკაშვილმა. არც ეს არის გამორიცხული. ეს სააკაშვილს ძალიან ეხერხება, განსაკუთრებით — საფერფლის ხმარება.

***— ასემც უქნიათ, დაუჭამით ერთმანეთი... მაგრამ ის ძალები, რომლებიც რეალური ოპოზიციონერები ხართ, რას აპირებთ, როგორ უნდა შეუშალოთ ხელი მათ გეგმებს?***

— ოპოზიციის ერთი ნაწილი რასაც აპირებს, ხედავთ, ექვსიანს ვგულისხმობ. ჯერჯერობით მათ ქმედებებში საკრიტიკოს ვერაფერს ვხედავ და იცის ნებისმიერმა პოლიტიკურმა ძალამ, რომ თუ დავინახე რამე საკრიტიკო, იმ წუთში გავაკრიტიკებ. ისინი კი იბრძვიან საარჩევნო გარემოსთვის, მაგრამ, გამოუვათ თუ არა რამე, ამას დრო გვიჩვენებს. ჩვენ კი ვემზადებით აბსოლუტურად ახალი ძალის გამოსაჩენად ქართულ პოლიტიკაში. იქნებიან ახალი სახეები, ოღონდ ეს სახეები არ იქნებიან 60 წლის ღვაწლმოსილი ადამიანები. ზოგიერთი იქნება, რა თქმა უნდა, ვისაც ამის ფიზიკური შესაძლებლობა აქვს, მაგრამ ძირითადად იქნება ახალგაზრდობა, რომელსაც საკმაოდ კარგად იცნობს ქართველი საზოგადოება და მისაღებია ნებისმიერი პროგრესულად მოაზროვნე ადამიანისათვის, აი, ასეთი ადამიანების გუნდზეა საუბარი და, რაც ყველაზე მთავარია, სექტემბერ-ოქტომბრისთვის იგეგმება სრულიად ახალი მსოფლმხედველობის მქონე, როგორი მსოფლმხედველობაც თავის დროზე საქართველოში დაამკვიდრეს (რომელიც, სამწუხაროდ, პოლიტიკაში ვერ გადაიზარდა) გამსახურდიამ, კოსტავამ და იმ პოლიტიკურმა

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# ისრაელმა საქართველო სახიფათო ქვეყნების რიცხვში შეიყვანა



ნათია ხურცილავა

**ისრაელმა საქართველო სახიფათო ქვეყნების სიაში კვლავ შეიყვანა. უკვე მერამდენედ საქართველო ისრაელის მიერ სახიფათო ქვეყნად ცხადდება. რა არის ამის მიზეზი? რატომ აკეთებს ასეთ განცხადებას ისრაელი? რამდენად რეალურია ეს ინფორმაცია?**

ეს არის ის კითხვები, რომელზე პასუხის მიღება რთული აღმოჩნდა.

ისრაელის სახელმწიფო თავის მოქალაქეებს საქართველოში გამგზავრებისგან თავის შეკავებას ურჩევს.

ისრაელის ანტიტერორისტულმა შტაბმა საქართველო იმ ქვეყნების ჩამონათვალში შეიყვანა, სადაც ებრაელებისთვის გამგზავრება სახიფათოა. ისრაელის ტერორიზმთან ბრძოლის შტაბი თანამემამულეებს საქართველოში, აზერბაიჯანსა და თურქეთში გამგზავრებისგან თავის შეკავებას ურჩევს.

— თუ აუცილებლობის შემთხვევაში მაინც გადაწყვეტთ ამ ქვეყნებში ვიზიტს, გირჩევთ მაქსიმალური სიფრთხილე და დაკვირვება გამოიჩინოთ, — ნათქვამია შტაბის მიერ გამოქვეყნებულ განცხადებაში. იგივე რეკომენდაცია გაიცა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებთან დაკავშირებითაც.

განცხადებაში განმარტებულია ისიც, რომ ისრაელი საქართველოს კვლავ „გრუზიად“ მოიხსენიებს.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ხელისუფლება ოფიციალურად ითხოვს, რომ დანარჩენმა სახელმწიფოებმა „გრუზია“-ს ნაცვლად „ჯორჯიათი“ მოიხსენიოს, ისრაელი აცხადებს, რომ იმ მოტივით „გრუზია“-ს უკეთესი ჟღერადობა აქვს, საქართველოს სწორედ ამ ტერმინით მოიხსენიებს.

— მართალია საქართველოს ხელისუფლება ოფიციალურად ითხოვს, სახელწოდებად „ჯორჯია“ გამოვიყენოთ, თუმცა, „გრუზია“ ჩვენი აზრით, უკეთ ჟღერს, — განმარტავენ ისრაელის ტერორიზმთან ბრძოლის შტაბში.

აღსანიშნავია, რომ ისრაელმა საქართველო სახიფათო ქვეყნების სიაში რამდენჯერმე შეიყვანა და ისევ ამოიღო.

ცნობილია, რომ საქართველოში ხშირი სტუმრები არიან ისრაელი ტურისტები.

ისრაელის მოქალაქეებისგან დაკომპლექტებული ტურისტული ჯგუფები ერთ-ერთი ყველაზე აქტიურია და ისინი გამოირჩევიან საქართველოში სტუმრობით. თუმცა, აღნიშნული ინფორმაციის შემდეგ დაიკლებს თუ არა ისრაელის ტურისტული ჯგუფების რაოდენობის მაჩვენებელი საქართველოში, ამას დრო გვიჩვენებს.

ისრაელის ანტიტერორისტული შტაბი ისრაელის მოქალაქეებში, როგორც ამბობენ, ნდობით სარგებლობს და მათი გაფრთხილება სავარაუდოდ ბევრი მოქალაქისთვის შეიძლება დამაბრკოლებელიც აღმოჩნდეს ტურისტული მოგზაურობის განსახორციელებლად საქართველოში.

# საია შსს-ს გენერალური ინსპექციის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია 26 მაისის აქციის დაშლის დროს ჩადენილ დარღვევებზე შსს გენერალური ინსპექციის მოკვლევის შედეგებზე განცხადებას ავრცელებს.

საიას განცხადებით, მედიასაშუალებებში გავრცელებულ ინფორმაციაზე, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სახალხო დამცველის განცხადებებზე შინაგან საქმეთა სამინისტროს რეაგირება მნიშვნელოვანია საზოგადოების წინაშე სახელმწიფოს ანგარიშვალდებულებისა და მომავალში შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების მიერ სამართალდარღვევების პრევენციის მიზნით.

თუმცა საია მიიჩნევს, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებული ინფორმაციიდან არ ჩანს, თუ ფაქტობრივად რა სახის სამართალდარღვევისთვის დაეკისრათ პასუხისმგებლობა აღნიშნულ პირებს და ამასთან, რა თანამდებობები ეკავათ მათ. მათ შორის, განცხადებიდან არ ჩანს, დაისაჯნენ თუ არა შინაგან საქმეთა სამინისტროს ის თანამშრომლები, რომლებიც მონაწილეობდნენ 26 მაისის აქციის აღკვეთის ღონისძიების დაგეგმვის პროცესში და უშუალოდ იყვნენ პასუხისმგებლები ოპერაციის ჩატარებაზე.

საია მიიჩნევს, რომ იმ ვითარებაში, როდესაც აქციის დაშლის დაწყებამდე აქციის მონაწილეები არ იყვნენ ინფორმირებულები ღიად დატოვებული გასასვლელების თაობაზე და პოლიციის მიერ, ფაქტობრივად, გადაკეტილი იყო აქციის ტერიტორიის მიმდებარე ყველა ძირითადი ქუჩა და ამასთან, აქციის დაშლის პროცესში გამოყენებული იყო განსაკუთრებით დიდი რაოდენობის პოლიციური ძალა, ადეკვატური პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროთ იმ თანამდებობის პირებს, რომლებმაც დაგეგმეს და ხელმძღვანელობდნენ აქციის დაშლის ოპერაციას.

მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის გათვალისწინებით, საია მოითხოვს, შინაგან საქმეთა სამინისტრომ გაასაჯაროოს ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ ფაქტობრივად, რომელი სამართალდარღვევებისთვის და კონკრეტულად, რომელ თანამდებობის პირებს დაეკისრათ დისციპლინარული პასუხისმგებლობები.

ამასთან, საია მიიჩნევს, რომ 2011 წლის 26 მაისს აქციის დაშლის დროს პოლიციის მხრიდან ძალის არაპროპორციული გამოყენების ფაქტებზე რეაგირება არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ შინაგან საქმეთა სამინისტროს რამდენიმე თანამშრომლის დისციპლინარული პასუხისმგებლობით. საიას, ისევე როგორც სხვა უფლებადამცველი ორგანიზაციების მიერ, დოკუმენტირებული იქნა პოლიციის მიერ აქციის დაშლის დროს ძალის გადამეტების, მათ შორის, არასათანადო მოპყრობისა და ცემის ფაქტები, რომელიც აშკარად შეიცავს დანაშაულის ნიშნებს. შესაბამისად, საია მოითხოვს, პროკურატურის მიერ დროულად და ეფექტურად იქნეს გამოძიებული პოლიციის მიერ 2011 წლის 26 მაისს აქციის დაშლის დროს ძალის გადამეტების ფაქტები. ამ მიმართებით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, გამოძიების მიერ სათანადო პასუხი გაეცეს ყველა იმ შეკითხვასა და ეჭვს, რომელიც საზოგადოებაში არსებობს.

2011 წლის 15 ივლისს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ გაავრცელა ინფორმაცია, რომ მან მედიასაშუალებების მიერ გავრცელებული კადრების, სახალხო დამცველისა და არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადებების საფუძველზე შეისწავლა შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების მიერ 2011 წლის 26 მაისის აქციის დაშლის დროს ჩადენილი დისციპლინარული დარღვევის ფაქტები და დასაჯა 16 თანამშრომელი, მათ შორის, შინაგან საქმეთა სამინისტროს 4 თანამშრომელი გაათავისუფლეს სამსახურიდან.

**ინტერპრესნიუსი**

# თბილისი-ახალგორის მიმართულებით მგზავრობა, შესაძლოა, გაძვირდეს

თბილისი-ახალგორის მიმართულებით სამარშრუტო მიკროავტობუსებით მგზავრობა, შესაძლოა, გაძვირდეს, - ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ ახალგორის მოსახლეობამ აცნობა.

— მიკროავტობუსების მძღოლები ამბობენ, რომ მგზავრობის გაძვირება გადასახადის გაზრდის გამო უწევთ, — განაცხადეს ახალგორელებმა. მათივე ინფორმაციით, ჯერჯერობით, უცნობია, როდის და რა ოდენობით გაძვირდება თბილისიდან ახალგორამდე მგზავრობა.

— მგზავრობის გაძვირება დაუშვებლად და უსაფუძვლოდ მიგვაჩნია, რადგან მძღოლები ბენზინს ახალგორში თბილისთან შედარებით გაცილებით იაფად — დაახლოებით 70 თეთრად ყიდულობენ და ბენზინის ამ დაბალი ფასის გათვალისწინებით მგზავრობა არ უნდა გაძვირდეს, — აცხადებენ ახალგორელები.

ამჟამად თბილისი-ახალგორის მიმართულებით მგზავრობა 3 ლარი ღირს. ყოველდღიურად ახალგორიდან თბილისის მიმართულებით 12, თბილისიდან ახალგორისკენ კი დაახლოებით 10 რეისი სრულდება.

**ინტერპრესნიუსი**

# შალვა ხაჭაპურიძე:
# უგულავა, მერაბიშვილი და ბოკერია სააკაშვილის წინააღმდეგ შეთქმულებას ამზადებენ

დასაწყისი მე-3 გვერდზე

დისიდენტებმა, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს საბჭოთა კავშირის დანგრევასა და საქართველოს გათავისუფლებაში. ეს იქნება ეროვნულ-სარწმუნოებრივი, პლუს სოციალური. აი, სამივე საკითხი ერთად აღებული იქნება, ოღონდ სრულიად ახალი მსოფლმხედველობის მატარებელი, რაც ახალი მოვლენა იქნება ქართული პოლიტიკისთვის და ეს არ იქნება მეტეორივით გაელვება რაღაც მომენტის და ამაში თავადაც დარწმუნდებით, წინასწარ ბაქიბუქი არ მინდა.

*— საკმაოდ ეკლიან გზაზე კი მოგიწევთ გავლა...*

— ეკლიან გზაზე სიარული იქნება. მინდა გითხრათ, ამას შეგუებულებიც ვართ. ისე, არც ამდენ ხანს გვივლია ძალიან იოლ გზაზე. აი, ეს პოლიტიკური სივრცე, პირდაპირ ვთქვათ, ვერიდებოდი ამ სიტყვის თქმას, მაგრამ ვიტყვი. დღეს როგორი სიტუაციაა, იცით? დალაგებულია აბსოლუტურად ყველაფერი ბევრი ოპოზიციური პარტიისთვის, ხელისუფლებისთვის, სააკაშვილისთვისაც, მაგრამ აქ არის ერთი ნიუანსი, რომელზეც ვისაუბრეთ, სააკაშვილის პრემიერობას ვგულისხმობ, მაგრამ ამანაც შეიძლება უმტკივნეულოდ ჩაიაროს, თუმცა, მაინც დაწყობილი თამაშია. ამ დაწყობილ თამაშში მონაწილეობა აქვს მიღებული, რა თქმა უნდა, ორ უზარმაზარ სახელმწიფოს. საუბარია რუსეთსა და ამერიკაზე, თუმცა, ჯერ გადაწყვეტილი ბოლომდე არაფერი არ არის.

*— ოპოზიციური სპექტრიდან არავისზე აქვს ფსონი დადებული ამ ორ უზარმაზარ სახელმწიფოს?*

— ჯერჯერობით არავისზე აქვს. ამერიკელები წინასწარ ფსონს არც არავისზე დებენ. ეს მითია და თუ ვინმე ვინმეს ატყუებს, ამერიკელებმა ჩემზე გააკეთეს „სტავკაო“, ეს არის როგორი ტყუილი და ზღაპარი, იცით, რომ ელემენტარულად ამერიკის პოლიტიკურ ისტორიას არ იცნობს ეგ ადამიანი, აღარ ვლაპარაკობ რუსეთის პოლიტიკაზე. რაც შეეხება რუსეთის გათვლას, ჩემმა მტერმა გათვალა, თვითონ არ იციან, ხვალ და ზეგ რას იზამენ.

*— თუმცა, ბოკერიას გუნდს უჭერენ მხარს, არა, ბატონო შალვა?*

— ბოკერიას გუნდი სთავაზობს მათ თავიანთ თავს. ეუბნებიან, ჩვენ ვართ ის ძალა, რომელიც სააკაშვილის წასვლის შემდეგ აქ სიტუაციას დაარეგულირებსო, თუმცა, სხვა ჯგუფებიც სთავაზობენ მათ ამას.

*— გამორიცხული არ არის, რომ ბოკერიას დაჯგუფებაზე გააკეთონ კიდეც არჩევანი...*

— გამორიცხული რა არის და რა — არა, გეტყვით. ის ძალა, რომელიც იქნება აქტიური, რომელსაც ექნება იდეოლოგია, მიიღებს მათ მხარდაჭერას. დააკვირდით, ჩვენ, ფაქტობრივად, გამსახურდიას პერიოდის გარდა (რამდენად მოსწონდა ის იდეოლოგია და არ მოსწონდა ვინმეს, ეს მედლის მეორე მხარეა), იმ რამდენიმეთვიანი მმართველობის გარდა და მაშინაც არ იყო კიდევ ჩამოყალიბებული, არ დააცალეს, იდეოლოგია სახელმწიფოს არ აქვს. თუმცა, გამოჩნდება ძალა, რომელსაც განსაზღვრული ექნება საქართველოს განვითარების დაახლოებით 50-წლიანი პროგრამა.

*— ანუ თქვენ? და სექტემბერ-ოქტომბრიდან გააქტიურდებით, ბატონო შალვა?*

— რა თქმა უნდა და ჩვენი პირველი მიზანია, დავშალოთ ის აწყობილი სიტუაცია, რაც დღეს პოლიტიკურ სათამაშო მინდორზეა, რომელიც საქართველოს ინტერესებს აშკარად არ ემსახურება და ამ დაშლის მერე ავაწყოთ, ისე, როგორც საქართველოსა და ქართველი ხალხის ნათელ მომავალს ესაჭიროება.

*— ახლა რატომ არ აქტიურობთ, ძალებს იკრებთ და ემზადებით თუ?..*

— ჩვენ საკმაოდ აქტიურები ვართ უცხოეთთან მიმართებით და არ ვახმაურებდით ამას, თუმცა, მაინც გეტყვით. სადაც ხელი მიგვიწვდება, ვაგზავნით 26 მაისთან დაკავშირებულ ინფორმაციებს, აი, ამ მიმართულებით ვმუშაობთ და დაკავებული ფოტორეპორტიორების საქმეს ვადევნებთ თვალყურს. სადაც შეგვიძლია სოლიდარობის გამოხატვა, ჩვენი პარტიის წევრები მიდიან, მხარს უჭერენ და გამოხატავენ სოლიდარობას. თავმდაბლურად მინდა გითხრათ, რომ მზად ვართ, ამ ხალხს თავდებში დავუდგეთ, თუმცა ამათთან თავდებზე საუბარი აბსურდი და ზედმეტია. ჩვენი მთავარი მუშაობა გადატანილია ზუსტად იმაზე, რაც მზადდება სექტემბერ-ოქტომბრისთვის. უზარმაზარი თეორიული მასალაა, ასევე უზარმაზარი პრაქტიკული სამუშაოა ჩასატარებელი და ტარდება კიდეც. ვნახოთ, უფალი, იმედია, არ დაგვტოვებს ამ დიდ ბრძოლაში. აი, ამისთვის ვემზადებით, იმიტომ რომ, სიმართლე გითხრათ, ის, რაც ვნახეთ ბოლო 7 წლის განმავლობაში, ვგულისხმობ, ოპოზიციური ბრძოლის მეთოდიკას, იყო არამიზანმიმართული, დაუგეგმავი, ისეთი შეცდომებით, რომლებიც არ უნდა დაშვებულიყო. პოლიტიკური თუ საზოგადოებრივი ძალები ძალიან თამამად იღებდნენ თავის თავზე პასუხისმგებლობას და აცხადებდნენ, ჩვენ ამ პროცესებზე პოლიტიკურ პასუხისმგებლობას ვიღებთო, მაგრამ ბოლოს, გარდა იმ განცხადებისა „დიახ, ვიღებ პოლიტიკურ პასუხისმგებლობას“, ქმედება არ მოჰყოლია.

*— როგორც აიღეს, გამოჩნდა კიდეც...*

— პასუხისმგებლობის აღება ჰქვია იმას, თუ წააგე, უნდა წახვიდე ან რაღაც მსგავსი უნდა მოხდეს. გიჟი თავისუფალია თავის ქმედებაში, არავინ ზღუდავს, ჰოდა, ამიტომ ჩვენ რა პროცესებისთვისაც ვემზადებით, რა თქმა უნდა, ჩვენს თავზე პასუხისმგებლობის აღებას ვაპირებთ. ეს არ არის რევოლუცია, ხაზი გავუსვათ, რომ მერე ვილაცებმა არ მოგვაწებონ ავტომატიანი ხალხი, გადამტრიალებლებიო და რატომ, მარტივად აგიხსნით — იმიტომ რომ სააკაშვილის არმია, რომელიც მას ჰყავს და ეს არ არის საქართველოს არმია და პოლიცია, ეს არის სააკაშვილის არმია-პოლიცია, აბსოლუტურად მზად არის, იოსელიანისა და კიტოვანის მსგავსი ამბოხი ძალიან მარტივად ჩაახშოს. ნებისმიერ ძალადობას, რომელიც ოპოზიციის მხრიდან იქნება გამოჩენილი, არათუ ჩაახშობს, არამედ ეს ხელისუფლების წისქვილზე წყლის დასხმა იქნება.

*— ექვსიანის მსგავსად, თქვენც არჩევნების გზით აპირებთ ხელისუფლების შეცვლას?*

— ჩვენ შემოგვაქვს ახალი მსოფლმხედველობა. ჩვენი მიზანია, რაც შეიძლება ბევრი მხარდამჭერის ყოლა, მასების ორგანიზება იმისთვის, რომ ქვეყანაში შეიცვალოს არათუ სააკაშვილის რეჟიმი, არამედ სისტემა. დიახ, ნეობოლშევიკური სისტემა უნდა დაინგრეს. უნდა მოვიდეს დემოკრატიული, სამართლიანი და კანონიერი ხელისუფლება, რომელიც მოსახლეობას შეუქმნის, მარტივად რომ ვთქვათ, სამ რამეს. სახელმწიფო უშიშროებას, ანუ იმას, რომ მოქალაქემ დაცულად იგრძნოს თავი, ეკონომიკურ განვითარებასა და სამართლიანობას.

*— და ამას გვპირდებით თქვენ და თქვენი გუნდი, ბატონო შალვა?*

— ჩვენ ამას არავის ვპირდებით. ჩვენ ამ მოთხოვნებს დავუყენებთ ნებისმიერ ხელისუფლებას. ოპოზიციური ძალები თუ ზუსტად ასე უყურებენ ქვეყნის განვითარებას, არ არის გამორიცხული ალიანსები, პოლიტიკური ურთიერთობები. ხელისუფლებას არ ვეუბნებით, წადითო, დავუყენებთ ამ მოთხოვნებს და უნდა შეასრულოს. თუ ამ მოთხოვნებს ვერ ასრულებ, თვითონ ხალხი გაიძულებს, რომ წახვიდე, იქნება ეს არჩევნების გზით თუ საპროტესტო მანიფესტაციებით, არ ვიცი, მოკლედ, ჩვენ გამოვიყენებთ ტირანიასთან ბრძოლის ნებისმიერ დემოკრატიულ ბრძოლის გზას.

*— დაბოლოს, „სამართლიანმა საქართველომ“ რესპუბლიკელების შემდეგ ახლა უკვე თქვენ ამოგიღოთ მიზანში. რა გერჩიან ეს ადამიანები?*

— ვინმე კოტეა იმ პარტიაში, რომელსაც თავის ერთ-ერთ ინტერვიუში უთქვამს, ნოლაიდელმა მთხოვა, იქნებ მაგ ხალხს დაელაპარაკო, რომ პარტია დამიბრუნონო და მერე ვითომ მე მათ ვუთხარი, დაუბრუნეთ პარტია ნოლაიდელს და მილიონს მოგცემთმეთქი (არადა, ერთი თეთრი არ მიდევს ჯიბეში) თუ რაღაც სისულელე. ამაზე სერიოზული კომენტარის გაკეთება არ მინდა, რადგან არც ამ პარტიას და არც ამ ადამიანს სერიოზულად არ ვუყურებ. ახლა მაგათ რომ პარტიები აქვთ შექმნილი, ერთი ხუთი კაცი ვიცი, მარტო ბაზრობაზე რომ მუშაობს, ერთი ატამს ყიდის, მეორე ყველს და მასეთი პარტიები იმათაც კი არა აქვთ შექმნილი. ასე რომ, იმ დიდი მიზნების გზაზე, რომელზეც ჩვენ მივდივართ ასეთი წვრილმანი რაღაცებისთვის, ბოდიშს გიხდით და სერიოზულ კომენტარს ვერ გავაკეთებ. უბრალოდ, სასაცილოა ეს ყველაფერი და მეტი არაფერი.

თქვენი ზარით შეეწიეთ
ბებნისის დედათა მონასტრის
მშენებლობას
მაგთის, ჯეოსელის, ბილაინის აბონენტებმა დარეკეთ ნომერზე 700 605
ღმერთმა შეგიწიროთ!
ზარის ღირებულებაა 1 ლარი

# რუსეთი „ჯავახკს“ საქართველოს წინააღმდეგ გამოიყენებს

**საქართველოში უკვე ბევრი ექსპერტი საუბრობს იმაზე, რომ რუსეთი მორიგ პროვოკაციას გეგმავს. ეს პროვოკაცია, მათი ვარაუდით, შეიძლება ჯავახეთში მოხდეს. მოსკოვი მართლაც დიდი ხანია ცდილობს ქართველებისა და სომხების დაპირისპირებას. ამ დრომდე ეს არ გამოუვიდა, თუმცა, ბოლო დროს სიტუაცია ცოტათი დაიძაბა.**

**ვითარებას ართულებს ისიც, რომ სიტუაციის დაძაბვას ხელს სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციებიც უწყობენ. მათ შორის არის მრავალეროვანი საქართველოც, რომელმაც ამას წინათ საქართველოში 38 ანტისომხური გამოხდომა დააფიქსირა.**

თეა მარხვაი ე

თუმცა, იმავე მრავალეროვანმა საქართველომ არაფერი თქვა სომხეთში ატეხილ ანტიქართულ ისტერიაზე. ამის თქმა, როგორც ჩანს, მათ ინტერესებში არ შედის.

სანამ მრავალეროვან საქართველოზე გავაგრძელებდეთ საუბარს, ორგანიზაცია „ჯავახკის“ მორიგ ანტიქართულ ისტერიაზე გიამბობთ.

ეს ორგანიზაცია, მოგეხსენებათ, რომ რუსეთის სპეც-სამსახურების მიერ არის შექმნილი. ის მთლიანად საქართველოს საწინააღმდეგო საქმიანობით არის დაკავებული. ამ ორგანიზაციის წარმომადგენლებს უამრავჯერ აქვთ გაკეთებული ანტიქართული განცხადებები. თუმცა, ჩვენი ხელისუფლება ამაზე რატომღაც არ რეაგირებს. არადა, ძალიან კარგად მოეხსენებათ, რომ ამ ორგანიზაციის უკან რუსეთი დგას.

საწყალ ქართველ ოპოზიციონერებს კი ეგრევე რუსეთის აგენტის იარლიყს აწებებენ, რუსეთის მიერ მართულ „ჯავახკზე“ კი დუმან. ეს დუმილი დამაფიქრებელია. იმედია, ხელისუფლება განგვიმარტავს ამ დუმილის მიზეზებს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბოლო დროს ქართულ-სომხურ ურთიერთობებში უსიამოვნო რამეები მოხდა. საბედნიეროდ, ეს სერიოზულ დაპირისპირებაში არ გადასულა. იმედია, ეს არც მოხდება.

ამასთან დაკავშირებით აბსოლუტურად განსხვავებული მოლოდინია ავადსახსენებელი „ჯავახკის“ რუსეთის წარმომადგენლობაში. აქ არავითარი დაპირისპირება არ მომხდარა, ეგენი კი უკვე მზად არიან საბრძოლველად.

ამასთან დაკავშირებით სომხურ და რუსულ მედიაში გუშინ ძალიან საინტერესო ინფორმაციები გამოქვეყნდა.

ინტერნეტ-პორტალ „რეგნუმის“ ცნობით, „ჯავახკის“ რუსეთის წარმომადგენლობა მზად არის, საქართველოში ეთნიკური სომხების დასაცავად გადამწყვეტი ზომები მიიღოს.

„ნოვოსტი არმენიის“ ინფორმაციით კი ამ მიმართულებით თანამშრომლობისათვის ორგანიზაცია „ჯავახკის“ წარმომადგენლებმა საქართველოში სომხურ ორგანიზაციებსაც მიმართეს.

„ჯავახკის“ რუსული დანაყოფი ქართულ მედიაში გამოქვეყნებული მასალებით ყოფილა შეშფოთებული.

— „ჯავახკის“ რუსული დიასპორის წევრები აღნიშნავენ, რომ ბოლო დღეების განმავლობაში ქართულ მედიაში მუსირებს ინფორმაცია სომხებსა და ქართველებს შორის ეთნიკურ ნიადაგზე დაპირისპირების შესახებ. ვრცელდება ინფორმაცია თბილისში გარკვეული ჯგუფების მიერ სომხების ცემის, ასევე სატელეფონო ზარების გამოყენებით ექსტრემიზმის, ტერორისა და ეთნიკური შუღლის გაღვივების შესახებ, — ვკითხულობთ რუსულ და სომხურ გამოცემებში.

ქართულ პრესას კარგად თუ ჩაუსხდებიან „ჯავახკელები“, იქ ბევრ საინტერესო რამეს წაიკითხავენ. წაიკითხავენ იმ პროტესტს, ამ ანტისომხურ განწყობას მოჰყვა. აღმოაჩენენ იმასაც, რომ საქართველოში სომხების წინააღმდეგ არავინ არის განწყობილი.

ისე, ურიგო არ იქნებოდა, „ჯავახკის“ რუსული დანაყოფი თუ სომხურ პრესასაც გადახედავდა. იქ უარეს რამეებს წაიკითხავდნენ. კიდევ უფრო უარესი რამეების წაკითხვა შეუძლიათ რუსეთში გამომავალ სომხურ გამოცემებში.

„ჯავახკის“ მტკიცებით, თბილისში ანტისომხური ისტერიის მიზეზი საქართველოს პარლამენტის მიერ რელიგიური კონფესიებისთვის იურიდიული საჯარო სამართლის პირის სტატუსის მინიჭება გახდა.

ამ გადაწყვეტილებამ მართლაც გააღიზიანა საქართველოს მოსახლეობა, მაგრამ ეს გაღიზიანება არა სომხების, არამედ საქართველოს ხელისუფლების მიმართ იყო მიმართული.

საქართველოში, საბედნიეროდ, სომხების დევნა არავის დაუწყია და ამის გაკეთებას არავინ აპირებს. რუსული „ჯავახკი“ კი უკვე ამ დევნის აღრიცხვას იწყებს.

„ჯავახკი“ მოუწოდებს საქართველოში სომხურ სათვისტომოს, საზოგადოებრივ მოძრაობებსა და ადამიანის უფლებების დამცველ ორგანიზაციებს, მიაწოდონ მას საქართველოში სომხების ეთნიკური დევნის შესახებ მასალები.

— ჩვენ გპირდებით, რომ მივიღებთ რადიკალურ ზომებს ჩვენი თანამემამულეების დასაცავად, ასევე, გადავდგამთ ნაბიჯებს იმისათვის, რომ ეთნიკური შუღლი თავიდან ავიცილოთ, — ნათქვამია „ჯავახკის“ რუსეთის წარმომადგენლობის განცხადებაში.

ეს ბოლო განცხადება ცოტათი ნორმალურია. მართლაც, ყველაფერი უნდა გაკეთდეს ეთნიკური შუღლის თავიდან ასაცილებლად. საქართველოში ეთნიკურ ნიადაგზე დაპირისპირებები ძალიან იშვიათად ხდება.

სომხების ეთნიკური დევნა ქართველებს აფხაზეთის ომის შემდეგაც არ დაუწყიათ. იმ ომში სომხურმა ბატალიონმა აფხაზეთის ქართველი მოსახლეობა არნახული სისასტიკით დახოცა. თუმცა, ამას ქართულ-სომხურ ურთიერთობებზე უარყოფითი გავლენა არ მოუხდენია, თუნდაც იმიტომ, რომ ძალიან ბევრი თბილისელი სომეხი მაშინ ქართველების მხარეს იბრძოდა. ბევრმა მათგანმა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას შესწირა თავი. ამის დავიწყებას არავინ აპირებს და სანამ რუსული



„ჯავახკი“ საქართველოში მცხოვრებ სომხებს უპატრონებს (მათ საპატრონებელი არაფერი სჭირთ), უმჯობესი იქნება, რუსეთში არსებულ ვითარებას მიხედონ, კარგად გაიკითხონ, რამდენი სომხური სკოლაა რუსეთში და რამდენი — საქართველოში. კიდევ სხვა რამეებიც გაიკითხონ. ეთნიკურ ნიადაგზე ადამიანებს, მგონი, იქ ხოცავენ და არა საქართველოში.

ახლა მრავალეროვან საქართველოს მივხედოთ, რომლის ერთ-ერთმა თავკაცმა არნოლდ სტეპანიანმა ერთი ამბები ატეხა ამას წინათ. მის მიერ ინგლისურ ენაზე გამოცემული ბროშურა დიდი მითქმა-მოთქმის საბაბი გახდა. ამის შესახებ „ახალი თაობა“ უკვე წერდა.

სტეპანიანის ბროშურაში იმ ადამიანების გვარებია ჩამოთვლილი, რომლებიც, მისი მტკიცებით, ანტისომხურ განცხადებებს აკეთებენ. მრავალეროვანი საქართველო მიიჩნევს, რომ საელჩოებმა ამ ადამიანებს საზღვარგარეთ წასასვლელად ვიზა არ უნდა ჩაურტყან.

სომხური მედიის ცნობით, მრავალეროვანი საქართველო ამ საკითხებთან დაკავშირებით სარჩელის შეტანას პროკურატურაში აპირებს.

სამოქალაქო მოძრაობა „მრავალეროვანი საქართველო“ რამდენიმე მედიასაშუალების მიერ გავრცელებულ ინფორმაციას განიილავს, რომლის თანახმადაც, მოძრაობა აპირებს მის მიერ გამოვლენილი ფაქტების — ქართული ინტელიგენციისა და საზოგადო მოღვაწეთა მხრიდან ქსენოფობიური ფრაზეოლოგიისა და სიძულვილის ენის გამომხატველი 38 შემთხვევის პროკურატურაში გასაჩივრებას მცდარ ინტერპრეტაციას უწოდებს.

„მრავალეროვანი საქართველოს“ აღმასრულებელმა დირექტორმა აგიტ მირზოევმა „მედიანიუსს“ განუცხადა, რომ მათ მიერ შედგენილი სიიდან მხოლოდ ერთი შემთხვევა იძლევა სამართლებრივი დევნის საფუძველს, რის თაობაზეც ტექნიკური საკითხები ამჟამად განიხილება იურისტებთან.

— ეს საქმე ეხება რუის-ურბნისის ეპარქიის წარმომადგენელ მამა აბრამ ჩადუნელს. ალბათ, ყველამ ნახა მისი ვიდეორგოლი, თუმცა, მინდა გითხრათ, რომ ჩვენ მის წინააღმდეგ პროკურატურაში სარჩელის შეტანას არ ვაპირებთ. ჩვენ საქმის კურსში ჩავაყენეთ საქართველოს საპატრიარქო მამა აბრამ ჩადუნელის წინააღმდეგ დისციპლინარული დევნის დაწყებასთან დაკავშირებით. საპატრიარქოში დაგვპირდნენ, რომ ამ საქმის შესახებ იმსჯელებდნენ. ახლა ნამდვილად არ ვიცით, რა ეტაპზეა საპატრიარქოში ამ საქმის განხილვა, — განუცხადა „მედიანიუსს“ მირზოევმა და დასძინა, რომ მრავალეროვანი საქართველო პროკურატურაში საჩივრის შეტანას არც სხვა საქმეებთან დაკავშირებით გეგმავს.

ცნობისთვის: მრავალეროვანმა საქართველომ ინტელიგენციისა და საზოგადო მოღვაწეთა მხრიდან ეთნიკური სომხების მიმართ შეუწყნარებელი ფრაზეოლოგიისა და სიძულვილის ენის გამომხატველი 38 შემთხვევა დააფიქსირა.

გთავაზობთ ორგანიზაციის მიერ შედგენილ დოკუმენტს: სიძულვილის ენის შემცველი განცხადებები: რეზო ჩხეიძე, ცნობილი ქართველი კინორეჟისორი; მარიკა ლორთქიფანიძე, ისტორიკოსი; ელიზბარ ჯაველიძე, აკადემიკოსი; როლანდ ჯალაღანია, საპატიო დოქტორი; მამა ელიზბარ დიაკონიძე და დეკანოზი დავით ისაკაძე; მამა აბრამ ჩადუნელი, რუის-ურბნისის ეპარქია.

სიძულვილის ენის შემცველი ფრაზების ციტირება: ზაზა სვანაძე, კინორეჟისორი; სომხური სათვისტომოს მიმართ შეუწყნარებლობის მაპროვოცირებელი განცხადებები: შალვა ხაჭაპურიძე, იურისტი, პოლიტიკური პარტია „კანონი და სამართლიანობის“ ლიდერი; რეზო ამაშუკელი, მწერალი; მამა ელიზბარ დიაკონიძე, დეკანოზი, სამების ტაძარი; ჯაბა ხუბუა, ჟურნალისტი; შალვა ნათელაშვილი, საქართველოს ლეიბორისტული პარტიის ლიდერი; თემურ შაშიაშვილი, პოლიტიკური მოძრაობა „თეთრების“ ლიდერი; თენგიზ კიტოვანი, ამჟამად რუსეთში მყოფი ყოფილი თავდაცვის მინისტრი; არქიეპისკოპოსი ზენონი; ნუკრი ქანთარია, ქართული აკადემიის წევრი.

საექსპერტო შეფასება: გია ხუხაშვილი, ექსპერტი; მამუკა არეშიძე, ექსპერტი.

შენიშნვა: რეზო ჩხეიძემ შემდგომში უარყო ინტერვიუში მოყვანილი მისივე სიტყვები. როგორც ინტერვიუ, ასევე უარყოფის დამადასტურებელი მასალები ინახება „მრავალეროვანი საქართველოს“ ოფისში.

ახლა ისევ რუსულ „ჯავახკს“ დავუბრუნდეთ. საინტერესოა, ამ ორგანიზაციამ რატომ არაფერი თქვა, რუსეთში სომხეთის ეროვნული გმირის ანდრანიკის ძეგლი რომ აიღეს. ეს გასაგებია, თავიანთ პატრონებს პროტესტს როგორ შეჰკადრებდნენ.

ანდრანიკის ძეგლის აღების გაპროტესტება ჩვენი საქმე არ არის. ამაზე სხვებმა იდარდონ.

ჩვენი ხელისუფლება კი, იმედია, რაიმე განმარტებებს გააკეთებს. კაი, გასაგები მიზეზების გამო შეიძლება „ჯავახკს“ ვერაფერს უბედავს. ნუ გაუბედავს, მაგრამ ჩვენც გაგვაგებინოს, იქნებ ეს „გრეხია“ და ჩვენ არაფერს გავბედავთ.

## საქართველოსა და რუსეთის პატრიარქების შეხვედრა კიევში გაიმართება

რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის წინამძღვარის, სრულიად რუსეთისა და მოსკოვის პატრიარქის კირილისა და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის შეხვედრა 26 ივლისს, საღამოს, კიევ-პეჩორის ლავრაში შედგება. აღნიშნულის შესახებ უკრაინული მედია იუწყება.

რუსეთის საპატრიარქოს ინფორმაციით, რუსეთის პატრიარქი უკრაინის დედაქალაქში 26 ივლისს ჩავა, 27 ივლისს კიევისა და სრულიად უკრაინის მიტროპოლიტ ვლადიმირთან ერთად სადღესასწაულო წირვას დაესწრება. შემდეგ კი კიევო-პეჩორის ლავრაში რუსული მართმადიდებლური ეკლესიის სინოდის სხდომა გაიმართება.

28 ივლისს კიევ-პეჩორის ლავრაში, რუსეთის პატრიარქი კირილი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია მეორესთან, უკრაინის მიტროპოლიტ ვლადიმირთან და უკრაინის, რუსეთისა და საქართველოს სასულიერო პირებთან ერთად საღმრთო ლიტურგიას აღავლენს.

„მედიანიუსს“ საქართველოს საპატრიარქოში დაუდასტურეს ინფორმაცია პატრიარქების მოსალოდნელი შეხვედრის შესახებ, თუმცა მათი თქმით, არ იციან ეს შეხვედრა სად და როდის გაიმართება.

მედიანიუსი

## ქეიდენაუმ სააკაშვილს ურჩია, ნაჩქარევი ქმედებები არ განეხორციელებინა



საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი აშშ-ს სახელმწიფო მდივნის თანაშემწის მოადგილე თინა ქეიდანაუსთან 2009 წლის შეხვედრაზე ვენესუელის მიერ აფხაზეთის და ე.წ. სამხრეთ ოსეთის აღიარების გამო შეშფოთებას გამოთქვამდა და აცხადებდა, რომ ბელორუსი ამ გადაწყვეტილების მიღების ზღვარზე იყო.

ამის შესახებ „ვიკილიქსის“ მიერ გამოქვეყნებული მასალებიდან ირკვევა. სკანდალურად ცნობილ ვებპორტალს ხელში ჩაუვარდა ქეიდანაუს მიერ თბილისიდან ვაშინგტონში გაგზავნილი დეპეშა, სადაც ეს უკანასკნელი საქართველოს პრეზიდენტთან შეხვედრის დეტალებს ჰყვება.

„ვიკილიქსის“ მიერ მოპოვებული ინფორმაციის თანახმად, სააკაშვილმა ქეიდანაუსთან შეხვედრა დაიწყო შეშფოთების გამოხატვით ვენესუელას მიერ აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებასთან დაკავშირებით. სააკაშვილი ფიქრობდა, რომ ვენესუელის გადაწყვეტილებას სხვათა მიერ მსგავსი ნაბიჯის გადადგმა მოყვებოდა.

ქეიდანაუსთან შეხვედრაზე პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ბელორუსი გადაწყვეტილების მიღების ზღვარზეა და იმედი გამოთქვა, რომ დასავლეთი სწრაფად იმოქმედებს, რათა მინსკის ამგვარი ნაბიჯი არ დაუშვას. პრეზიდენტის თქმით, ბელორუსის პრეზიდენტ ალექსანდრე ლუკაშენკოს რუსეთის პრემიერი ვლადიმერ პუტინი სძულს და სწორედ ამიტომ არ აკრძალა მან 2006 წელს ქართული პროდუქციის იმპორტი. ამის მიუხედავად, პრეზიდენტის შეფასებით, ბელორუსი რუსეთის მხრიდან ძლიერი ეკონომიკური ზეწოლის ქვეშ იყო, რასაც დიდხანს ვერ გაუძლებდა.

„ვიკილიქსის“ მასალების თანახმად, ქეიდენაუმ სააკაშვილს განუცხადა, რომ ბელორუსი არათანმიმდევრული და არაპროგნოზირებადია, მაგრამ დაჰპირდა, რომ აშშ ყველაფერს გააკეთებს რაც შეუძლია, რათა ხელი შეუშალოს ზოგადად საქართველოს ტერიტორიების აღიარების პროცესს, ხოლო კონკრეტულად ბელორუსის საკითხზე ევროპელებთან იმსჯელებს.

ქეიდანაუმ მოუწოდა სააკაშვილს, რომ ნებისმიერ აღიარებას თავშეკავებით უპასუხოს. ქეიდანაუმ ხაზის გაუსვა ევროპისა და ევრაზიის საკითხებში აშშ ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწის ფილიპ გორდონის საჯარო განცხადებებს, რომლის თანახმადაც, ვენესუელის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარება საქართველოს სუვერენიტეტისთვის უმნიშვნელო საფრთხეა.

ქეიდანაუს დეპეშის თანახმადX(რომელსაც „ვიკილქსი“ აქვეყნებს) შეხვედრაზე სააკაშვილს ეტყობოდა, რომ ის ნაკლებად წუხდა აფრიკის კონტინენტის ქვეყნების მიერ სოხუმისა და ცხინვალის აღიარების შესაძლებლობაზე. მან უთხრა ქეიდენაუს, რომ თუ ბელარუსი გადაწყვეტდა აღიარებას, საქართველო ველარ შეძლებდა ბელარუსთან მუშაობას ევროკავშირის ახლად შექმნილი აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივის„ ფარგლებში. აღიარების შემთხვევაში თუ ევროკავშირი არ გააძევებდა ბელარუსს ხსენებული პროგრამიდან, მაშინ საქართველოს მოუწევდა მისი დატოვება. ქეიდენაუმ სააკაშვილს ევროკავშირთან ახლო კოორდინაციისკენ მოუწოდა და ურჩია არ განეხორციელებინა ნაჩქარევი ქმედებები, რაც უარყოფით გავლენას მოახდენდა საქართველოს ურთიერთობებზე ევროკავშირთან.

მედიანიუსი

## სააპელაციო სასამართლომ ცოტნე გამსახურდიას მიმართ გამოტანილი განაჩენი ძალაში დატოვა



თბილისის სააპელაციო სასამართლომ ცოტნე გამსახურდიას მიმართ გამოტანილი განაჩენი ძალაში დატოვა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ გამსახურდიას ადვოკატმა ქეთი ბექაურმა განუცხადა, თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეთა კოლეგიამ გიორგი ჩემიას, მარინა ხოლუაშვილის და მზია ლომთათიძის შემადგენლობით, არ დააკმაყოფილა დაცვის მხარის სააპელაციო საჩივარი.

ძალაში დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენი, რომლითაც გამსახურდიას 13 წლითა და 2 თვით პატიმრობა მიესაჯა.

გადაწყვეტილება თბილისის სააპელაციო სასამართლომ რამდენიმე წუთის წინ გამოაცხადა. მანამდე სხდომაზე დაცვისა და ბრალდების მხარეებმა საკამათო სიტყვა წარმოადგინეს. დაცვის მხარე პირველი ინსტანციის განაჩენის გაუქმებას და გამსახურდიას გამართლებას ითხოვდა.

გამსახურდიას მსჯავრი დაედო ციხეში ქრთამის მიცემაშიც.

ინტერპრესნიუსი

შედით საიტზე atb.ge



ნონა ცაბა ე

# პატრიარქის მოწინააღმდეგე სასულიერო პირებს ამ დღეებში ვამხელ!

## შსს საპატრიარქოზე ზეწოლას ახორციელებს

### ინტერვიუ კახა კუკავასთან



***— ბატონო კახა, ფოტორეპორტიორების დაკავება დღესაც აქტუალური თემაა, ჩვენ მოვისმინეთ გიორგი აბდალაძის აღიარებითი ჩვენებაც, თუმცა საზოგადოების უდიდეს ნაწილს ამ ყველაფრის არ სჯერა, როგორია თქვენი პოზიცია აღნიშნულთან დაკავშირებით?***

— მე მგონი, აქ არანაირი ეჭვები არ არსებობს, ადამიანი აკეთებდა განცხადებას თავის უდანაშაულობასთან დაკავშირებით იმის შესახებ, რომ მასზე ადგილი ჰქონდა ზეწოლას. ჩვენ მოვისმინეთ ეკა ბესელიას მონათხრობი, თუ როგორ ცდილობდნენ მასზე ზეწოლას და გარდა ამისა, ჩვენი საერთო პრაქტიკაც არის ცნობილი. ასევე ცნობილია, დანარჩენ ორ ჟურნალისტზე რა ზეწოლებს ჰქონდა ადგილი და მე მგონი, არანაირ ეჭვქვეშ არ დგას ის, რომ გიორგი აბდალაძეს ზეწოლის ქვეშ მიაცემინეს ჩვენება და ჩვენ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ის ზეწოლა არ იყო უბრალოდ ცემა, ან უბრალოდ სიტყვიერი მუქარა, ეს იყო ძალიან მძიმე ტიპის მუქარა.

***— რა გაქვთ მხედველობაში?***

— ის რაც შემიძლია გითხრათ დადასტურებით და რაც ზუსტად ვიცი, არის ის, რომ 26 მაისს დაკავებულებს, რომლებსაც ჩვენება უნდა მიეცათ, დანამდვილებით ვიცი, რომ მათ ემუქრებოდნენ გაუპატიურებით, საუბარია მამაკაცებზე. ეს არის პრაქტიკა, რაც აქვთ ძალიან ფართო გამოყენებაში შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებს. აქ არ არის საუბარი იმაზე, რომ მარტო სცემდნენ და თავში წამოარტყამდნენ.

***— სხვათა შორის, რამდენიმე პატიმარმა გაავრცელა უკვე ამის შესახებ ინფორმაცია, რომ ასეთ ფაქტებს ჰქონდა ადგილი...***

— დიახ, ნამდვილად, იგივე ართანიას ჩვენებაც დაიბეჭდა პრესაში, როცა მას არა მხოლოდ სიტყვიერად დაემუქრნენ, არამედ აყურებინეს სხვა პატიმრის მიმართ ანალოგიური ძალადობა. ახლა კონკრეტულად ვის მიმართ რა ძალადობას ჰქონდა ადგილი, ძნელი სათქმელია. მე ვამბობ იმას, თუ რაზე არიან წამსვლელები. თუნდაც იგივე ძალადობა ოჯახის წევრების მიმართ. იგივე იცით, რომ გედენიძის მეუღლე იყო დაკავებული და რამდენადაც ვიცი, იგი ოჯახიდან წაიყვანეს ნახევრად ჩაუცმელი და თქვენ წარმოიდგინეთ, რა დღეში იქნებოდა მისი მეუღლე, ყველაფერს დაეთანხმებოდა და ალბათ ასე მოიქცეოდა ქართველი მამაკაცების უმრავლესობა, ოღონდ მეუღლე დაეხსნა. ამიტომ აღიარებითი ჩვენებები ჩვენ ძალიან კარგად გვახსოვს კომუნისტური პერიოდიდან. როცა ერთადერთი მტკიცებულება არის აღიარება საქმეზე, ეს არის პირდაპირი მტკიცებულება იმისა, რომ არ არსებობს დანაშაულის ნიშნები. რომ არსებობდეს რეალურად დანაშაული, მე თვითონ იურისტი ვარ, კრიმინალისტიკას ვსწავლობდი და ძალიან კარგად ვიცი, რომ თანამედროვე ტექნოლოგიების პირობებში არანაირ სირთულეს არ წარმოადგენს დანაშაულის მტკიცებულებების მოპოვება. დღეს აბსოლუტურად ყველაფერზე კვალის ამოღება და მტკიცებულებად გამოყენება ხდება და ადამიანები, რომლებიც, როგორც ესენი ამტკიცებენ, წლების მანძილზე ერთმანეთთან კონტაქტში იმყოფებოდნენ, დოკუმენტებს გადასცემდნენ, ფულსურიცხავდნენ, ეს რომ მართლა ასე ყოფილიყო, არანაირი პრობლემა არ იქნებოდა ამის შესახებ მტკიცებულებების მოპოვება. როდესაც ჩვენ მოვისმინეთ აღიარებითი ჩვენებები, ეს იმას ნიშნავს, რომ ასეთი მტკიცებულებები შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მოპოვებული ვერ იქნა. აბდალაძის ჩვენება იმდენად აბსურდულია, რომ ალბათ ყველას გვახსენდება მონანიებიდან ის კადრი, სადაც კახი კავსაძე იბრალებს დანაშაულს და ამბობს, რომ უნდა მივცეთ რაც შეიძლება აბსურდული ჩვენებები, რომ ზევით ცეკაში, ვიღაცამ ამას ყურადღება მიაქციოსო. მე ვფიქრობ, აბდალაძის ჩვენება იმდენად აბსურდულია, რომ მართლაც თუკი ვინმე მოინდომებს, ევროსტრუქტურები იქნება, დამოუკიდებელი ექსპერტები თუ ვინმე სხვა, ძალიან ადვილად ნახავს იმ შეუსაბამობებს, რომელიც არსებობს მის ჩვენებასა და გამოძიების ვერსიას შორის.

***— ფიქრობთ, რომ საპროცესოს გაუფორმებენ და გაათავისუფლებენ?***

— ეს პრაქტიკულად გადაწყვეტილია, ან გაუფორმებენ საპროცესოს, ან მაშინ პროცესი უნდა ჩატარდეს დახურული. იმიტომ, რომ ღია პროცესის ჩატარება ამ საქმეზე არის შეუძლებელი. უკვე იმხელა რეზონანსი მიიღო ამ საქმემ, რომ ღია პროცესი სრულიად შეუძლებელი იქნება. სხვათა შორის, მე გადავამოწმე და ის ჩვენებები, რომელსაც ჩვენ ტელევიზიებით ვუყურებთ, ეს არ არის იურიდიულად დამოწმებული. ეს არის ინტერვიუები და არა ჩვენებები. როდესაც ადამიანი იძლევა ჩვენებას, ეს უნდა გააკეთოს ადვოკატთან ერთად, იწერება ოქმი და ჩვენების მიცემა პარალელურად შესაძლებელია გატარებული იქნას ფირზე. მაგრამ არანაირი ჩვენება, არანაირი ოქმი ამ საქმეზე რეალურად არ არსებობს და არსებობს მხოლოდ და მხოლოდ ტელეფირი. სამართალდამცველი ორგანოები საქმეს კი არ იძიებენ, არამედ ამის პროპაგანდას ეწევიან. ეს ყველაფერი მხოლოდ და მხოლოდ პიარზეა გათვლილი.

***— ბატონო კახა, 26 მაისის მოვლენებთან დაკავშირებით საკმაოდ სერიოზული დაინტერესება გამოთქვა ევროკავშირმა და მოსთხოვა ხელისუფლებას ამ საქმის ობიექტური გამოძიება. რამდენად შესაძლებელია ეს ამ ხელისუფლების პირობებში და რა შედეგები შეიძლება მოყვეს ამას?***

— პირველ რიგში, მადლობლები ვართ ევროპელი კოლეგების, განსხვავებით ამერიკის ელჩისაგან, რომ მოლოცვის ბარათი არ გამოაგზავნეს ამ დაღუპულთა გვამების კვალდაკვალ. რა თქმა უნდა, ეს არის ძალიან დიდი სხვაობა. ჩვენ ხშირად ერთი ტერმინით მოვიხსენიებთ ხოლმე დასავლეთს და ვგულისხმობთ ერთად ამერიკას და ევროპას, მაგრამ ისეთივე დიდი განსხვავებაა ევროპასა და ამერიკას შორის, როგორი განსხვავებაც არის ევროპასა და ჩინეთს შორის. სამწუხაროდ, უნდა ითქვას, რომ ევროპულ რეკომენდაციებს არა აქვს არანაირი პრაქტიკული დანიშნულება საქართველოში და სააკაშვილის პოზიცია მე ძალიან კარგად ვიცი მის გარემოცვაში მყოფი პირებისაგან, რომ ევროპის რეკომენდაციები მისთვის აბსოლუტურად არაფერს არ წარმოადგენს, ევროპის რეკომენდაციებს არანაირი ძალა არა აქვს. რომ ყოფილიყო ეს შეერთებული შტატების რეკომენდაცია, ეს ერთ საათში შესრულდებოდა, მაგრამ კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ევროპულ რეკომენდაციებს არანაირი ძალა არა აქვს სააკაშვილისათვის.

***— გამოდის, რომ ნათქვამი ნათქვამად დარჩება?***

— თუ არ იქნა ქართველი საზოგადოების აქტივობა, რა თქმა უნდა, ნათქვამი ნათქვამად დარჩება. ევროპა და საქართველოს საპატრიარქო დაახლოებით ერთი და იგივე მიმართებაში არიან საქართველოს ხელისუფლებასთან. საქართველოს ხელისუფლება ღიად მათ წინააღმდეგ არაფერს არ ამბობს და აცხადებს, რომ ის ერთგულია ამ ფასეულობებისა, თუმცა რეალურად აბსოლუტურად ფეხებზე ჰკიდია მათი პოზიცია.

***— ალბათ დამეთანხმებით, რომ ამ ბოლო პერიოდში ჩვენმა ხელისუფლებამ ბევრი არაპოპულარული ნაბიჯი გადადგა, ორი დღის წინ დევნილები გამოასახლეს მხეცური მეთოდებით, გააძვირეს მგზავრობა სამარშუტო ტაქსებზე და ეს ყველაფერი ხდება ზაფხულის პერიოდში, როცა საზოგადოების აქტივობა ნაკლებია... რა რეაგირება მოყვება ამას და რას აპირებთ ოპოზიციური პარტიები?***

— ეს პერიოდი კი არის შერჩეული, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ხელისუფლება უკვე პერიოდებს აღარ არჩევს და ყველა სეზონზე ანალოგიურად მოქმედებს, ეს ერთი და გეტყვით იმასაც, რომ ხელისუფლებამ საპატრიარქოს საქმეზე და 26 მაისს სერიოზული ბარიერი გადალახა. ანუ თუ ადრე ჩვენ ვაშენებდით ქვეყანას, რომელსაც პრეტენზია ჰქონდა ნატოში ინტეგრაციაზე და მერე შესაბამისად ევროკავშირში ინტეგრაციაზე, აი ამ ბოლო ორი გადაწყვეტილებით ნათლად ჩანს, რომ სააკაშვილს არანაირი საერთაშორისო აზრი აღარ აინტერესებს, გარდა შეერთებული შტატების სამხედრო მხარდაჭერისა. ის აქ აშენებს არა ევროპული ტიპის ქვეყანას, არამედ რაღაცა ერაყის ტიპის სამხედრო კორპუსს, სადაც იქნებიან ამერიკული ბაზები და ამერიკელი სამხედრო ინსტრუქტორები. ერთადერთი, შენობები, რომელიც საქართველოში აშენდება, ეს იქნება პოლიციის შენობები და მთელი დანარჩენი ქვეყანა იქნება აფრიკულ სილატაკეში. აქედან გამომდინარე სააკაშვილისთვის ამ ნაბიჯებს, რასაც ის დევნილების ან სხვების მიმართ აკეთებს, აღარ აქვს პოლიტიკური მნიშვნელობა, არ აინტერესებს რა პოლიტიკური შედეგები იქნება, რადგან ის პოლიტიკური მეთოდებით აღარ იბრძვის, იბრძვის რეპრესიული მეთოდებით. იმას ის კი არ აინტერესებს, რა რეაქცია ექნება საზოგადოებას დევნილების გამოსახლებაზე, ის კითხულობს, გვყავს საკმარისი პოლიციელი, რომ სპეცოპერაცია ჩავატაროთ? თუ მას ეტყვიან, რომ დიახ, მაშინ ის ამბობს, რომ ჩაატარეთ.

***— ფიქრობთ, რომ ამერიკას ამ ყველაფერზე რეაქცია არ ექნება?***

— ამერიკა მიესალმება ამას და ჩვენ ვხედავთ ჯონ ბასის განცხადებებს, ჩვენ გვახსოვს, რომ კომუნისტების დროს საქართველოში ცეკას პირველი მდივანი იყო ქართველი, მეორე მდივანი რუსი და ახლა ცეკას პირველი მდივანი არის ჯერ ამერიკის ელჩი და მერე მის დაქვემდებარებაში იმყოფება საქართველოს პრეზიდენტი. ამერიკა კი არ მიესალმება ან კი არ გმობს ამ გადაწყვეტილებებს, არამედ ამერიკა იღებს ამ გადაწყვეტილებებს. ამერიკის საელჩო იღებს. ჩვენს ხელისუფლებას და მის სატელიტ პარტიებს მხოლოდ განცხადებების გაკეთება შეუძლიათ იმ გადაწყვეტილებებზე, რომელიც ამერიკის საელჩოს მიერ არის მიღებული.

***— თქვენ საპატრიარქო ახსენეთ და აქვე მინდა ამ თემაზეც რომ გკითხოთ, სინოდის გადაწყვეტილებამ საზოგადოების ნაწილში უკმაყოფილებაც გამოიწვია. როგორ ფიქრობთ, პატრიარქი მოერიდა სიტუაციის გამწვავებას თუ ზეწოლას ჰქონდა ადგილი? გავრცელდა ინფორმაცია, რომ ხელისუფლება საპატრიარქოსთანაც შანტაჟზე წავიდაო...***

— გამოვიდა ხმები, რომ ზოგიერთმა მეუფემ პატრიარქის წინააღმდეგ მისცა ხმა. მე დღეს არ მინდა,რომ ამ მეუფეების სახელები ჩამოვთვალო, არა იმიტომ, რომ ვერიდები, არამედ მინდა, რომ ეს გადავამოწმო, რათა არ გამომივიდეს ვარაუდის დონეზე ნათქვამი. როგორც ჩვენ მკვლელ პოლიციელებზე ვამბობთ, რომ ისინი მკვლელები არიან, როგორც კორუმპირებულ მინისტრებზე ვამბობთ, რომ კორუმპირებულები არიან, როგორც მიკერძოებულ მოსამართლეებზე ვამბობთ, რომ ისინი მიკერძოებულები არიან, აი ამ ეპისკოპოსებზეც ჩვენ არაფერი არ გვიშლის ხელს, რომ ვთქვათ, ეს ადამიანები ემსახურებიან არა საქართველოს ეკლესიას, არამედ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს. ის ახსნა, რას აკეთებდა იქ სოსო თოფურიძე, რომელიც უკვე საშაყირო გახდა ფეისბუქზე და არ უნდა იყოს ეს თემა საშაყირო, რომ მას მეუფე იოსებს ეძახიან, ამ თემაზე ჩვენ ოფიციალური განმარტებები არ მიგვიღია, თუ რა უნდოდა იმ დროს იქ თოფურიძეს. ასევე უგულავას. უგულავას ქცევის მანერა, რომელიც დადასტურებულად არის ცნობილი და დიდ საიდუმლოს აღარ წარმოადგენს, როგორ შენობით, ხმამაღლა, ხელების ჟესტიკულაციით ესაუბრებოდა სინოდის წევრებს, ეს ფაქტია და მე ხომ გეუბნებით, არც კონკრეტულ მეუფეებზე სახელებისა და გვარების საუბრისაგან თავს არ ვიკავებ, უბრალოდ, რამდენიმე დღე მჭირდება, რომ დადასტურებულად ვიცოდე სახელები და გვარები. თუმცა ვარაუდებით ვხვდები, ის მეუფეები, რომლებმაც სააკაშვილი დავით აღმაშენებლად გამოაცხადეს, მათთვის სააკაშვილი არის მეფეც, პატრიარქიც და არა ილია მეორე.

***— ე.ი. თქვენ ფიქრობთ, რომ ციხე შიგნიდან გატყდა?***

— რაც ერი, ის ბერიო და რელიგიურადაც ასეა, ეშმაკი ებრძვის ყველაფერს, სადაც ქრისტეს სახელია და ეკლესიას ორმაგად ებრძვის იმიტომ, რომ ბუნებრივია, იქ მეტი ინტერესი აქვს. უფრო მეტი ცდუნებაც არის იქ, შინაგან საქმეთა სამინისტროს უფრო მეტი ზეწოლაც არის. ეს ფაქტი არავის არ უარყვია, ეს არ არის მოგონილი, ის რომ მეუფეებმა ხმა მისცეს სააკაშვილის სასარგებლოდ და პატრიარქის წინააღმდეგ, ამ ფაქტს ჩვენ უყურადღებოდ ვერ დავტოვებთ იმის გამო, რომ რაღაცა ტაბუირებული თემები არსებობს. ბოლოს და ბოლოს, ეკლესია უფრო მაღლა არის, ვიდრე ნებისმიერი იერარქია ან საერო პირი.

# „თავისუფალი საქართველო“ ბაკურ კვეზერელსა და გიორგი ღვინიაშვილს სიცრუეში ადანაშაულებს

„თავისუფალი საქართველო“ კახეთის გუბერნატორს გიორგი ღვინიაშვილსა და სოფლის მეურნეობის მინისტრ ბაკურ კვეზერელს სიცრუეში ადანაშაულებს და აცხადებს, რომ კვეზერელის და ღვნიაშვილის მტკიცების მიუხედავად, საქართელოში მარცვლეულის მეურნეობა ნადგურდება.

როგორც პარტიის დედოფლისწყაროს რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე თამილა გურაშვილი აცხადებს, პრეზიდენტის რწმუნებულმა კახეთში, გიორგი ღვინიაშვილმა ალოობის დაწყების წინ განცხადა, რომ კახეთში მარცვლეული კულტურების უპრეცედენტო მოსავალი მოვიდა, მოგვიანებით კი, ამ განცხადებას ბანი უკვე სოფლის მეურნეობის მინისტრმა მისცა და დასძინა, რომ საქართველოს ათეული წლებია, ამხელა მოსავალი არ მოსულა.



— სინამდვილეში კი საქმე სხვაგვარდაა, შირაქის უხვმოსავლიანი მიწების დიდი ნაწილი წელს დაუმუშავებელი დარჩა. მიზეზი კვლავაც საწვავის სიძვირე, ტექნიკის არარსებობა და სხვა გარემოებები იყო. გარდა ამისა, რიგითი დედოფლისწყაროელების უდიდესმა ნაწილმა მიწები სხვადასხვა მიზეზით დაკარგა და ერთ გოჯ მიწასაც აღარ ფლობს. როდესაც გუბერნატორი აცხადებს, რომ უპრეცედენტო მოსავალი მოვიდა, ოდნავი უხერხულობა მაინც უნდა ეგრძნო, რადგანაც მან ყველაზე უკეთ იცის, რომ მოსავალი მხოლოდ რამდენიმე მსხვილმა ფერმერმა მიიღო. მოსახლეობისთვის კვლავაც არაფერი შეცვლილა. დედოფლისწყაროში მიწების სოლიდურ ნაწილს რამოდენიმე ნაციონალი ფერმერები„ ფლობენ. ასე რომ, მოსავალი მოიწიეს ისევ მათ, ვისი ფინანსური შესაძლებლობები მანამდეც საკმაოდ ძლიერი ჰქონდა, ვისაც ხელი მიუწვდებოდა იმ ტრაქტორებზე, რომელიც პრეზიდენტმა საჩუქრად„გადასცა ხალხს, — აცხადებს გურაშვილი.

მისი ცნობით, მაშინ, როცა „პურის ბეღლად“ წოდებულ შირაქის ველებზე 45 000 ჰა მარცვლეული ითესებოდა, წელს მთლიანად დედოფლისწყაროში ხორბალი მხოლოდ 7-8 ათას ჰექტარზე დაითესა.

— ამ ციფრებიდანაც ნათლად ჩანს, რა ვითარებაშია სოფლის მეურნეობა კახეთის რეგიონში. ე.წ. დილიჩის ტერიტორიაზე 3 055 ჰექტარი მიწა, რომელსაც დედოფლისწყაროს საზღვრისპირა სოფლებში ჩასახლებულები ბოლო წლებში სარწყავი სისტემების მოშლის გამო ვერ ამუშავებენ, ჩამოართვეს და ეკონომიკის სამინისტრომ აუქციონის წესით გაყიდა. მთელი სამი სოფლის მიწა მხოლოდ ერთმა ფერმერმა შეიძინა. ასევე, შირაქის მიწების დიდ ნაწილს ებრაელები და ინდოელები ფლობენ. გუბერნატორის და სოფლის მეურნეობის მინისტრის ამგვარი განცხადებები, ისევე როგორც სხვები, არის სიცრუე და მოსახლეობის თვალში ნაცრის შეყრა. ამგვარი განცხადებები მხოლოდ იაფფასიან პიარზეა გათვლილი, — აცხადებს კახა კუკავას პარტიის წარმომადგენელი.

**მედიანიუსი**

# სააკაშვილი იმედოვნებდა, რომ სომხეთი რუსეთის გავლენის სფეროდან გავიდოდა

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა 2009 წლის 15 სექტემბერს აშშ-ს სახელმწიფო მდივნის თანაშემწე თინა ქეიდანაუსთან გაცნობით შეხვედრაზე იმედი გამოთქვა, რომ სომხეთი რუსეთის გავლენის სფეროდან გავიდოდა.

ამის შესახებ „ვიკილიქსის“ მიერ გავრცელებულ მორიგ მასალებშია ნათქვამი. სკანდალურად ცნობილმა პორტალმა თბილისიდან ქეიდანაუს მიერ აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტში გაგზავნილი დეპეშა ჩაიგდო ხელში.

აღნიშნულ შეხვედრაზე სააკაშვილმა უთხრა ქეიდენაუს, რომ ის თურქეთ-სომხეთის დაახლოებას განიხილავს, როგორც პოზიტიურ ნაბიჯს და იმედი აქვს, რომ ბოლო დროინდელი მოვლენები უბიძგებს სომხეთს გავიდეს რუსეთის გავლენის სფეროდან.

პრეზიდენტს ჰქონდა მოლოდინი, რომ აზერბაიჯანის მხრიდან შესაძლოა დაფიქსირდეს მოკლევადიანი შიშები, მაგრამ აზერბაიჯანელები შეძლებენ გრძელვადიან პერსპექტივაში პროგრესი დაინახონ ურთიერთობების გაუმჯობესებაში.

„ვიკილიქსის“ მიერ გავრცელებული მასალის თანახმად, ქეიდენაუ სააკაშვილს დაეთანხმა, რომ თურქეთ-სომხეთის ურთიერთობების დამყარებას შესაძლოა პოზიტიური გავლენა ჰქონდეს მთლიანად სამხრეთ კავკასიაზე, განსაკუთრებით კი რეგიონში ეკონომიკურ განვითარებაზე

**მედიანიუსი**

## ბაკურ კვეზერელი: ხორბლის საშუალო მოსავლიანობა გაორმაგდა

საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრ ბაკურ კვეზერელის განცხადებით, ხორბლის პროგრამა წარმატებული აღმოჩნდა. სიმინდისა და ხორბლის პროგრამების მიმდინარეობით დღეს მთავრობის სხდომაზე პრემიერ-მინისტრი ნიკა გილაური დაინტერესდა.

როგორც ბაკურ კვეზერელმა აღნიშნა, ხორბლის მოსავლის აღება კახეთში პრაქტიკულად დასრულებულია. განსაკუთრებით კარგი შედეგი ამერიკული ხორბლის დათესვამ გამოიღო. ერთ ჰექტარ მიწის ნაკვეთზე საშუალო მოსავლიანობამ 3 ტონა შეადგინა, რაც გასულ წლებთან შედარებით გაორმაგებული მაჩვენებელია.

მისი თქმით, ბოლო ათი წლის განმავლობაში საუკეთესო შედეგად ჰექტარზე 1,8 ტონა ხორბლის მოყვანა მიიჩნეოდა. კახეთში ხორბლის მოსავლის 85 პროცენტი აღებულია, შიდა ქართლში კი ეს პროცესი უახლოეს დღეებში დასრულდება.

ბაკურ კვეზერელის ინფორმაციით, მიმდინარე წელს დაახლოებით 32 000 ტონა სათესლე ხორბლის აღება გახდება შესაძლებელი. ეს კი 125 000 ჰექტარი მიწის ნაკვეთის დასათესად იქნება საკმარისი.

— ეს კი იმას ნიშნავს, რომ ხორბლისათვის გათვალისწინებულ მიწის ფართობს მთლიანად მოვიცავთ, — აღნიშნა ბაკურ კვეზერელმა.

**მედიანიუსი**

## კოკოითმა ახალგორში სახანძრო-სამაშველო სამსახურის ახალი შენობა დაათვალიერა

ე.წ. სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტი ედუარდ კოკოითი და რუსეთის რეგიონული განვითარების მინისტრი ვიქტორ ბასარგინი ახალგორის რაიონში ჩავიდნენ და ახალგორის ახალი სახანძრო-სამაშველო სამსახურის შენობა დაათვალიერეს. აღნიშნულის შესახებ სააგენტო „რესი" იუწყება.

სახანძრო-სამაშველო სამსახუის უფროსის ანატოლი ბიბილოვის განცხადებით, ახალი შენობა უკვე დასრულებულია.

მისი თქმით, ახალგორის სახანძრო-სამაშველო სამსახურში 30 ადამიანი, ოთხ ცვლაში იმუშავებს.

**მედიანიუსი**

## სომხეთში მცხოვრები ქართველი აკადემიკოსი თინა ასათიანი გარდაიცვალა

სომხეთში ქართველი მეცნიერი, ერევნაში ქართული სათვისტომოს („ივერია") დამფუძნებელი და საპატიო პრეზიდენტი, სომხეთის მეცნერებათა ეროვნული აკადემიის (სმეკ) წევრი თინა ასათიანი გარდაიცვალა იუწყება „ნოვოსტი არმენიი".

ასათიანი 1918 წლის 12 მარტს თბილისში დაიბადა. იგი სომხეთში 1943 წლიდან ცხოვრობდა.აკადემიკოსი თინათინ ასათიანი იყო მსოფლიოში ცნობილი მეცნიერი ფიზიკის დარგში, ლენინური პრემიის ლაურეატი. 1997 წელს მან დააარსა ქართული სათვისტომო "ივერია" ერევანში, რომლის პრეზიდენტიც იყო 2006 წლამდე. მას შემდეგ ის სათვისტომოს საპატიო პრეზიდენტია. ასათიანს ფიზიკის დარგში 150-ზე ნაშრომი აქვს გამოქვეყნებული. იგი თბილისის საპატიო მოქალაქეა და ღირსების ორდენითაც არის დაჯილდოებული.

**მედიანიუსი**

## რუსეთი ცხინვალს წელს 6,81 მილიარდ რუბლს გადაურიცხავს

რუსეთი 2011 წელს ე.წ. სამხრეთ ოსეთს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამის ფარგლებში 6,81 მილიარდ რუსულ რუბლს გაუგზავნის.

„როსბალტის" ცნობით, ამის შესახებ რუსეთისა და ამიერკავკასიის მთავრობათაშორისი კომისიის სხდომაზე ითქვა, რომელიც ახალგორის რაიონში გაიმართა. სხდომას მარიონეტული რეჟიმის ლიდერი ედუარდ კოკოითი და რუსეთის რეგიონული განვითარების მინისტრი ვიქტორ ბასარგინი ესწრებოდნენ.

აღნიშნული თანხიდან 2 ივნისს ცხინვალმა პირველი ტრანშის სახით 1,45 მილიარდი რუბლი უკვე მიიღო. მომდევნო სხდომას მხარეები ოქტომბერში, მოსკოვში გამართავენ.

ბასარგინმა განაცხადა, რომ ე.წ. სამხრეთ ოსეთი ელექტროენერგიისა და ბუნებრივი გაზის მიწოდების საკითხში საქართველოსგან, პრაქტიკულად, დამოუკიდებელია.

**ინტერპრესნიუსი**

## მოქალაქეთა ყოველთვიური შემოსავლით საქართველომ სომხეთის უკან ჩამოტოვება შეძლო

რეგიონის ქვეყნებში საშუალოდ ყველაზე მაღალ ყოველთვიურ შემოსავალს რუსეთის ფედერაციის მოქალაქეები იღებენ 726 აშშ დოლარი. ამის შესახებ „ნოვოსტი არმენიი" სომხეთის სტატისტიკის ეროვნულ სამსახურზე დაყრდნობით იუწყება.

2011 წლის მონაცემებით, რუსეთში ყოველთვიური საშუალო ხელფასი 726 აშშ დოლარს შეადგენს, მეორე ადგილზეა ყაზახეთი 600 დოლარი, მესამე ადგილზეა აზერბაიჯანი 440 დოლარი, მეოთხე ადგილზეა საქართველო - 343 დოლარი (572 ლარი), მეხუთეზე უკრაინა - 317 აშშ დოლარი, ხოლო მეექვსეზე სომხეთია - 308 დოლარი.

„ნიუს.ამ"-ის ცნობით, ამ თვალსაზრისით საქართველომ მხოლოდ მიმდინარე წელს შეძლო სომხეთის უკან ჩამოტოვება.

**მედიანიუსი**

# საქართველოს ნატოში არავინ მიიღებს

### მერაბიშვილმა აბდალა ესთან დაკავშირებით შეცდომა დაუშვა

ნონა ცაბა ე

### ინტერვიუ სახალხო კრების ერთ-ერთ ლიდერ ირაკლი ბათიაშვილთან

***— ბატონო ირაკლი, როგორც ცნობილი გახდა, ევროკავშირი საქართველოს ხელისუფლებისაგან 26 მაისს მომხდარი ფაქტების დეტალურ გამოძიებას ითხოვს. რა პროცესები შეიძლება მოჰყვეს ამას და რამდენად შეუქმნის ეს პრობლემებს ხელისუფლებას?***

— სიმართლე რომ გითხრათ, ჩვენ ველოდებოდით ევროკავშირისგან სწორედ ასეთ ადეკვატურ რეაქციებს. მიუხედავად იმისა, რომ ყველა მხრიდან — არასამთავრობო ორგანიზაციებიდან, ოპოზიციური პარტიებიდან უამრავი ინფორმაცია წავიდა 26 მაისთან დაკავშირებით საერთაშორისო საზოგადოებისა და ევროკავშირის მისამართით, ამ მხრივ ძალიან დიდი სამუშაო ჩაატარა ქალბატონმა ნინო ბურჯანაძემ, რომელიც ამ ხნის განმავლობაში არაერთხელ ჩავიდა ევროპაში, ორჯერ ჰქონდა ვიზიტი ბრიუსელში სწორედ იმ მიზნით, რომ მომხდარიყო იქაური საზოგადოების, პოლიტიკოსების, მასმედიის სწორი, ობიექტური ინფორმირება, თუ რა მოხდა 26 მაისს. მინდა ასევე ჩაგაყენოთ საქმის ყურში იმასთან დაკავშირებით, რომ თანდათანობით მართლაც ყალიბდება ადეკვატური პოზიცია და აზრი საქართველოს ხელისუფლებასთან დაკავშირებით. ძალიან იცვლება დამოკიდებულება და განსაკუთრებით ევროპაში. მე ვფიქრობ, რომ სწორედ ეს არის ამ სერიოზული მუშაობის შედეგი. ამ პერიოდში ჩვენ მიგვაჩნდა, რომ უპირველესი გასაკეთებელი რაც არის, არის სწორედ ეს, რომ ჩვენი ძალისხმევით ხელი შევუწყოთ იმას, რომ ევროპელებს ჩამოუყალიბდეთ სწორი, ადეკვატური შეფასება 26 მაისთან დაკავშირებით. თუ შეფასებები არ ჩამოუყალიბდებათ, ყოველ შემთხვევაში, გაუჩნდეთ ის კითხვები, რომლებიც შემდეგ მათ მიიყვანთ ობიექტურ და სწორ შეფასებამდე. ევროკავშირის პრეზიდენტის მოთხოვნა, რომ საჭიროა ობიექტური გამოძიების ჩატარება, სწორედ ამას ნიშნავს.

***— რამდენად გაქვთ იმის იმედი, რომ ჩატარდება ობიექტური გამოძიება და მოჰყვება ამას რეალური შედეგი?***

— ვინ უნდა ჩაატაროს? დღეს გამოძიებას ატარებს ვანო მერაბიშვილი. მან პირობითად „ჩაატარა" გამოძიება და „დასაჯა" თავისი რიგითი თანამშრომლები, ზოგს საყვედური გამოუცხადა, რამდენიმე თითქოსდა დაითხოვა სამსახურიდან. ჩვენ კარგად გვახსოვს, როგორ დაითხოვეს თანამდებობიდან დათა ახალაია, რომელიც დღემდე არის კუდის ხელმძღვანელი და ეს ყველაფერი იყო ბლეფი და ფიქცია. ასევე კარგად გახსოვთ, ვითომდა როგორ დაითხოვეს ის თანამშრომელი, ხელი რომ გაარტყა ვეტერანების აქციაზე ქალბატონს. როგორც ვიცი, ისიც გადაყვანილია სხვა დანაყოფში. ამიტომ ეს ყველაფერი არის ბლეფი. ეს არის, რა თქმა უნდა, ჩვენი დაცინვა და ჩვენ არ უნდა ველოდოთ, რომ ოდესმე სააკაშვილი ან მისი რომელიმე სტრუქტურა ჩაატარებენ ობიექტურ გამოძიებას. ზუსტად იგივე მდგომარეობაა, როდესაც ლაპარაკობენ საპარლამენტო კომისიაზე. დღევანდელი საპარლამენტო კომისიები რას წარმოადგენენ, მგონი, ყველამ კარგად ვიცით. დღევანდელი პარლამენტი ისეთივე ყურმოჭრილი მონა და ერთ-ერთი დეპარტამენტია სააკაშვილისა, როგორებიც — სხვა სამინისტროები, თუნდაც იგივე სასამართლო. თუმცა, აქვე გეტყვით, რომ როდესაც ევროკავშირი ასეთ სიგნალს აგზავნის, ეს უკვე არის ნიშანი იმისა, რომ აქ რაღაც ცუდად არის საქმე. ცხადია, ევროკავშირი ვერ იტყვის, მე ჩაგიტარებთ გამოძიებასო, თუმცა, არსებობს სხვადასხვა კომისია, იგივე აგვისტოს ომის შემსწავლელი კომისია, ევროკავშირის კომისია, რომელმაც დადო ძალიან მნიშვნელოვანი დასკვნა, სადაც მან ომის დაწყებაში პირდაპირ სააკაშვილი დაადანაშაულა, ყველაფერი ზუსტად არის გაანალიზებული, მაგრამ, სანამ აქამდე მივა საქმე, რომ, ვთქვათ, საერთაშორისო კომისია შეიქმნას და რაღაცა, ცხადია, ჯერ ითხოვენ არსებული ხელისუფლებისგან, რომ მიხედოს ამ საქმეს, გამოიძიოს, თუმცა, ყველამ კარგად ვიცით, რომ სააკაშვილი არაფერს გამოიძიებს.

***— რა პროცესების განვითარებას ელით, რა რეაქციები მოჰყვება ამას დასავლეთისგან, თუნდაც ევროკავშირისგან?***

— დღეს მიმდინარეობს საქართველოს ხელისუფლების კიდევ უფრო დიდი დისკრედიტაციის პროცესი, მისი მარგინალიზაციის პროცესი. 26-მა მაისმა ამაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი როლი ითამაშა. ეს პროცესი მიდის და დღეს უკვე ლაპარაკია საქართველოს ნატოში ინტეგრაციაზე, საერთოდ, ამ თემაზე დამთავრებულია ყველანაირი ლაპარაკი. ევროპელებს ამის გაგონებაც არ უნდათ და ერთი უმნიშვნელოვანესი როლი, რა თქმა უნდა, ამაში შეასრულა 26-მა მაისმა. წინა ხელისუფლების დროს საქართველო მართლაც რეალური პრეტენდენტი იყო ნატოში შესვლის. სწორედ ვარდების რევოლუციამდე მოგვცეს ჩვენ აიპაპის პროგრამა. მას მერე აღარაფერი ახალი არ მოუციათ. აიპაპის პროგრამა მაშინ იყო უდიდესი წინგადადგმული ნაბიჯი და მას მერე უნდა მოეცათ ჩვენთვის სამოქმედო პროგრამა, ეს მაპი. სამწუხაროდ, სააკაშვილმა თავისი უგუნური პოლიტიკით ყველაფერ ამას, საქართველოს პერსპექტივას ნატოში ინტეგრაციისა წერტილი დაუსვა. თავისივე ვანდალური ქმედებით 26 მაისს მან კიდევ უფრო დახურა ჩვენთვის ევროპაში შესასვლელი კარი და, რა თქმა უნდა, ეს არის ძალიან სამწუხარო ფაქტი ჩვენი ქვეყნისთვის. თუმცა, მეორე მხრივ, ის, რომ ხდება ლუსტრაცია უფრო მეტი, დღევანდელი მტარვალი რეჟიმისა, რომელსაც უკვე საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა ვეღარ იტანს და ამ ყველაფრის ლუსტრაცია რომ ხდება დასავლეთის წინაშე, ეს დადებითი პროცესია.

***— რაც შეეხება სახალხო კებას, რა ხდება დღეს სახალხო კრებაში და რა გეგმები გაქვთ?***

— სახალხო კრება ამ პერიოდში, პირდაპირ გეტყვით, არ ცდილობს, რომ ყოველწუთიერად ტელევიზიით ან პრესაში გამოჩნდეს, ასე ვთქვათ, მუდმივად იციმციმოს საზოგადოების წინაშე უაზროდ. ჩვენ ახლა ინტენსიურ ლაბორატორიულ სამუშაოს ვატარებთ, მთელ ამ ზაფხულს, ამ პერიოდს ვიყენებთ იმისათვის, რომ, ჯერ ერთი, დავალაგოთ ჩვენი შიდა სტრუქტურები. თქვენ იცით, თუ რამხელა დარტყმა განიცადა სახალხო კრებამ, ჩვენი ასეულობით აქტივისტი იქნა დაპატიმრებული. 50-მდე ადამიანი სისხლის სამართლის მუხლით არის გასამართლებული, მაგრამ ისინი არიან წმინდა პოლიტიკური პატიმრები. კი, ამაზე არის ხოლმე პრესაში ლაპარაკი სხვადასხვა ადამიანის მხრიდან, სხვადასხვა არასამთავრობოს მხრიდან, მაგრამ, რატომ არ არის ამაზე ამტყდარი ერთი ამბავი, ეს არის საკვირველი. როდესაც ყველა მათგანი არის ასე საშინლად დაჭერილი, რომ ასე ცინიკურად პირდაპირ ხელს ჰკიდებდნენ, მანქანაში აგდებდნენ და მერე უფორმებდნენ, რომ პოლიციას წინააღმდეგობა გაუწია და ისინი ბრალდებულები არიან და ასე იქნებიან გასამართლებულები, ამაზე უნდა შეძრულიყო ერი და ბერი, ასეთ უსამართლობაზე, მაგრამ, სამწუხაროდ, მხოლოდ სახალხო კრებას მოუწია ამაზე ლაპარაკი, სხვები მხოლოდ გაკვრით ლაპარაკობენ. ჩვენ ყველამ უნდა ვისწავლოთ ერთი რაღაცა, მაინცდამაინც თითოეულის კარზე რომ მიადგება უბედურება და ტრაგედია, მაშინ კი არ უნდა ამოიღოს ადამიანმა ხმა, არამედ, როცა ხედავს, რომ მეზობელთან გასაჭირია, მეზობელს მიადგა უსამართლობა, თორემ ასე სათითაოდ, ხომ ხედავთ, სახალხო კრების ხალხს დაერივნენ, სხვებმა არ ამოიღეს ხმა. მერე ქართული პარტიის ხალხს დაერივნენ, მერე ჟურნალისტებს, მერე დევნილებს, ახლა სამარშრუტო ტაქსების მძღოლებს დაერევიან. ამიტომ, არ ჯობდა, ყველა ერთად, როდესაც საშუალება იყო, 26 მაისს და 25-ში და 24-ში, ყველა გამოსულიყო, მთელი საზოგადოება. ეს უსამართლობა ხომ ყველას ეხება, სამარშრუტო ტაქსის მძღოლსაც, დევნილსაც, ჟურნალისტსაც და ნებისმიერი პარტიისა თუ არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელს. ეს არის ჩვენი საერთო საქმე. როგორც კი გავთითოკაცდებით და გავცალკევდებით, ცალ-ცალკე ნამდვილად მოგვერევიან.

***— ჟურნალისტები ახსენეთ და რას ფიქრობთ ფოტორეპორტიორების დაკავების ფაქტზე, ბატონო ირაკლი? მოვისმინეთ მათი აღიარებითი ჩვენებებიც, თუმცა, საზოგადოებას ამის ნაკლებად სჯერა...***

— სამწუხაროა, რომ ასე გატეხეს ეს ფოტორეპორტიორები. თავისთავად, სამწუხაროა, როდესაც ეს აღიარებითი ჩვენებები კეთდება, ყველას გული ჩაგვწყდა ამაზე. თუმცა, მე რასაც ვუყურე და მოვისმინე, არაფერი სერიოზულად არ მიმაჩნია და, მგონი, არავის სჯერა ამის. ჯერ ერთი, ყველა მეორეს აწერინებენ აღიარებით ჩვენებებს, ყველას. როდესაც იწერენ, მერე ეუბნებიან, დაწერე აღიარებითი ჩვენებაო, რომ საპროცესო შეთანხმებაზე წაიყვანონ. ეგრე არ დააწერინეს აღიარებითი ჩვენება ირაკლი ოქრუაშვილს? ათქმევინეს, მერე, წავიდა თუ არა გერმანიაში, იქიდან თქვა, რაც მე აღიარებით ჩვენებაში ვთქვი, არაფერი სწორი არ იყოო. ხვალ რომ გამოუშვან ფოტორეპორტიორები, ისინიც იმავეს იტყვიან, ანუ აღარავის სჯერა ამ აღიარებითი ჩვენებების. ეს არის საბჭოთა 30-იანი წლების პრაქტიკა. თქვენ რომ ნახოთ იმდროინდელი საქმეები, ყველგან არის აღიარებითი ჩვენებები. ასე რომ, ეს არაფერს წარმოადგენს, თუ რას იტყვიან, ერგნეთიდან გაიტაცესო, იმ პერიოდში ვის იტაცებდნენ ერგნეთის ბაზრობიდან?! ეტყობა, იმდენად იჩქარა მერაბიშვილის უწყებამ, რომ ვერსია წესიერად ვერ დაამუშავა. ეს არის წლები, როდესაც ცხინვალიდან გორში



და თბილისიდან ცხინვალში თავისუფლად დადიან, არავინ არავის აჩერებს, უფრო მეტს გეტყვით, პოლიციელები არ ამოწმებდნენ არავის, ისე თავისუფალი იყო მიმოსვლა, არანაირ საგუშაგოზე შემოწმება არ ხდებოდა. ეს სიტუაციაა 2002 წელს. მახსოვს, მაშინ ვიყავი თავდაცვის უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე, ჩასული ვიყავი ერედვში ერედველების სანახავად, მერე იქიდან გადავწყვიტე თამარაშენსა და აჩაბეთში გადასვლა და, გზა რომ არ გამემრუდებინა, პირდაპირ ცხინვალზე გადავედი. არც არავინ გამიფრთხილებია, საერთოდ, არც არავინ იცოდა, თუ მე ვიყავი და არავის გავუჩერებივარ.

***— მაშინ ეს ფაქტიც კარგად უნდა გახსოვდეთ, ბატონო ირაკლი, რასაც გიორგი აბდალაძე ყვება...***

— რომ მომხდარიყო, უნდა მახსოვდეს. მასეთი ფაქტი საერთოდ არ მახსოვს. მე ხომ უნდა მხსომებოდა? არ მახსოვს მე ასეთი რაღაცა და... კი, კრიმინალური დაჯგუფებები იყვნენ, მაგრამ იმ პერიოდში იყო აქტიური აღებმიცემობა, ერგნეთის ბაზრობაზე ოსები და ქართველები ერთმანეთში მიმოდიოდნენ, პრობლემა არ ჰქონდათ ურთიერთობის და რაღა ფოტორეპორტიორის დაჭერა მოინდომეს. მე ეს არასარწმუნო ვერსიად მიმაჩნია.

***— ითქვა, რომ ისინი 26 მაისის ფოტოკადრებს შეეწირნენ...***

— მე სწორედ ეს ვერსია მიმაჩნია რეალურად, რადგან მათ მიერ გადაღებული ფოტოკადრები საკმაოდ მწვავე იყო. თავს ვერ დავდებ, მაგრამ ეს ვერსია ყველაზე რეალური მგონია.

***— ბატონო ირაკლი, ასევე თქვენი შეფასებები მინდა კიდევ ერთ თემაზე. ხელისუფლებამ ღიად სცადა მართლმადიდებლობისა და ქართული ეკლესიის დისკრედიტაცია. როგორია ამ ფაქტთან დაკავშირებით თქვენი რეაქცია?***

— ეს პროცესი, რომელიც წამოიწყო ხელისუფლებამ, ორ რამეს ისახავდა მიზნად. პირველი — დაეკმაყოფილებინათ სომხური ეკლესიის სრულიად გაუმართლებელი პრეტენზიები ჩვენს ტაძრებზე და ამ კანონის ასე დაჩქარებული მიღების რეალური სარჩული სწორედ ეს არის. მეორე — ეს იყო გეგმა, სადაც გათვალისწინებული იყო და მე მაქვს ამის შესახებ ინფორმაცია, რომ სწორედ ამის შედეგად მოხდებოდა საქართველოს ეკლესიისა და ჩვენი პატრიარქის დისკრედიტაცია. მინდა გითხრათ, რომ საზოგადოების გარკვეულ ნაწილში მართლაც არის კრიტიკული გამონათქვამები სინოდის მიმართ, უკმაყოფილება ეკლესიის მიმართ. აი, სწორედ ამას ისახავდა მიზნად ხელისუფლება, სააკაშვილი, ბოკერია, რომ ხალხში განწყობილებები შეეცვალათ და, გარკვეულწილად, მიაღწიეს ამას. სამწუხაროდ, ამას მიაღწიეს და საზოგადოების გარკვეულ ნაწილში არის ეს უკმაყოფილება. საზოგადოება თვლის, რომ სინოდის გადაწყვეტილება არის უკანდახევა, უპრინციპობა და ასე შემდეგ. მე მიმაჩნია, რომ ჩვენს ეკლესიას იმხელა წვლილი აქვს ერის გამთლიანებაში და საერთოდ იმაში, რომ ჩვენ ვარსებობთ და ვსულდგმულობთ, რომ ახლა კრიტიკის, ქილიკისა და ლანძღვა-გინების დრო კი არ არის, არამედ არის დრო ეკლესიისა და პატრიარქისადმი მაქსიმალური თანადგომისა. დღეს ერთადერთი ინსტიტუტია ეკლესია, რომელსაც ძალუძს ერის კონსოლიდაცია.

შედით საიტზე atb.ge



# ჩახვაძე ისრაელზე ნაწყენია

ნანა მიშელაშვილი

ისრაელმა საქართველო სახიფათო ქვეყნების სიაში შეიყვანა. ეს პირველი შემთხვევა არ არის, როდესაც ისრაელმა ასეთ ნაბიჯს მიმართა. ისრაელმა საქართველო სახიფათო ქვეყნების სიაში რამდენჯერმე შეიყვანა და ამოიღო.

ედპ-ის წევრი, დეპუტატი გურამ ჩახვაძე, ისრაელის მიერ საქართველოს სახიფათო ქვეყნების სიაში შეყვანას ებრაელი ბიზნესმენების დაკავებას უკავშირებს. ისრაელის ანტიტერორისტულმა შტაბმა საქართველო იმ ქვეყნების ჩამონათვალში შეიყვანა, სადაც ებრაელებისთვის გამგზავრება სახიფათოა.

ჟურნალისტებთან საუბარში გურამ ჩახვაძემ განაცხადა, რომ თუკი ისრაელის მხარე თავის მოქალაქეებს აფრთხილებს ტერორიზმთან მიმართებაში და აქ საუბარია საერთაშორისო ტერორიზმზე, მაშინ ის ვალდებულია, ქართული სახელმწიფო საქმის კურსში ჩააყენოს, რა კონკრეტულ საფრთხეებს ხედავს.

გურამ ჩახვაძე აღნიშნავს, რომ საქართველო სხვა ქვეყნებთან ერთად არის ტერორიზმთან ბრძოლის საერთაშორისო თანამეგობრობის წევრი. დეპუტატის თქმით, საქართველოში კრიმინოგენური სიტუაცია არანაირ საფრთხეს არ შეიცავს, მეორეც, ქართული სახელმწიფო დაინტერესებულია, რაც შეიძლება მეტი ტურისტი შემოვიდეს და ამის რეკლამირებაში გარკვეული თანხები იხარჯება.



— ერთადერთი, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს იყოს ებრაელი ბიზნესმენების დაჭერასთან დაკავშირებული. ამ განცხადებით ისრაელს სურს, „დასაჯოს" საქართველო და ბიზნესმენების გამოშვების საკითხი გააააქტიუროს, — აღნიშნა გურამ ჩახვაძემ.

„ისრა.კომ" იუწყება, რომ ისრაელის ტერორიზმთან ბრძოლის შტაბი თანამემამულეებს საქართველოში, აზერბაიჯანსა და თურქეთში გამგზავრებისგან თავის შეკავებას ურჩევს.

რაც შეეხება თურქეთის საშიში ქვეყნების სიაში შეყვანას, ამაში ჩახვაძე პოლიტიკურ მოტივს ხედავს, რადგან ისრაელსა და თურქეთს შორის არ არის თბილი ურთიერთობა. ისრაელის ანტიტერორისტულმა შტაბმა საქართველო იმ ქვეყნების ჩამონათვალში შეიყვანა, სადაც ებრაელებისთვის გამგზავრება სახიფათოა.

— თუ აუცილებლობის შემთხვევაში მაინც გადაწყვეტთ ამ ქვეყნებში ვიზიტს, გირჩევთ, მაქსიმალური სიფრთხილე და დაკვირვება გამოიჩინოთ, — ნათქვამია შტაბის მიერ გამოქვეყნებულ განცხადებაში. იგივე რეკომენდაცია გაიცა სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის ქვეყნებთან დაკავშირებითაც.

განცხადებაში განმარტებულია ისიც, რომ ისრაელი საქართველოს კვლავ „გრუზიად" მოიხსენიებს.

„მართალია, საქართველოს ხელისუფლება ოფიციალურად ითხოვს, რომ სახელწოდებად „ჯორჯია" გამოვიყენოთ, თუმცა „გრუზია", ჩვენი აზრით, უკეთ ჟღერს", — განმარტავენ ისრაელის ტერორიზმთან ბრძოლის შტაბში.

საპარლამენტო უმრავლესობის წევრები ამ საკითხზე კომენტარის გაკეთებისგან თავს იკავებენ.

საპარლამენტო ოპოზიციის დანარჩენი წევრები კი ისრაელის გადაწყვეტილებას ასევე ებრაელი ბიზნესმენების დაკავებას უკავშირებენ.

## ბოტანიკური ბაღი თბილისის მერიას გადაეცემა

საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღი ილიას უნივერსიტეტს გამოეყოფა და თბილისის მერიას გადაეცემა, - ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს" ილიას უნივერსიტეტის ადმინისტრაციის უფროსმა სერგო რატიანმა განუცხადა.

ბოტანიკური ბაღი და ბოტანიკის ინსტიტუტი უკვე 4 წელია გაერთიანებულია. ის ილიას უნივერსიტეტის დაქვემდებარებაშია. 4 ივლისს ილიას უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ თანამშრომლებს საბიუჯეტო დაფინანსების განულებისა და ახალი ხელშეკრულებების შესახებ აცნობა.

როგორც რატიანი განმარტავს, უნივერსიტეტს სახელმწიფო დაფინანსება 47%-ით შეუმცირდა და დადგა საკითხი, როგორ უნდა გადანაწილებულიყო თანხა, რომელიც უნივერსიტეტს დარჩა.

— ჩვენ მივმართეთ სამინისტროს, დაეზუსტებინა რაზე იყო მიზანშეწონილი სახელმწიფო დაფინანსების დახარჯვა. სამინისტრომ დაასახელა რამდენიმე ინსტიტუტი, რომელთა შორის ბოტანიკის ეროვნული ბაღი ვერ მოხვდა. ბოტანიკურ ბაღს აქვს სხვა დაფინანსების წყაროები, მათ შორის გრანტები და მას ეს დარჩება, — აღნიშნა რატიანმა.

მისივე თქმით, ახალი ხელშეკრულებებით, რომელიც ბაღის თანამშრომლებს წარედგინათ, დარჩენილია საგრანტო და სხვა ტიპის დაფინანსებები და ამ დაფინანსების ფარგლებში ისინი უნდა იყვნენ უნივერსიტეტის თანამშრომლები.

**ინტერპრესნიუსი**

## ხაშურის მუნიციპალიტეტში საჭადრაკო ჩემპიონატი ჩატარდა

ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ გომში მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ერთეულების გუნდებს შორის ჭადრაკში ჩემპიონატი ჩატარდა. ჩემპიონატში რვა გუნდი იღებდა მონაწილეობას. თითოეული გუნდიდან კი სამი წარმომადგენელი ასპარეზობდა. ჩემპიონატს კომპეტენტურ ჟიურისთან ერთად, ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე იოსებ ქურდაძეც ესწრებოდა. დაძაბულ და საინტერესო ბრძოლაში პირველობა სოფელ ქვიშხეთის გუნდმა მოიპოვა, რომელსაც საპატიო თასი გადაეცა. გამარჯვებული გუნდი ხაშურის მუნიციპალიტეტის ღირსებას უკვე შიდა ქართლის პირველობაზე დაიცავს. ტურნირი შიდა ქართლის ჩემპიონატის ფარგლებში მოეწყო.

**ინტერპრესნიუსი**

# ხელისუფლება არჩევნებზე დაისჯება

**როგორ აისახება მსოფლიო ეკონომიკაზე აშშ-ში არსებული ფინანსური კრიზისი და მოახდენს თუ არა გავლენას საქართველოს ხელისუფლების არაპოპულარული ნაბიჯები მის ლეგიტიმურობაზე, „ინტერპრესნიუსი" ექსპერტს ეკონომიკის საკითხებში, ნოდარ ხადურს ესაუბრა**

*— ბატონო ნოდარ, მთელი მსოფლიო ელოდება, შეძლებენ თუ არა აშშ-ს პოლიტიკური ძალები ქვეყნის დეფიციტის შემცირების გეგმასა და ამერიკის ვალის ზედა ზღვრის 14,3 ტრილიონამდე განსაზღვრის საკითხებში კონსენსუსს მიღწევას. თუ კონსენსუსი არ შედგა, ეკონომიკური ექსპერტები გლობალურ კატაკლიზმებსა და მსოფლიო ეკონომიკის ნანგრევებში აღმოჩენას ვარაუდობენ. რამდენად რეალურია აშშ-ში დეფოლტის გამოცხადება და იმ დამანგრეველი შედეგების მიღება, რომელზეც ექსპერტები საუბრობენ?*

— საუბარს ოპტიმისტური ნოტით დავიწყებ და იმედს გამოვთქვამ, რომ აშშ დეფოლტის წინაშე არ დადგება და ბევრი მიზეზის გამო, დეფოლტს არ გამოაცხადებს. ვაშინგტონში კარგად ესმით, თუ რა პოლიტიკური შედეგები შეიძლება მოჰყვეს აშშ-ის მიერ დეფოლტის გამოცხადებას, ამიტომ თეთრი სახლი დეფოლტს პოლიტიკური მიზეზების გამო არ გამოაცხადებს.

თუმცა, დავუშვათ და ასე მოხდა. იმის გათვალისწინებით, რომ ამერიკის ეკონომიკა და ამერიკული დოლარი მსოფლიო ეკონომიკაზე უდიდეს გავლენას ახდენს, მისი შედეგები მსოფლიო ეკონომიკაზე შესაბამისად აისახება. აშშ-ს ვალუტა პრაქტიკულად, არაოფიციალურად მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში ასრულებს იმავე ფუნქციებს, რასაც ასრულებს საქართველოში. ანუ, გარიგებების დიდი ნაწილი იდება დოლარში. ამას ემატება ის, რომ ნავთობზე, ოქროზე ფასების კვოტირება ხდება ამერიკულ დოლარში. ანუ, დოლარი გაცილებით მეტია, ვიდრე ერთი ქვეყნის ვალუტა. შესაბამისად, მის სიმყარეზე ძალიან ბევრი რამ არის დამოკიდებული.

ამიტომ, აშშ-ს მიერ დეფოლტის გამოცხადება ძალიან მძიმე ვითარებაში ჩააგდებდა მსოფლიოს ეკონომიკას. თუ აშშ-ს საკანონმდებლო ორგანო ვერ შეთანხმდება გარკვეული საბიუჯეტო რეგულაციები შემოღებაზე, ეს ქვეყანას პრობლემებს შეუქმნიდა მძიმე ვითარებიდან თავის დაღწევაში. თუმცა ისიც ცხადია, რომ ამერიკას მომავალში და არა მარტო ამერიკას, მოუწევს თავისი საბიუჯეტო დეფიციტის შემცირება. საბიუჯეტო დეფიციტი ისეთი დიდი ეკონომიკისთვის, როგორიც აშშ-ს ეკონომიკაა, მძიმე ტვირთია.— შესაძლოა, დილეტანტურ კითხვას ვსვამ, მაგრამ მაინც უნდა გკითხოთ — რა გამოდის — მსოფლიოში ეკონომიკის განვითარება დამოკიდებულია არა ეკონომიკურ კანონზომიერებებზე, არამედ იმაზე, შეძლებენ თუ არა აშშ-ს გავლენიანი პოლიტიკური ძალები ერთმანეთს შორის კონსესუსის მიღწევას? — აშშ-ს ბიუჯეტის თანხები იხარჯება არა მარტო აშშ-ში, მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში და მათ შორის საქართველოშიც. გარდა ამისა, აშშ-ს ეკონომიკა მსოფლიოს წამყვანი ეკონომიკაა და ამერიკელი ინვესტორები ყველა ქვეყანაში, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, არიან სასურველები. ამ იშვიათ გამონაკლისში, ალბათ მხოლოდ ვენესუელა და კიდევ რამოდენიმე ქვეყანა თუ შედის. შესაბამისად, აშშ-ში მიღებული პოლიტიკური გადაწყვეტილებები უპირველეს ყოვლისა ზეგავლენას ახდენს ამერიკულ ბიზნესზე და ის შემდეგ გავლენას ახდენს პრაქტიკულად მთელი მსოფლიოს ეკონომიკაზე.

*— თბილისში მიკროავტობუსებზე მგზავრობის ფასის გაძვირებით საზოგადოება აშკარად უკმაყოფილოა. ოპოზიციის ნაწილი მგზავრობის ფასის ზრდას ამ სფეროს მონოპოლიზირებას უკავშირებს. საქმეში ჩახედულ სპეციალისტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ შემოდგომით საქალაქო ტრანსპორტით მგზავრობის შესაძლო, 1-1,5 ლარიც კი გახდეს. თქვენც ასე ფიქრობთ?*

— პრობლემა სერიოზულია და ამ პრობლემაზე ჩვენ ვსაუბრობდით დეკემბერში, იანვარში, თებერვალში, ანუ მაშინ, როცა გადაწყვეტილება მიღებული არ იყო. თუმცა იმ ფონზე, როცა აბსოლუტურად კონკურენტული გარემო ჩაიკეტა და ქალაქში მიკროავტობუსების მოძრაობა თეორიულად ოთხ, მაგრამ პრაქტიკულად ერთ კომპანიაზე გადანაწილდა, ფასის გაძვირება მოსალოდნელი იყო. კომპანიებს, რომლებსაც შემოჰყავთ ახალი სამარშუტო ტაქსები, ამ მანქანების ღირებულება ხომ უნდა ამოიღონ. თან ალბათ, მალე უნდათ დახარჯული ფულის ამოღება. 50 თეთრი ყოფნიდა ძველი მანქანების მომსახურებას და მფლობელები და მძღოლები ოჯახებს ინახავდნენ. სამარშრუტო მანქანებს ავტობუსები და მეტრო კონკურენციას ვერ უწევს. პრაქტიკულად, ხელისუფლებამ მგზავრობის ფასის გაძვირებისათვის ყველა პირობა შექმნა.

ახლა რაც შეეხება იმას, კიდევ გაძვირდება თუ არა მგზავრობის ღირებულება. ძალიან სამწუხაროა, რომ ხელისუფლებამ ტრანსპორტით მგზავრობის ფასის დასარეგულირებლად არანაირი სამართლებრივი და ეკონომიკური ბერკეტი არ დაიტოვა. ანუ, ამ თვალსაზრისით, სიტუაცია არის მძიმე. ამიტომ, მე არ გამოვრიცხავ, რომ გარკვეულ პირობებში კიდევ დაისვას მგზავრობის ღირებულების გაზრდის საკითხი. სამწუხაროდ, ხელშეკრულებები ჩემი თვალით ნანახი არა მაქვს, მაგრამ ტელევიზიით ამ საკითხებზე მძღოლების განმარტებები მოვისმინე. მათი განმარტებით ისინი კაბალურ პირობებში მუშაობენ. მათი პრობლემაა ყოველთვიური შენატანი, მანქანის საწვავით მომარაგება, მომსახურების თანხები, საბურავის გამოცვლა, დაზღვევა. თუ ამ ყველაფრის ანაზღაურებას 80 თეთრი არ ეყოფა, მგზავრობის ფასების გაზრდას წინ არაფერი დაუდგება.

გარკვეული ტიპის სიფრთხილეა საჭირო, რომ პროცესები არასასურველი სცენარით არ განვითარდეს. ჩემი აზრით, არც ისაა შემთხვევითი, რომ ფასების ზრდა ზაფხულში ხორციელდება. პოლიტიკური პროცესები ზაფხულში დასრულებულია, ქვეყანაში პოლიტიკური არდადაგებია და პროტესტის გამოხატვის დროა არაა. კიდევ გაძვირდება თუ არა მგზავრობის ფასი, ეს ბევრ ფაქტორზე იქნება დამოკიდებული. ჯერ არავინ იცის, შემოდგომით მოჰყვება თუ არა მგზავრობის ფასის გაძვირებაზე საზოგადოების მხრიდან რეაგირება. კიდევ გაძვირდება თუ არა ტრანსპორტით მგზავრობის საფასური, ეს ბევრ ფაქტორზე იქნება დამოკიდებული, მათ შორის პოლიტიკური პროცესის ტემპერატურაზე.



*— საზოგადოება ერთგვარად შეეჩვია კიდეც უმკაცრესი ფორმებით დევნილთა თბილისიდან გასახლების სცენებს. სულ ახლახან ამ პროცესის მორიგი ეტაპი დაიწყო. თქვენი აზრით, რით შეიძლება აიხსნას დევნილთა მიმართ ხელისუფლების მხრიდან ასეთი ტიპის მოქმედება?*

— უდავოა, რომ ამ პროცესს ძალიან მკაცრი ფორმები აქვს მიღებული. თავისთავად ცხადია, რომ როცა ხელისუფლებამ დაიწყო ეს პროცესი, იგი შუა გზაზე არ გაჩერდებოდა და ამ საქმეს ბოლომდე მიიყვანდა. ამ პროცესის თანმხლები ფორმები ხელისუფლებამ კარგა ხანია აირჩია და ცდილობს თბილისში დევნილთა კონცენტრაციის მინიმუმამდე დაყვანას. ცხადია, რომ ამისთვის ძალიან ცუდი დროა შერჩეული. ახლა კიდეც რომ ჩაიყვანო სოფლად დევნილი ოჯახი, იგი მიწის დამუშავებას ვერც კი მოასწრებს და რა უნდა ქნას მან მომავალ ზაფხულამდე? ყველამ იცის, რომ სოფლებში სამუშაო ადგილები არ არის. დევნილთა დიდი ნაწილი თბილისში სავაჭრო ობიექტებში მუშაობით ირჩენდა თავს. ამიტომ, ცხადია, რომ თბილისიდან გაყვანილ ყველა დევნილ ოჯახს სოფელში მოხვედრის შემდეგ ბევრი პრობლემის გადაჭრა მოუწევს.

*— რამდენად უკავშირდება თბილისიდან დევნილთა გასახლება ქართული ეკონომიკის განვითარებას.? იმ შენობების პრივატიზაციას, რომელშიც დევნილები კომპაქტურად ცხოვრობენ? ან უკვე დახურული ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, პოლიტოლოგიის შენობების გაყიდვას?*

— პრობლემა, რომელიც არსებობს და ქვეყნის ბიუჯეტს უკავშირდება, არის ინვესტიციების ნაკლებობა. ამ პრობლემის გადაჭრის რამოდენიმე გზა არსებობს, მაგრამ ჩემი აზრით, აბსოლუტურად არასწორია თუ ქვეყანა იმისკენ აიღებს მიმართულებას, რომ საბიუჯეტო შემოსავლები და ინვესტიციები მხოლოდ პრივატიზების იმედად იყოს. სრულიად დაუშვებელია ქვეყნის ბიუჯეტის შესავსებად დაიხუროს ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, ან სხვა ინსტიტუტები და მათი შენობები კი გაიყიდოს. სამწუხაროდ, სამეცნიერო ინსტიტუტებში მინიმალური ხელფასებია და ჩვენ კვალიფიციურ კადრებს ვკარგავთ. თუ ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისთვის შენობების გაყიდვა პრიორიტეტია, მაშინ ჩვენი საქმე ძალიან ცუდად ყოფილა. გარდა ამისა, ძალიან ცუდია, რომ ხელისუფლება მეცნიერებისადმი, როგორც გერი ბავშვისადმი დამოკიდებულებას ავლენს. არადა, სწორედ მეცნიერებამ უნდა უზრუნველყოს ქვეყანაში პროცესების სწორად წარმართვა და არსებული პრობლემების წარმატებით გადაჭრა.

*— დასავლური ანალიტიკური ინტერნეტგამოცემა „ჭორლდ ზოლიტიცს ღევიეწ" აზრით, „საქართველოში დემოკრატიის სტაგნაცია ხელისუფლების ლეგიტიმურობას ემუქრება". რამდენად სამართლიანია დასავლური გამოცემის შეფასება და როგორ აისახება ხელისუფლების მხრიდან არაპოპულარული ნაბიჯების გადადგმა მისსავე ლეგიტიმურობის ხარისხზე?*

— აქ სერიოზული პრობლემაა, ვინაიდან, საერთაშორისო არენაზე საქართველოსადმი და საქართველოს ხელისუფლებისადმი მოთხოვნები იმის გამოა მაღალი, რომ ჩვენ ჩვეულებრივ ქვეყნად არ განვიხილებით. საქართველო ჯერჯერობით ერთადერთი ქვეყანაა, რომელშიც შენარჩუნებულია ე.წ. ფერადი რევოლუციების შედეგი. ამდენად ჩვენი ქვეყნისთვის გამადიდებელი ლუპით დაკვირვება ჩვეულებრივი ამბავია როგორც რევოლუციების მოწინააღმდეგე ქვეყნებიდან, ისე მომხრეებისაგან. თავისთავად ცხადია, რომ თუ ქვეყნის ხელისუფლება დაეჩვევა არადემოკრატიული ნაბიჯების გადადგმას, ჩვენი ქვეყნისადმი, როგორც დემოკრატიული სახელმწიფოსადმი დამოკიდებულება სულ უფრო უარყოფითი გახდება და სამწუხაროდ, ეს აისახება არა მხოლოდ პოლიტიკურ, არამედ ბევრ სხვა პროცესზეც.

საბოლოო ჯამში, ხელისუფლების მიერ გადადგმული არაპოპულარული ნაბიჯები არჩევნებზე კენჭისყრის შედეგებზე აისახება. გაისად უკვე ერთი არჩევნები გვაქვს, შემდეგ, მეორე არჩევნებია. არაპოპულარული ნაბიჯებით დაგროვილი პრობლემები ან კენჭისყრის შედეგებზე აისახება, ან თუ ამომრჩეველი მიხვდა, რომ მისი ხმა დაკარგულია, შეიძლება, გაცილებით უფრო რთული პროცესები მივიღოთ, ვიდრე ეს დღეს ერთი შეხედვით ჩანს. ამიტომ, ძალიან მნიშვნელოვანია ქვეყნის შიგნით დაბალანსებული პოლიტიკის გატარება და იმაზე ფიქრი, რომ ქვეყანაში მართლაც არ იყოს გადადგმული ისეთი არაპოპულარული ნაბიჯები, რომელიც საზოგადოებისთვის აშკარად მიუღებელია. საუბარია ისეთ ნაბიჯებზე, რომელიც მაგალითად, 204-ე ბაგა-ბაღიდან დევნილების გამოსახლებაა. არ ვიცი, ამ ბაგა-ბაღში რა ინვესტიციების მოზიდვაზეა საუბარი, მაგრამ ფაქტია, რომ ამავე ბაგა-ბაღში განვითარებულ მოვლენათა ტელევიზიით ხილვით, ხელისუფლება არა ერთ თავგამოდებულ მხარდამჭერს დაკარგავდა.

**ინტერპრესნიუსი**

# მგზავრობის გაძვირებამ დეპუტატების აღაშფოთა

ნანა მიშელაშვილი

სამარშრუტო ტაქსებით მგზავრობის ღირებულების გაზრდამ ოპოზიციონერი დეპუტატებიც აღაშფოთა. 50 თეთრიდან 80 თეთრამდე მგზავრობის გაძვირების საკითხზე შეკითხვები დეპუტატებსაც გაუჩნდა.

ახალი ოპოზიციური ფრაქციის „ერთობა სამართლიანობისათვის" მდივანი დიმიტრი ლორთქიფანიძე მონოპოლიებზე საუბრობს. ფრაქცია „ძლიერი საქართველოს" წევრი გურამ ჩახვაძე კი ბაზარზე მონოპოლიასა და კარტერულ გარიგებებზე მიუთითებს. სწორედ მონოპოლიას უკავშირებს დიმიტრი ლორთქიფანიძე „მარშრუტკებით" მგზავრობის საფასურის 80 თეთრამდე გაძვირებას.

ოპოზიციონერი დეპუტატი აცხადებს, რომ სამარშრუტო ტაქსების სფეროში აბსოლუტურად უკონტროლო ბიზნესგარემო ჩამოყალიბდა.

— როგორც ამბობენ, ამ სფეროს უკან თავის დროზე მოსკოვში მოღვაწე ბიზნესმენები — შარანგიები დგანან, რომელთაც ამ ბიზნესით სიკეთის მიღების ექსკლუზიური უფლება მიეცათ, — აცხადებს დიმიტრი ლორთქიფანიძე.

დეპუტატი ამბობს, რომ „მარშრუტკებით" მოსარგებლეთა უმრავლესობა სწორედ სოციალურად დაუცველთა ფენას განეკუთვნება, ამიტომ მათზე ხელისუფლებამ დროულად უნდა იზრუნოს.

— მართალია, ხელისუფლება სოციალურად დაუცველთა ფენას საკუთარი კლასიფიკაციით ქულამინიჭებულთა საზოგადოებრივ ჯგუფს მიაკუთვნებს, მაგრამ, მინდა, მათ შევახსენო, რომ, რეალური სურათიდან გამომდინარე, სოციალურად დაუცველთა ფენა გაცილებით დიდ საზოგადოებრივ მასას მოიცავს, — აღნიშნა დიმიტრი ლორთქიფანიძემ. □ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი გურამ ჩახვაძე კი აცხადებს, რომ ბაზარზე კონკურენციის პირობებით საქართველო მე-19 საუკუნეშია ჩარჩენილი. გურამ ჩახვაძის თქმით, ცივილიზებულმა სამყარომ, საქართველოსგან განსხვავებით, ბაზარზე მონოპოლიასა და კარტერულ გარიგებებზე უარი ჯერ კიდევ ორი საუკუნის წინ თქვა.

დეპუტატი სწორედ მონოპოლიასა და კარტერულ გარიგებას უკავშირებს სამარშრუტო ტაქსებით მგზავრობის საფასურის 50-დან 80 თეთრამდე გაძვირების ფაქტს.

— თავის დროზე საქართველოს კანონმდებლობა კერძო მეწარმე სუბიექტებს შორის გაერთიანებებსა და მათ შორის კარტელური გარიგებების დადებას ცალსახად კრძალავდა, რადგან ეს მომხმარებელთა ინტერესებს ლახავს. ამ კანონმდებლობის გაუქმება „ვარდების რევოლუციის" შემდეგ მოხდა, — აღნიშნა ჩახვაძემ.

ედპ-ის წევრის განცხადებით, ქართულ მხარეს ახალი ანტიმონოპოლიური კანონი ჯერ კიდევ წლის დასაწყისში უნდა ჰქონოდა მზად, თუმცა იგი პარლამენტში ამ დრომდე არ არის მომზადებული.

კიდევ ერთი საკითხი, რაზეც ჩახვაძე საუბრობს, არის ის, რომ ხელისუფლება ქვეყანაში საშუალო ფენის შექმნით პრინციპულად არ არის დაინტერესებული.

— ეკონომიკურად თავისუფალი საშუალო ფენა პოლიტიკურადაც თავისუფალია და იგი თავისუფალ პოლიტიკურ არჩევანს აკეთებს. ჩვენს ქვეყანაში ეკონომიკა ბოლშევიკური მეთოდით იმართება — ეკონომიკას არა კანონები, არამედ პოლიტიკური კონიუნქტურა განსაზღვრავს, — აღნიშნა გურამ ჩახვაძემ.

ოპოზიციონერი დეპუტატების ნაწილი ამბობს, რომ „მარშრუტკების" გაძვირვებასთან დაკავშირებით შეკითხვები მათაც აქვთ და მასზე პასუხს საპარალმენტო უმრავლესობისგან მოითხოვს.

## გია ცაგარეიშვილი:
# ქრისტიან-დემოკრატები კონკურენტის გამოჩენით გაღიზიანდნენ



პარლამენტში ახალადშექმნილი ოპოზიციური ფრაქციის „ერთობა სამართლიანობისთვის" თავმჯდომარე გია ცაგარეიშვილი მიიჩნევს, რომ „ქრისტიან-დემოკრატები" კონკურენტის გამოჩენით გაღიზიანდნენ".

სწორედ ასე პასუხობს ცაგარეიშვილი „ქრისტიან-დემოკრატების" ერთ-ერთი ლიდერის ლევან ვეფხვაძის განცხადებას იმის შესახებ, რომ ის „მომავალი საპარლამენტო არჩევნებისთვის ირაკლი ალასანიას, ზურაბ ნოღაიდელის და ნინო ბურჯანაძის გაერთიანების პერსპექტივას მიესალმება".

— საპარლამენტო მუშაობა „ქრისტიან-დემოკრატებს" უკონკურენტო გარემოში უწევდათ და ახლა მათ ეს იდილია დაერღვათ, ამიტომ მათი შეშფოთების მესმის. რაც შეეხება ალასანიას, ნოღაიდელის, ბურჯანაძის და „ქართული დასის" გაერთიანების პერსპექტივას, აღნიშნული საკითხი დღის წესრიგში არ დგას და მისი ფრაქციის შექმნასთან დაკავშირება არასერიოზულია, — განუცხადა ჟურნალისტებს ცაგარეიშვილმა.

შეგახსენებთ, რომ ფრაქცია „ერთობა სამართლიანობისათვის" „ქართული დასის" ლიდერს, დეპუტატ ჯონდი ბაღათურიას, ზურაბ ნოღაიდელის პარტიის წევრ პეტრე მამრაძეს, „სახალხო კრების" გამგეობის წევრ კარლო კოპალიანს, უმრავლესობის ყოფილ წარმომადგენელ თამაზ დიასამიძეს, პარტია „თავისუფალი დემოკრატების" წევრ გიორგი ცაგარეიშვილსა და ფრაქცია „ძლიერი საქართველოს" ყოფილ წევრ დიმიტრი ლორთქიფანიძეს აერთიანებს.

პირველი

# დედოფლისწყაროს რაიონში დიზელის საწვავის დეფიციტია

„ახალი მემარჯვენეების" დედოფლისწყაროს ორგანიზაციის თავმჯდომარის სოსო ბეჟანიშვილის განცხადებით, რაიონში დიზელის საწვავის დეფიციტია.

— თუ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ არ იცის, რომ ალოობის (მოსავლის აღების პერიოდი) პერიოდში დედოფლისწყაროს რაიონში, რომელიც ქვეყნისთვის ძირითადი ბეღელია, საწვავი პრაქტიკულად არ იშოვება, ეს ძალიან ცუდია, — განაცხადა ბეჟანიშვილმა.

მისივე თქმით, ამინდი ხელს უწყობს ალოობას, მაგრამ დიზელის საწვავის უქონლობა სერიოზულ პრობლემებს ქმნის.

„ახალი მემარჯვენეები" ამ პრობლემას საწვავით მომარაგების სფეროში არსებულ მონოპოლიას უკავშირებენ და ხელისუფლებას საგანგებო ზომების მიღებისკენ მოუწოდებენ.

პირველი

# ვინ ზრდის მგზავრობის საფასურს?

შორენა გონგლა ე



ალბათ ყველა შენიშნავდა, რომ თბილისში მოძრავ სამარშუტო ტაქსებს საქარე მინებზე დაბეჭდილი პატარა ფურცლები აქვთ მიკრული, რომელიც გვაუწყებს, რომ მგზავრობა ამიერიდან 50 თეთრის ნაცვლად 80 თეთრი გახდა. მგზავრობის ტარიფის ზრდაში გასაკვირი ნამდვილად არაფერია, მაგრამ ერთნაირი, ნაბეჭდი მინი ტრაფარეტები კი იმაზე მეტყველებს, რომ საქმე არა მძღოლების პირად შემოქმედებასთან, არამედ ქალაქის თავკაცების უნამუსოდ გაზრდილ მადასთან გვაქვს, რადგანაც, როგორც წესი, მძღოლები ტარიფებს საკუთარი ხელით დაწერილი ქაღალდის ნაგლეჯით ამცნობენ მგზავრებს. მოკლედ, ასეა თუ ისე, მერიის მითითებით სამარშრუტო ტაქსებმა ყოველგვარი არგუმენტის გარეშე მგზავრობის ფასი გაზარდეს. ფასის ზრდა გუშინ საერთო-სახალხო წინააღმდეგობის მოძრაობამ გააპროტესტა. მოძრაობის წევრ მამუკა გობეჩიას განცხადებით, მოძრაობის ოფისში მოქალაქეები რეკავენ და სიტუაციაში გარკვევას ითხოვენ.

— გუშინ საერთო-სახალხო მოძრაობის ოფისში დედაქალაქში მცხოვრები მრავალი აღელვებული მოქალაქე დაგვიკავშირდა და გვთხოვა გაგვერკვია, თუ რამ გამოიწვია სამარშრუტო ტაქსების მომსახურების ტარიფების ზრდა 50 თეთრიდან 80 თეთრამდე, მიუხედავად იმისა, რომ სამარშრუტო ხაზებზე ძირითადად, მერიის შეფასებით, კვლავ „დანჯღრეული და არაკომფორტული" მიკროავტობუსები მოძრაობენ, — აცხადებს გობეჩია.

წინააღმდეგობის მოძრაობა შეეცადა, მერიის შესაბამის სამსახურებთან გაერკვია, აღმოჩნდა, რომ „თბილლაინის" ცხელი ხაზი მუდმივად დაკავების რეჟიმშია, პრესსამსახურმა კი მგზავრობის საფასურის ზრდა მძღოლების თვითშემოქმედებად გაასაღა. ბუნებრივია, მოძრაობის წევრები პრესსამსახურის ინფორმაციას არ დაეყრდნენ და ინფორმაციის მიღებას პირველწყაროსთან შეეცადნენ. სამარშრუტო ტაქსის მძღოლები ამბობენ, რომ 19 ივლისს, დილით, მათთან მივიდნენ მერიისა და „თბილლაინის" თანამშრომლები, გადასცეს მათ სტანდარტულად დამზადებული ფირნიშები და კატეგორიულად მოსთხოვეს, ხაზებზე სამუშაოდ გასულიყვნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში, 200-ლარიანი ჯარიმით დაემუქრნენ.

— საქმე გვაქვს მერიისა და „თბილლაინის" მესვეურების მხრიდან სატრანსპორტო ბიზნესის მონოპოლიზაციის მცდელობასთან, რაც აკცილებლად გამოიწვევს მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობის მკვეთრ გაუარესებას. მივმართავთ მერიის შესაბამის სამსახურებს, დღის განმავლობაში გააკეთონ განცხადება შექმნილი მდგომარეობის შესახებ და განემარტოს თბილისის მოსახლეობას ტარიფის გაზრდის მიზეზი. ასევე მივმართავთ შინაგან საქმეთა სამინისტროს, აღძრას სისხლის სამართლის საქმე იმ მძღოლების მიმართ, რომლებმაც „თვითნებურად" გაზარდეს სამარშრუტო ტაქსების მომსახურების ტარიფები (თუ „თბილლაინის" პრესსამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაცია სიმართლეს შეესაბამება), — აცხადებენ წინააღმდეგობის მოძრაობის წევრები.

# „მარშრუტკით" მგზავრობა შეუძლებელი იქნება

ნათია ხურცილავა

**თბილისის მერიასთან გუშინ არასამთავრობო ორგანიზაციებმა საპროტესტო აქცია გამართეს. მათი პროტესტის მიზეზი თბილისში მოძრავი სამარშრუტო ტაქსებით მგზავრობის გაძვირებაა.**

სამარშრუტო ტაქსების ნაწილით მგზავრობა 80 თეთრია, ნაწილი ისევ 50 თეთრი ღირს. მგზავრობა ძირითადად იმ სამარშრუტო ტაქსებმა გააძვირეს, რომლებსაც შორი მარშრუტი აქვთ. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ახალი კომფორტული, კონდიცირებული სამარშრუტო ტაქსები ჯერ არ გამოჩენილა, ძველ, დანგრეულ, ჯორკო ჩადგმული „მარშრუტკით" მგზავრობა 80 თეთრი ღირს.

სექტემბრიდან ყველა სამარშრუტო ტაქსით მგზავრობა 80 თეთრი იქნება. თუმცა, ახალი ყვითელი სამარშრუტო ტაქსები ოქტომბერში უნდა შემოიყვანონ.

ძველი სამარშრუტო ტაქსებით 80 თეთრად მგზავრობას აპროტესტებენ მოქალაქეებიც. უკვე რამდენიმე სამარშრუტო ტაქსში, როგორც ამბობენ, მგზავრები მძღოლთან აპროტესტებდნენ საფასურს. თუმცა, მძღოლები მათ პროტესტს სხვაგან ამისამართებდნენ.

ვინ არის რეალურად მგზავრობის გაძვირების ავტორი?

თავის დროზე ყვითელი ავტობუსებით მგზავრობა 20 თეთრი ღირდა, როგორც მერიის წარმომადგენლები აცხადებდნენ, მგზავრობა არ გაიზრდებოდა. თუმცა, მგზავრობა 50 თეთრამდე გაიზარდა და ავტობუსების მოძრაობის გრაფიკიც აირია. მეტიც, ავტობუსები მოიხსნა და მოქალაქეებს ფაქტიურად გადატვირთული ავტობუსებით გადაადგილება უჭირდათ.

უკვე რეალობაა, რომ მარშრუტკების საფასური გაძვირდება, მაგრამ გაძვირდება თუ არა ავტობუსები, ამ კითხვაზე დღეს რეალური პასუხი არ არის.

ვისგან მიიღეს მითითება სამარშრუტო ტაქსების მძღოლებმა, რომ მათ გაეზარდათ მგზავრობის ღირებულება, გაურკვეველია.

„თბილისის მიკროავტობუსების" პრესსამსახურის უფროსის განცხადებით, სამარშრუტო ტაქსების მძღოლებმა მგზავრობის ღირებულება ხელოვნურად და თვითნებურად გაზარდეს.

როგორც ცნობილია, ფასის თვითნებურად გაზრდის გადაწყვეტილება სისხლის სამართლის კოდექსით დასჯადი ქმედებაა.

მძღოლების ნაწილის განცხადებით, 19 ივლისს მათთან გამოცხადდნენ „თბილისის მიკროავტობუსის" თანამშრომლები, რომლებმაც მათ 80 თეთრის ამსახველი ფირნიშები მიუტანეს და სწორედ მისი გაკვრის შემდეგ ურჩიეს სამუშაოდ გასვლა, წინააღმდეგ შემთხვევაში 200 ლარიანი ჯარიმის გამოწერით დაემუქრნენ.

როგორც აქციის მონაწილეები აცხადებენ, თუ ეს თვითნებური მოქმედებაა, მაშინ მერიამ მათ უჩივლოს და აღკვეთოს მათი უკანონო მოქმედება. თუმცა, აქციის მონაწილეები ფიქრობენ, რომ სწორედ ქალაქის მერიაა სამარშრუტო ტაქსებზე მგზავრობის გაძვირების ავტორი.

**ზურაბ სვანიძე, მოქალაქე:**

— ტრანსპორტის გაძვირება ეს უკვე მეტისმეტია. რატომ აძვირებენ ტრანსპორტს, არ უნდა ვიმგზავროთ? სახლში უნდა გამოგვკეტონ? ასე არ შეიძლება. ჩვენს ჯიბეებში გვიძვრებიან და ისე უნდათ, რომ თავიანთი ჯიბეები აავსონ, მაგრამ იმას აღარ ფიქრობენ, რომ ადამიანებს მეტის მოთმენა აღარ შეუძლიათ, უკვე მეტისმეტია. ალბათ არ იქნება ადამიანი, რომელიც ამ ფაქტს მიესალმება. არ შეიძლება, რომ ასე წაუჭირო ადამიანებს ყელში, სული მოუხუთო. საიდან მოვიტანოთ 80 თეთრი, რომ ვიმგზავროთ ყოველდღე? სამსახური არ მაქვს, მაგრამ ხომ მინდა სიარული, სიარულის უფლებას ვინ ამიკრძალავს?

— ახლა ხომ არავინ გიკრძალავთ?

— აკრძალვა არ არის, 80 თეთრი რომ ეღირება მარშრუტკით გადაადგილება. არ ვიცი რატომ, ვის მოუვიდა თავში აზრად, რომ ეს არ გამოიწვევს ადამიანებში პროტესტს. მათ ვაძლევ პირობას, რომ ეს დიდ პროტესტს გამოიწვევს.

**მერაბ მეგრელიშვილი, მოქალაქე:**

— სამარშრუტო ტაქსების გაძვირება ძალიან მძიმედ დაუჯდება თითოეულ მოქალაქეს. ოჯახში ყველა ადამიანი გადის სახლიდან და ყველას რომ მოგვიწევს 80 თეთრის გადახდა, ხომ წარმოგიდგენიათ ეს რა დაუჯდება ჩემი ოჯახის ბიუჯეტს. არა მგონია იყვნენ ისეთი ადამიანები, რომლებიც ამას არ გააპროტესტებენ. მე არ მაქვს იმდენი შემოსავალი, რომ მგზავრობაში 80 თეთრი გადავიხადო, მაშინ მთელი ჩემი ხელფასი და, სიმართლე გითხრათ, მეტიც უნდა დავამატო, გზაში უნდა დავხარჯო. როგორ უნდა ვარჩინო ოჯახი? ტრანსპორტი რომ გაძვირდება, მაშინ ყველაფერი ძვირდება, ეს ჩვეულებრივი მოვლენაა. ეს ძალიან მძიმედ დააწვება ჩვენს ოჯახებს. არ ვიცი, რატომ უნდა გადავიხადო 80 თეთრი, რატომ უნდა მივცე ზედმეტი? მე ნამდვილად ვთვლი, რომ ზედმეტია. ეს არის ის შემთხვევა, როდესაც არ გადავიხდი. ეს იქნება ჩემი პროტესტი. არ შეიძლება, რომ ყველაფერზე დაუსაბუთებლად, ყოველგვარი არგუმენტების გარეშე ფასები გაიზარდოს. ეს უნდა გააცნობიეროს თითოეულმა ადამიანმა. ყველას უნდა ჰქონდეს თავისი პროტესტი. არ შეიძლება ყველაფერზე მორჩილად ვეთანხმებოდეთ. აგვიხსნან, არგუმენტები დაგვილაგონ, რატომ უნდა გაიზარდოს დანგრეული მარშრუტკის ღირებულება. ხომ შეგვპირდნენ, არც ახალი მარშრუტკის ღირებულება არ გაიზრდებაო.

**ნელი შუბითიძე, მოქალაქე:**

— რატომ უნდა გაძვირდეს მგზავრობა, ვინმემ ამიხსნას. რატომ უნდა გადავიხადო 80 თეთრი. არ იმგზავრე, სახლში დაჯექიო გვეუბნებიან. არავითარ შემთხვევაში, ხალხი უნდა გავიდეს ქუჩაში და გააპროტესტოს. ყველაფერ უბედურებას რატომ მაინცდამაინც ზაფხულში აკეთებენ? უნდათ, რომ შემოგვაპარონ, უნდათ რომ, ყველაფერი გააპარონ ზაფხულში, როდესაც ხალხი მოდუნებულია, თუ ვინმეს წასავლელი ჰქონდა, წასულია, ვისაც წასავლელი არა აქვს, ის მაინც სახლშია და არც გარეთ არ გამოდის. გვითხრან, რატომ უნდა გააძვირონ მგზავრობა. როგორც ამბობენ, ძალიან დიდი მოგება არის ამ ბიზნესში. ჩვენს ხარჯზე უნდათ გამდიდრება.

შედით საიტზე atb.ge

# ხმების მოპარვა ისეთივე ცოდვაა, როგორც მრუშობა

გულიკო ბალაძე

## ინტერვიუ საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატ თენგიზ დიხამინჯიასთან

*— ბატონო თენგიზ, საქართველოს ხელისუფლებამ გარკვეული პროვოკაციები განახორციელა ქართველი საზოგადოების წინააღმდეგ. ერთი მხრივ, მიიღო რელიგიური ორგანიზაციების სტატუსის შესახებ კანონი და დაუპირისპირდა საპატრიარქოს, ხოლო მეორე მხრივ, დააპატიმრა სამი ფოტოკორესპონდენტი და მათ ჯაშუშობაში დასდო ბრალი. თქვენი აზრით, რა პოზიციები აქვს დღეს ხელისუფლებას? ის მაინც ძლიერად ხომ არ გრძნობს თავს?*

— როდესაც ქვეყანაში ყველა სექტორს ძალოვნები აკონტროლებენ, იქ გასაკვირი არ არის, ხელისუფლება ძლიერად გრძნობდეს თავს. ანომალიაა, როდესაც შს მინისტრი და უშიშროების მინისტრი ერთ პერსონაშია გაერთიანებული, დღევანდელ ცივილიზაციაში, დღევანდელ საზოგადოებაში სრული ანომალიაა. ამიტომ თუ ამ ქვეყანას უნდა, პერსპექტივა ჰქონდეს, მოკლე ხანში უნდა გასწორდეს — შს სამინისტრო ორ სამინისტროდ უნდა გაიყოს და ეს სახელისუფლებო ვერტიკალი ორი პერსონით უნდა იყოს წარმოდგენილი. შემთხვევითი არ არის, რომ უცხოეთის ქვეყნებში ძალოვან მინისტრებად ქალები — ლიბერალური ფსიქიკის მატარებელი ადამიანები გვევლინებიან. აქ კი პირიქით ხდება.

*— ციხეების მინისტრი ხომ ჰყავთ ქალი?*

— ეს შემთხვევითია.

*— შს მინისტრის მოადგილეც ქალი ჰყავთ.*

— კი ბატონო, მაგრამ ყველაზე ანგარიშგასაწევი მერაბიშვილის უწყებაა.

*— თქვენ ერთხელ უკვე იყავით მმართველ გუნდში და გარკვეული გამოცდილება მიიღეთ. ვფიქრობ, ის პერიოდი გარკვეული გაკვეთილი იყო თქვენთვის...*

— დიახ, ძალიან მწარე გამოცდილება მივიღეთ...

*— იმ ძალიან მწარე გამოცდილების გათვალისწინებით, დღევანდელი ხელისუფლების პოზიციები როგორ ჩანს? ხელისუფლება მყარად დგას, თუ ბოლოდროინდელი გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე პოზიციები შეერყა?*

— ხელისუფლება არის სრულ აგონიაში. ხელისუფლება, რომელიც ტოტალურ ომს აწარმოებს ქართულ ინსტიტუტებთან, როგორიც არის ოპოზიციური აზრი, ჟურნალისტიკა, ეკლესია. ახლა უკვე მიდგნენ ეკლესიას, რომელიც არის უმთავრესი ბერკეტი და ხერხემალი ქართული სახელმწიფოებრიობის არსებობისა. ეკლესია ოდითგანვე ქართული ცნობიერების, კულტურის, კრიზისის გადალახვის უმთავრესი ძალაა. ეკლესიას უმძიმესი კრიზისიდან გამოუყვანია ქართველი ხალხი და ქვეყანა, თანაც რამდენჯერმე. ხელისუფლება ასეთ ინსტიტუტს უპირისპირება. ამ დაპირისპირებამ ტოტალური ხასიათი მიიღო.

*— ვინ დარჩა? ჟურნალისტებს უპირისპირდება, ეკლესიას, ოპოზიციას...*

— ამას დავამატოთ სპორტული სამყარო. სპორტის უმაღლესი სასწავლებელი გააუქმეს. ახლა სხვა ინსტიტუტებსაც აუქმებენ...

*— კაცმა რომ თქვას, რაში ჩანს, რომ დღეს ხელისუფლებას პრობლემები აქვს? მშვენივრად გრძნობს თავს.*

— მშვენივრად ყოფნაში რას გულისხმობთ, ჯერჯერობით, ხალხი რომ არ უვარდება და არ ამხობს?

*— ძალაუფლება ხელთ უპყრია და რაც უნდა, იმას აკეთებს. რაში ჩანს, რომ, ვთქვათ, ჟურნალისტებთან და ეკლესიასთან დაპირისპირებით სააკაშვილს და მის ხელისუფლებას პრობლემები აქვს?*

— სააკაშვილს და მის ხელისუფლებას პრობლემები ექნება, მაგრამ ზოგი ხილული მიზეზით, ზოგიც — უხილავი. ხანდახან შეიძლება ისეთი ირაციონალური პროცესები განვითარდეს, უხილავმა მიზეზმა იფეთქოს და აწყობილი სისტემა დაანგრიოს, რათა წინასწარ არ ჩანდეს, რომ პრობლემები აქვს ხელისუფლებას. ასეც ყოფილა ისტორიაში...



*— ეს ქვეყანა, ფაქტობრივად, ვანო მერაბიშვილმა ააწყო. შეიძლება რაიმე ისეთი გამოჩნდეს, სააკაშვილს ვანო მერაბიშვილის აწყობილი სისტემა დაენგრეს?*

— ერთ-ერთი უმთავრესი მომენტია ხელისუფლების არაპოპულარული, ანტიეროვნული და ანტისახელმწიფოებრივი ქმედებები. ერთადერთი ფაქტორი, რაც სააკაშვილს და მის ხელისუფლებას გარედან უნარჩუნებს ძალაუფლებას და რის გამოც საკმაოდ მყარად არიან წარმოდგენილი, ეს არის ავღანეთის ფაქტორი. სრული ანომალიაა, ავღანეთის ოპერაციაში ჩვენი მონაწილეობა. დღესდღეობით, ავღანეთში ძირითადად ომობენ ანგლოსაქსები — ამერიკელები, დიდი ბრიტანელები, ავსტრალიელები, კანადელები, ახალი ზელანდიელები. ეს ის სახელმწიფოებია, რომლებსაც მსოფლიო წესრიგში თავიანთი უდიდესი წვლილი გააჩნიათ და დიდწილად ისინი ქმნიან მსოფლიო პოლიტიკას. მსოფლიო პოლიტიკაში მათი ხვედრითი წონა ძალიან დიდია. ისინი ომობდნენ ჯერ ერაყში, შემდეგ — ავღანეთში. ახლა მათ გადაწყვიტეს, რომ კონტინგენტი გაიყვანონ, რადგან მათ თავიანთი მისია ამ რეგიონში ამოწურეს. ჩვენ კი, პირიქით ვაკეთებთ — ისინი გამოდიან და ჩვენ ვენაცვლებით, ანუ ჩვენ ვართ ტიპიური 21-ე საუკუნის მამელუქები, რომლებსაც არც ინტერესები გვაქვს, არც — დემოკრატია და არც არაფერი. გაუგებარ პოლიტიკას ვატარებთ. ერთადერთი, ეს არის ხელისუფლების შენარჩუნების წყარო და უმთავრესი სტრატეგია.

*— ასე სააკაშვილს და მის ხელისუფლებას მუდმივად შეუძლია ჰყავდეს კონტინგენტი ავღანეთში და მუდამ იყოს ხელისუფლებაში?*

— ამიტომ მომყავს ეს მაგალითი. შეიძლება მსოფლიო ახალ წესრიგში, ამ თვალსაზრისით რაღაც გარკვეული მისია აიღო და შენი წვლილი შეიტანო, მაგრამ როდესაც ნატოს გენერალური მდივნის (რომელიც წარმოშობით დანიიდანაა) მშობლიური ქვეყნიდან, დანიიდან არც ერთი დანიელი, ჰოლანდიელი (ისეთი ქვეყნები, რომლებიც აშშ-ის პოლიტიკას ატარებენ) ჯარისკაცი არ ომობს ავღანეთში, ამ დროს ჩვენ მთელი შენაერთი გვყავს გაგზავნილი.

*— თქვენ ასახელებთ ისეთ ფაქტორებს, რომელიც აძლიერებს ხელისუფლებას. მე მაინტერესებს მიზეზი, რომელიც ხელისუფლებას ასუსტებს?*

— ხელისუფლება ერთადერთ შემთხვევაში დასუსტდება — როდესაც სამოქალაქო საზოგადოება, ანუ ინტელექტუალური ელიტა ამ პრობლემას გააცნობიერებს. აუცილებლად უნდა აღინიშნოს — ამის არ თქმა არ შეიძლება — ამ მიმართულებით სამღვდელოებამაც, სინოდმაც და პატრიარქმაც თავიანთი სიტყვა უნდა თქვან. მაოცებს ის დუმილი, რომელიც ამ თემის ირგვლივ არის საერთოდ, ყველა ფრონტზე.

*— ამ დღეებში საზოგადოება მოელოდა სინოდის მკაცრ განცხადებას. მრავალი ადამიანი გამოვიდა პატრიარქისა და სინოდის მხარდასაჭერად. თუმცა, სინოდის გადაწყვეტილების შემდეგ, ბევრი ადამიანი უკმაყოფილებას გამოთქვამდა. თქვენ როგორ აფასებთ სინოდის გადაწყვეტილებას?*

— მეც უკმაყოფილო ვარ, მიუხედავად ჩემი ულრმესი პატივისცემისა რელიგიური თვალსაზრისისადმი — განუსაზღვრელია ეკლესიის როლი ქართული ისტორიისა და ცივილიზაციის წინაშე თავისი კულტურულოგიური, მოწამეობრივი, მსოფლმხედველობრივი, პიროვნული თვალსაზრისით, მაგრამ დღევანდელი გადასახედიდან თუ შევხედავთ, დავიმოწმებ მეუფე იობის ბრწყინვალე სტატიას, ეკლესია საკმაოდ ღრმა კრიზისშია.

*— ახლა მეუფე იობმა განაცხადა, რომ წმინდა სინოდმა კომპრომისული გადაწყვეტილება მიიღო, ანუ სინოდმა საჭიროდ ჩათვალა კომპრომისზე წასვლა.*

— საერთოდ, მიმაჩნია, რომ დიდწილად არსებობს ვითარება, როცა მხოლოდ კომპრომისით და დიპლომატიით ოპონენტს ვერაფერს გააგებინებ. ამის სხვადასხვა მაგალითები არსებობს. ჩემი აზრით, ეს კრიზისი სხვადასხვა ფაქტორებმა გამოიწვია. ქრისტიანობის არსს რომ ჩავუკვირდეთ, ქრისტიანობა ძირითადად მაინც ულრმესი პიროვნული რელიგიაა, რომელიც თავის ღვთიურ ნაპერწკალს თავის თავში ატარებს, რომელსაც კოსმიურ მორალთან ძალიან მჭიდრო და ძალიან ღრმა დამოკიდებულება აქვს. ამის გავრცობას, დამტკიცებასა და დაცვას ცდილობს დედამიწის ნებისმიერ კუთხეში პიროვნების, ორგანიზაციისა და საძმოების სახით. ქრისტიანი ადამიანის უშუალო დანიშნულება არის მოწამეობრივი. ამის დაცვა კი აუცილებელია.

*— ამით რა გინდათ თქვათ?*

— ამით იმის თქმა მინდა, როდესაც ამ ფუნქციის მეორე და მესამე პლანზე გადაწევა ხდება და მოძალადე რეჟიმთან კომპრომისული, დიპლომატიური დამოკიდებულება ყალიბდება, საბოლოოდ ვერაფერს ვიღებთ. ეს რამდენჯერმე დამტკიცდა. ამიტომ, ვფიქრობ, დამოკიდებულებები არის გადასახედი. სხვა მიდგომებია საჭირო. როგორ შეიძლება ასეთი დამოკიდებულება. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ელემენტარულად გამაკვირვა, 26 მაისთან დაკავშირებით დუმილია. როდესაც 26 მაისს ამხელა ტრაგედია მოხდა (9 აპრილის დონის ტრაგედია მოხდა), დანაშაულებრივი თვალსაზრისით, სისხლისღვრის, კრიმინალიზაციის, ერის დაყოფის, ცნობიერების გახლეჩის თვალსაზრისით, ამაზე რეაქცია თითქმის არ ყოფილა, მაგრამ რეაქცია იყო, როდესაც ხელისუფლებამ, ფაქტობრივად, ეკლესიის მატერიალური გალავანი მოარღვია და შეიჭრა ეკლესიის ტერიტორიაზე. ეს არა მარტო ჩემი აზრია, არამედ ეს აზრი კულტუროლოგმა დავით მაღრაძემ შესანიშნავად გადმოსცა. მან ეს იდეა თავის განცხადებაში განასხეულა და ეს პრობლემა შესანიშნავად წარმოაჩინა — თან სასოებით, ძალიან მოკრძალებულად, ძალიან კულტურულად და სიყვარულით.

*— დავით მაღრაძემ ჩემთან საუბარში განაცხადა, რომ საპატრიარქოს ადრე უნდა ეზრუნა იმისავის, რომ ხელისუფლებას პატრიარქის სიტყვა ბანზე არ აეგდო. რა შეიძლებოდა გაეკეთებინა საპატრიარქოს?*

— საპატრიარქოს უფრო მკაფიო პოზიციები უნდა დაეჭირა. ჭკუას ვერავის ვასწავლი. მე ჩემი პოზიცია მაქვს და იმ ხალხისა, რომელსაც მსგავსი ტენდენციები, დამოკიდებულება აღელვებს. ჩვენი საზრუნავია ეკლესიასა და ხალხს, ეკლესიასა და სახელმწიფოებრიობას შორის ჰარმონიული დამოკიდებულების ჩამოყალიბება, რომ სრული სიმშვიდე იყოს და არა მოჩვენებითი, ასე ვთქვათ, რაღაც იმიტაციური მშვიდობა, რომელიც ძალიან მყიფე და ფეთქებადსაშიშია.

*— ითქვა, რომ წმინდა სინოდის კომპრომისულმა გადაწყვეტილებამ ის ვნებათაღელვა ჩააცხრო, რაც ხელისუფლების მოქმედებამ განაპირობა. შეიძლება საპატრიარქომ ჩათვალა, რომ უფრო მნიშვნელოვანი ხალხის დამშვიდება იყო. წმინდა სინოდს მკაცრი გადაწყვეტილება რომ მიეღო, ხალხი გაერთიანდებოდა და ხელისუფლების საწინააღმდეგო მღელვარებაც გაიზრდებოდა.*

— თვითონ პატრიარქის ხედვას გააჩნია. მნიშვნელობა აქვს იმას, აღნიშნულ მოვლენებს პატრიარქი როგორ აფასებს და რა მიაჩნია მას მშვიდობად და სტაბილურ მშვიდობად. ასეთი დამოკიდებულებით ნაციონალური მოძრაობა ვერანაირ გაკვეთილს ვერ გამოიტანს. დროს წელავენ იქამდე, რომ ნაცმოძრაობამ რამენაირად არჩევნებამდე მიაღწიოს და ჩაატარონ ისეთი არჩევნები, როგორი არჩევნებიც ნაციონალურმა მოძრაობამ უკრაინასა და ბელორუსიაში ჩაატარა. იმის თქმა მინდა, რომ ადამიანი, საზოგადოება და მოძრაობა, რომელიც არჩევნებს ბელორუსიასა და უკრაინაში აყალბებს, თავის ქვეყანაში რამ უნდა დაამარცხოს? იქ, სადაც არჩევნები არ ტარდება და ხდება ხმების ტოტალური ქურდობა, ანუ კრიმინალიზაცია, იმ ქვეყანაში მშიდობა ვერასოდეს დაისადგურებს. ხელსუფლებასა და თვითონ ეკლესიიურ სამყაროს შორის გადაწყვეტილება ყოველთვის არაჯანმრთელი და არაჯანსაღი იქნება და მოჩვენებითი მშვიდობა დაისადგურებს.

*— ისე, ხმების ქურდობაც ხომ ცოდვაა?*

— უდიდესი ცოდვაა. მე ყოველთვის ვამბობდი ამას. ეტყობა ადამიანი ინდივიდუალურად აღიქვამს ცოდვას. ვფიქრობ, სანამ თვითონ ეკლესია კონკრეტულად არ იტყვის, რომ ხმების მოპარვა ისეთივე ცოდვაა, როგორც მრუშობა, როგორც ბანდიტიზმი და სხვადასხვა დანაშაულობები, მანამ, ეტყობა, ხელისუფლება და ძმანი მისნი ვერაფერს გაიგებენ. ასეთი შთაბეჭდილება მრჩება.

*— სამღვდელოება არჩევნებში მონაწილეობს ხოლმე?*

— პიროვნულად, რა თქმა უნდა, მონაწილეობენ. მინდა ფართო საზოგადოებამ იცოდეს — სამი წლის წინ სერბეთის მართლმადიდებლურმა ეკლესიამ, მისმა სინოდმა და ხელმძღვანელმა არჩევნების წინ გააკეთა ძალიან უჩვეულო განცხადება, რომელიც არასტანდარტულად მიიჩნევა ქრისტიანულ სამყაროში. მან მოუწოდა თავის მრევლს, ხმა მიეცათ მართლმადიდებლური ორიენტაციის პარტიებისთვის, ანუ ისინიც იძულებული გახდნენ მოეწოდებინათ თავისი მრევლისთვის. საქართველოშიც იგივე პროცესები ხდება. ოღონდ, ცოტა დაგვიანებით. ფსიქიკა, ფასეულობა, მსოფლმხედველობა, ურთიერთდამოკიდებულება ძალიან მონათესავეა. მით უმეტეს, როცა კულტურული ფენომენი პოლიტიკურზე მაღლა დგას და ურთიერთკავშირის დამყარება ცოტა ჭირს, უნდა მოუწოდო. სერბეთის ეკლესიამ თქვა, ვიცით, რა ნაბიჯსაც ვდგამთ, ეკლესია უნდა დარჩეს ეკლესიად, სულ სხვა ინსტიტუტია, ზეციური დაწესებულებაა, ზეციურ სამყაროს განასხეულებს დედამიწაზე. ქრისტეს სხეული ეს არის ეკლესია, პოლიტიკურ პროცესებში ჩართვა, ძალიან დიდ სიფაქიზეს და დელიკატური მომენტების გათვალისწინებას მოითხოვს, მაგრამ იძულებული გავხდით, დაგვეცვა ჩვენი ერის ინტერესიო. ოღონდ, ეს ძალიან დახვეწილი ფორმით იყო გაკეთებული. ჩემი აზრით, ანალოგიური პროცესების მომსწრენი უნდა გავხდეთ ჩვენც.

*— ბატონო თენგიზ, რატომ არ მოერიდა ხელისუფლება ჟურნალისტებთან დაპირისპირებას?*

— ხელისუფლება თვლის, რომ ყველაფერი გასდის. ხელისუფლების უმთავრესი სტრატეგია არის ანომალური. როცა ასეთი გადახრები გაქვს, ანგარიშსწორება საკუთარ მოსახლეობასთან ადვილია.

*— ეს დაპირისპირება ხელისუფლებას რაიმე პრობლემას თუ შეუქმნის?*

— ჟურნალისტებთან დაპირისპირება ხელისუფლებას ძალიან დიდ პრობლემებს შეუქმნის იმიტომ, რომ მედია მეოთხე ხელისუფლებად ითვლება. მთელ დასავლეთს მზე და მთვარე მედიის თავისუფლებაზე ამოსდის. დაპატიმრების სერიები, ჟურნალისტების აგდებულად მოხსენიება, შეთითხნილი ბრალდებები, ხელისუფლებას კარგს არაფერს უქადის. ეკლესიასთან დაკავშირებით მინდა ვთქვა. მთელი მოსახლეობა დაძაბულია, ქვეყანაში ვითარების სიმძაფრე შეიგრძნობა. 26 მაისის სისხლისღვრასთან დაკავშირებით, ქართველმა ქართველები რომ დახოცა, ამხელა კომფრონტაცია რომ მოხდა, საზოგადოება გაიხლიჩა (დავით მაღრაძეც აღნიშნავდა), მე ვერ გავიგონე ეკლესიიდან ხვთის ხმა იმის მსგავსი, როცა კაენი მოკლავს აბელს და ღმერთი ეუბნება, სად არის შენი ძმა? შენი მოძმის სისხლსა და ხორცს არ იცავ და რეაქცია მაშინ გაქვს, როცა, ფაქტობრივად, ეკლესიის გალავანი მოგირღვიეს, რაღაც ეკონომიკური ფაქტორები უფრო გაღელვებს... რა თქმა უნდა, ყველაფერი უნდა დაიცვა, რა თქმა უნდა, ეკლესიაც ჩვენი დასაცავია და დავიცავთ კიდევაც, მაგრამ ყველაზე დიდი ღირებულება ადამიანი და ადამიანის სიცოცხლეა, მისი ღვთიური წარმოშობაა. ამ ყველაფერს ვერანაირი დიპლომატია, ვერანაირი კომპრომისი ვერ გადაფარავს და ვერაფერს შესძენს. კირიონი, ამბროსი ხელაია და დიდი შეწირული ხალხი, რომლებმაც მეოცე საკუნეში გადაარჩინეს საქართველო, ეკლესია, განასახიერებდნენ საქართველოს დამოუკიდებლობას, თავისუფლებას, ისტორიას, ქართველი ერის შინაგან კონსტიტუციას. მათ სიცოცხლე და ყველაფერი გაიღეს საქართველოსა და ქართველი ერისთვის. ეს ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ.

# ეროვნულ არქივს 21.000 საქმე შეემატა

ეკა ირემაშვილი

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნულ არქივს 2011 წლის 6 თვის განმავლობაში ეროვნულ საარქივო ფონდში დასაცავად წერილობითი დოკუმენტები — 21.245 საქმე გადაეცა. მათ შორის არის მმართველობითი, პირადი შემადგენლობისა და პირადი წარმოშობის საქმეები, რომელიც დამუშავების შემდეგ დაინტერესებული პირებისათვის ხელმისაწვდომი იქნება. ამავე პერიოდში ეროვნულმა არქივმა შეიძინა ან საჩუქრად მიიღო კერძო კოლექციონერებთან არსებული წერილობითი, ფოტო და კინოდოკუმენტები.

ეროვნულ საარქივო ფონდში 2011 წელს შესული დოკუმენტებიდან არის — 2000-მდე საეკლესიო მეტრიკული წიგნი, XIX საუკუნის სამაჩაბლოსთან დაკავშირებული საბუთები, კინოდოკუმენტები — „ბაქოს ნავთობჭაბურღილები", ასევე, 8 დოკუმენტური ფილმი და 700 ცალი ფოტონეგატივი, რომელიც XX საუკუნის 50-80-იანი წლების კულტურულ პროცესებს ასახავს. უკვე დასრულდა „საქინფორმის" ფოტოარქივის დამუშავება, რომელიც 162.372 ფოტოპოზიტივს, ნეგატივსა და სლაიდს მოიცავს. მკვლევართათვის ხელმისაწვდომი გახდა, აგრეთვე, „ლევილისა" და „ჰარვარდის" დოკუმენტების საფუძველზე შექმნილი 10 ფონდი.

## დღის კალენდარი

### 21 ივლისისთვის



წლის 192-ე დღე, ახალ წლამდე დარჩა 173 დღე.

**საეკლესიო კალენდარი**

მე-6 შვიდეული შემდგომად მეერგასისა.

**ხუთშაბათი**

წმიდა მოწამე მირდატ მეფისა (410); წმ. დიდმოწამე პროკოფისა (303); გამოცხადება ყაზანის ღვთისმშობლის ხატისა (1579).

წმიდა დიდმოწამე პროკოფი — ნეანიყოფილი, ტომით იერუსალიმელი, ცხოვრობდა დაევნო დიოკლეტიანეს იმპერატორობისას. მამამისი, რომაელი დიდებული ქრისტეფორე ქრისტიანი იყო, ხოლო დედა, ფეოდოსია წარმართი. მამა ადრე მოუკვდა და მას დედა ზრდიდა. მან მშვენიერი განათლებაც მიიღო და როდესაც დიოკლეტიანეს მისი ზეობის პირველ წელს წარუდგინეს, იმპერატორმა დაიახლოვა იგი და მანაც სულ მალე საერო კარიერა გაიკეთა.

305 წელს, როდესაც დიკოლეტიანემ ქრისტიანების დევნა იწყო. ნეანი ალექსანდრიის პროკონსულად განამწესეს და უბრძანეს ცეცხლითა და მახვილით მოესრა ეკლესია უფლისა. ნეანის, რომელიც ქალაქ ამპეის უახლოვდებოდა, ისევე როგორც ოდესღაც დამასკოში მიმავალ სავლეს, უფალი ჩვენი იესო ქრისტე გამოეცხადა. გამოცხადების შემდეგ ნეანიმ არაჩვეულებრივი სულიერი სიხარული და შვება იგრძნო და ქრისტეს დაუძინებელი მტრისაგან მის თავდადებულ მიმდევრად გადაიქცა. მას შემდგომ ნეანიმ შეიყვარა ქრისტიანები და ძლევამოსილად იბრძოდა წარმართთა წინააღმდეგ. ნეანი იუდეის პროკურატორ იუსტუსთან გამოიძახეს, სადაც მას დიკოლეტიანეს წერილი გადასცეს. ღვთის მგმობი წერილის წაკითხვის შემდგომ წმიდანმა ყველას თვალწინ დახია იგი. ნეანი შეიპყრეს და პალესტინის კესარიაში გაგზავნეს. იქ, სადაც ოდესღაც მოციქული პავლე იტანჯებოდა. საშინელი წამების შემდგომ წმიდანი ნესტიან დილეგში ჩააგდეს.

წმიდა პროკოფი არაერთხელ წარსდგა სამსჯავროს წინაშე. მას საშინლად აწამებდნენ და ქრისტიანობის უარყოფას ითხოვდნენ და როდესაც უარს იღებდნენ, კვლავ სტანჯავდნენ. ამ ტანჯვის შემყურე ბევრ წარმართს მიეცხო ღმრთის მადლი, თვალი აეხილა. ბოლოს ახალმა პროკურატორმა ფლავიანემ, რომელიც წამების უაზრობაში დარწმუნდა, წმიდა დიდმოწამე პროკოფის თავის მოკვეთა მიუსაჯა. ღამე ქრისტიანებმა დიდმოწამის ცხედარი დიდის პატივით მიაბარეს მიწას.

**დაიბადნენ:**

356 (ქ. წ.) — ალექსანდრე მაკედონელი, მაკედონიის მეფე (ქ. წ. 336 — 323), დიდი მხედართმთავარი და სახელმწიფო მოღვაწე.

1816 — პაულ იულიუს როიტერი, ინგლისური მსხვილი საინფორმაციო სააგენტოს — „როიტერის" დამაარსებელი. გარდაიცვალა 1899 წელს.

1893 — ჰანს ფალადა, გერმანელი მწერალი. გარდაიცვალა 1947 წელს.

1894 — პიოტრ კაპიცა, რუსი მეცნიერი, ფიზიკოსი. გარდაიცვალა 1984 წელს.

1899 — ერნესტ ჰემინგუეი, ამერიკელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი. გარდაიცვალა 1961 წელს.

1932 — ალექსანდრე ნიჟარაძე, პიანისტი. გარდაიცვალა 1991 წელს.

1933 — ჯონ გარდნერი, ამერიკელი მწერალი და ლიტერატურათმცოდნე.

1934 — გურამ გეგეშიძე, მწერალი.

1938 — ნანი ბრეგვაძე, ცნობილი მომღერალი.

**გარდაიცვალნენ:**

1792 — დავით გურამიშვილი, დიდი ქართველი პოეტი.

1796 — რობერტ ბერნსი, შოტლანდიელი პოეტი.

1962 — ჯორჯ თრეველიანი, გამოჩენილი ბრიტანელი ისტორიკოსი.

**მოვლენები:**

365 წელი — ალექსანდრიაში მოხდა მიწისძვრა. დაიღუპა 50 ათასი ადამიანი.

1774 წელი — დამთავრდა რუსეთ-თურქეთის ომი.

1796 წელი — პირამიდებთან ბრძოლისას გენერალმა ნაპოლეონმა მამლუქთა 60-ათასიანი არმია დაამარცხა და რამდენიმე დღის შემდეგ კაიროში შევიდა.

1906 წელი — გარეკეს რუსეთის პირველი სახელმწიფო სათათბირო.

1917 წელი — თავად ლვოვის გადადგომის შემდეგ, რუსეთის დროებითი მთავრობის პრემიერი გახდა კერენსკი.

1975-1976 წლები — მერისაიდში (აშშ) მცხოვრები ორი ძმა 1 წლის ინტერვალით ერთსა და იმავე დღეს, ერთსა და იმავე ქუჩაზე დაიღუპა. მათ დაარტყა ერთმა და იმავე მანქანამ, რომელზეც იგივე მძღოლი იჯდა და იგივე მგზავრი მიყავდა.

**მედიანიუსი**

# კახელები გორდას ემდურიან

მომხმარებლები თელავის საკაბელო ტელეკომპანია „გორდას" უფლებების დარღვევაში ადანაშაულებენ. როგორც თელავის მაცხოვრებლებმა კახეთის საინფორმაციო ცენტრს აცნობეს, მას შემდეგ, რაც „გორდამ" ტელეკომპანიების „მაესტროს" და „კავკასიის" ტრანსლირება შეწყვიტა, აბონენტების ნაწილი გადასახადს აღარ იხდის. საპასუხოდ, „გორდა"ეთერში აცხადებდა დავალიანების მქონე აბონენტების გვარს, სახელს და საცხოვრებელ მისამართს. ამ ინფორმაციას საკაბელო ტელევიზია მორბენალ სტრიქონშიც უშვებდა.

— რამდენიმე თვის განმავლობაში აცხადებდნენ ეთერში ჩემი ოჯახის წევრს, რომ ფული ჰქონდა გადასახდელი. გვარის და სახელის გარდა მისამართსაც ამბობდნენ. მას შემდეგ რაც დავინტერესდი, ჰქონდა თუ არა საკაბელო ტელევიზიას ამის უფლება და ვუთხარი მათ, რომ არასამთავრობოებს და ჟურნალისტებს მივმართავდი, გამოცხადება შეწყვიტეს. ამ ინფორმაციას ეთერში ახალგაზრდა გოგო ნათია ნანაშვილი გადასცემდა, — აღნიშნა თელავის მცხოვრებმა მარინა მეტრეველმა.

საკაბელო ტელევიზია ეთერში იმ ადამიანების შესახებაც გადასცემდა ინფორმაციას, რომლებსაც „გორდასთან" ხელშეკრულება არ ჰქონდათ გაფორმებული. არადა, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ინფორმაციით, „საკაბელო ოპერატორი ვალდებულია საკუთარ აბონენტებს გაუფორმოს მომსახურების გაწევის ხელშეკრულება და უზრუნველყოს ის საჭირო ინფორმაციით.

— ეს გრძელდებოდა თვეების მანძილზე. ჩვენთან ხელშეკრულებაც არ აქვთ გაფორმებული, მაგრამ მაინც გვაცხადებდნენ. როცა მათი მომხმარებელი გავხდით, ხელშეკრულება არ დაუდიათ, მაგრამ „მაესტროს" და „კავკასიას" ვუყურებდით. ეს ტელევიზიები რომ გამორთეს, გადასახადი აღარ გადავიხადეთ და ამის შემდეგ დაიწყეს პირდაპირ ეთერში გამოცხადება. მერე იძულებული გავხდი, რომ ფული გადამეხადა. არ მინდოდა, ყველას გაეგო, რომ ვალი გვქონდა. სანამ ფული არ გადავიხადე, მანამდე გვაცხადებდნენ, — აღნიშნა ნინო გველუკაშვილმა.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თელავის ოფისის ხელმძღვანელის მარეხ მგალობლიშვილის თქმით, ტელეკომპანიამ დავალიანების მქონე აბონენტების ვინაობის საჯაროდ იდენტიფიცირებით მომხმარებლების უფლებები დაარღვია.

— ადამიანის ფინანსების, ჯანმრთელობის, გადასახადებისა და ა.შ ინფორმაცია არის პერსონალური ინფორმაცია და არავის აქვს უფლება, საჯარო გახადოს. ხანდაზმულობის ვადა გასული არ არის და თუ მტკიცებულება ექნებათ, დაზარალებულ აბონენტებს შეუძლიათ საჩივრით მიმართონ კომისიას ან ჩვენ. თუ პასუხი არადამაკმაყოფილებელი იქნება, შემდეგ უკვე შეუძლიათ სასამართლოშიც იჩივლონ, — განაცხადა მარეხ მგალობლიშვილმა.

კახეთის საინფორმაციო ცენტრი ტელეკომპანია „გორდას" ჟურნალისტს ნათია ნანაშვილს დაუკავშირდა.

— რასაც მავალებდნენ, იმას ვკითხულობდი. ოფისმენეჯერს დაუკავშირდით,- აღნიშნა ნანაშვილმა.

„გორდას" ადმინისტრაციაში ამ საკითხებზე კომენტარი არ გააკეთეს.თელავის საკაბელო ტელევიზიამ „მაესტროს" და „კავკასიის" გადაცემების ტრანსლირება 2010 წლის 29 სექტემბერს, ტექნიკური მიზეზების საბაბით შეწყვიტა. საკაბელო ტელეკომპანიის დირექტორმა გივი მამუკელაშვილმა არაერთხელ განაცხადა, რომ ტექნიკური პრობლემების აღმოფხვრისთანავე „მაესტროს" და „კავკასიის" ტრანსლირებას აღადგენდა, თუმცა უშედეგოდ. 2010 წლის ნოემბერში მამუკელაშვილმა კახეთის საინფორმაციო ცენტრს განუცხადა, რომ „ტელევიზია მისია და რასაც უნდა ჩართავს და რასაც უნდა გამორთავს". „მაესტროს" და „კავკასიის" ტრანსლირების შეწყვეტის შემდეგ, ასზე მეტმა აბონენტმა, პროტესტის ნიშნად, „გორდასთან" ხელშეკრულება შეწყვიტა. „გორდას" ხელმძღვანელობა უარს ამბობს თელავის დამოუკიდებელი ტელეკომპანია „თანამგზავრის" ტრანსლირებაზეც.

ამასთან, თელავის საკაბელო ტელევიზიამ 2010 წლის 25 - 26 ნოემბერს, როცა თბილისში, პარლამენტის შენობის წინ, ოპოზიციის საპროტესტო აქციები მიმდინარეობდა, საზოგადოებრივი მაუწყებლის მეორე არხიც გათიშა. „გორდამ" მეორე არხის ტრანსლირება 18 ნოემბერსაც შეწყვიტა, როცა „წარმომადგენლობითი სახალხო კრების" საინიციატივო ჯგუფი თელავში მხარდამჭერებს შეხვდა და „მეორე არხი" შეხვედრის შესახებ ეთერში რეპორტაჟებს უშვებდა. აბონენტების თქმით, მეორე არხის ტრანსლირება პერიოდულად ახლაც წყდება.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში აცხადებენ, რომ საკაბელო ტელევიზიების მხრიდან მომხმარებელთა უფლებების დარღვევას ხშირად აქვს ადგილი, რის გამოც „მომხმარებელთა უფლებების დაცვის რეგლამენტში" ცვლილებების შეტანა ხდება საჭირო. თუმცა, კომისია აქცენტს „მაესტროს" და „კავკასიის" ტრანსლირების შეწყვეტაზე არ აკეთებს, ხშირია შემთხვევები, როდესაც საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ ჩატარებული მონიტორინგის შედეგად ვლინდება სხვადასხვა სამაუწყებლო არხების არამართლზომიერი რეტრანსლირების ფაქტები. იმის გამო, რომ საკაბელო ოპერატორები




სხვადასხვა არხების რეტრანსლირებაზე არ აფორმებენ შესაბამის ხელშეკრულებებს (არ მოიპოვებენ სანებართვო წერილებს), ზარალდება მომხმარებელი, რომელიც საკაბელო ოპერატორთან ხელშეკრულებას აფორმებს მისთვის სასურველ პაკეტზე, ხოლო შემდეგ საკაბელო ოპერატორის მიერ არამართლზომიერად ტრანსლირებული არხები მომხმარებლის გაუფრთხილებლად ითიშება.

კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ, მომხმარებელთა უფლებების დაცვის გაუმჯობესების მიზნით, დაიწყო საჯარო ადმინისტრაციული წარმოება და „მომხმარებელთა უფლებების დაცვის რეგლამენტში" უახლოეს მომავალში შევა ცვლილებები. ცვლილებების თანახმად, ყველა საკაბელო ოპერატორს დაევალება ოფიციალური ვებ-გვერდის გახსნა, სადაც ასევე სავალდებულო წესით განთავსდება მომხმარებლებისათვის მისაწოდებელი პაკეტები, სამაუწყებლო არხებით, რომლებსაც ეს ოპერატორი სთავაზობს მომხმარებელს და ასევე, მომსახურების საფასური პაკეტების მიხედვით. საკაბელო ოპერატორებს დაევალებათ, პაკეტში ცვლილების შეტანის შემთხვევაში 10 სამუშაო დღით ადრე აცნობოს მომხმარებელს," - აღნიშნეს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში.თელავის საკაბელო ტელევიზიას რაიონში დაახლოებით 5 000-მდე აბონენტი ჰყავს. ხელშეკრულების თანახმად, საკებელო ტელევიზიის დამონტაჟება აბონენტის კუთვნილ შენობაში 50 ლარი ღირს, ხოლო სააბონენტო გადასახადი თვეში 10 ლარია. ხელშეკრულების მიხედვით, საკაბელო ტელევიზია მომხმარებელს აწვდის 30 სატელევიზიო არხს. „მაესტროს" და „კავკასიის" ტრანსლირების შეწყვეტის შემდეგ „გორდამ" გასართობი არხები დაამატა და საერთო ჯამში აბონენტებს 30 სატელევიზიო არხზე მეტს აწვდის.

**კახეთის საინფორმაციო ცეტრი**

# შსს-ს ვანო ჩხარტიშვილის შვილი მძევლად უნდა აეყვანა

— ვანო ჩხარტიშვილის ოჯახის ახლობელმა გასული წლის აგვისტოში მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით, როცა უკრაინაში, ბორისპოლის აეროპორტიდან, საქართველოს შსს-ს მაღალჩინოსანს დავით ტაბუცაძეს ნათია ჩხარტიშვილი მოსტაცეს, კახეთის საინფორმაციო ცენტრთან კომენტარი გააკეთა.

ჩხარტიშვილების ოჯახის ახლობლის თქმით, საქართველოს შსს-ს ვანო ჩხარტიშვილის შვილი მძევლად უნდა აეყვანა და დავით ტაბუცაძე ნათია ჩხარტიშვილს სწორედ ამ მიზნით დაუახლოვდა.

— შსს-ს სჭირდებოდა ნათია, რომ ვანოზე ზეგავლენა მოეხდინათ, მაგრამ არ გამოუვიდათ. ამჟამად ვანო ჩხარტიშვილი ბრიტანეთშია და მას პოლიტიკური თავშესაფარი აქვს მიღებული, — აღნიშნა ოჯახის ახლობელმა.

კახეთის საპატრულო პოლიციის ყოფილ უფროსს დავით ტაბუცაძეს უკრაინაში, ბორისპოლის აეროპორტიდან საცოლე ნათია ჩხარტიშვილი რომ მოსტაცეს, ეს ინფორმაცია პირველად უკრაინულმა გაზეთმა „უკრაინსკაია პრავდამ" გაავრცელა. გაზეთის ცნობით, ნათია ჩხარტიშვილი აეროპორტიდან უკრაინის უსაფრთხოების სამსახურისა და ტარიელ ვასაძის დაცვამ გაიტაცა.

„უკრაინსკაია პრავდა" წერდა, რომ ნათია ჩხარტიშვილი აეროპორტიდან მაშინ გაიტაცეს, როდესაც იგი თავის საქმროსთან, დავით ტაბუცაძესთან ერთად კიევი - თბილისის თვითმფრინავთან მისასვლელად ემზადებოდა. გაზეთის ინფორმაციით, ნათია ჩხარტიშვილის გატაცების ორგანიზატორი მისი მამა ვანო ჩხარტიშვილი იყო, რომელიც ეწინააღმდეგებოდა მისი შვილისა და დავით ტაბუცაძის დაქორწინებას.

უკრაინულ მედიასთან საუბრისას ტაბუცაძე აცხადებდა, რომ



ისინი საქართველოში ჯვრის დასაწერად მიფრინავდნენ. პოლიციელისა და ნათია ჩხარტიშვილის ქორწინების ჩაშლა კი, საპატარძლოს მამამ მოინდომა. წყვილი ოდესაში ისვენებდა, თუმცა როცა გაიგეს, რომ მათ ვანო ჩხარტიშვილი ეძებდა, საქართველოში დაბრუნება გადაწყვიტეს. ისინი ჩაფრინდნენ ბორისპოლში, სადაც ტაბუცაძემ დახმარებისთვის უკრაინელი კოლეგა მილიციელები გამოიძახა. თუმცა, აეროპორტში მათ ტარიელ ვასაძის დაცვისა და უკრაინის უშიშროების სამსახურის თანამშრომლებმა გზა გადაუჭრეს.

ვიდრე მოლაპარაკებები მიმდინარეობდა, წყვილმა რეგისტრაციის გავლა მოასწრო და ავტობუსშიც ჩასხდნენ, რომელსაც ისინი ასაფრენ ბილიკამდე უნდა მიეყვანა. თუმცა, ავტობუსში ნათია ჩხარტიშვილთან უკრაინის უშიშროების სამსახურის თანამშრომელი მივიდა, პასპორტი მოსთხოვა და იქიდან ერთი გვერდი ამოხია. შემდეგ თანამშრომლებმა ჩხარტიშვილს თავაზიანად აუხსნეს, რომ ამოხეული გვერდით ვერსად გაფრინდება და უკან, აეროპორტში დააბრუნეს. ტაბუცაძეს კი მოსთხოვეს, აეროპორტი დაეტოვებინა.ტაბუცაძე ამტკიცებდა, რომ უკრაინის უშიშროების სამსახურის უფროსმა, ვალერი ხოროშკოვსკიმ უკრაინის შს მინისტრ ანატოლი მოგილევს დაურეკა და აეროპორტიდან მილიციელების გაყვანა მოსთხოვა.

ნათია ჩხარტიშვილთან არ მიუშვეს საქართველოს ელჩი უკრაინაში გრიგოლ ქათამაძე. გრიგოლ ქათამაძე კი ამბობდა, რომ მის სახელზე ტაბუცაძის განცხადება შევიდა, სადაც იგი წერდა, რომ „მისი მეუღლე აეროპორტში დააკავეს". მისივე თქმით, ტაბუცაძე დაკავების მიზეზების გარკვევას ითხოვდა.

ნათია ჩხარტიშვილი ჯერ ტარიელ ვასაძის სახლში, შემდეგ კი ლონდონში გაამგზავრეს.უკრაინის უშიშროების სამსახურის პრესმდივანი მარინა ოსტაპენკო „უკრაინსკაია პრავდასთან" საუბრისას აცხადებდა, რომ მის სამსახურს მომხდართან არანაირი კავშირი არ ჰქონდა.

— შეგახსენებთ, რომ 2008 წელს, საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა დავით ტაბუცაძე პარლამენტში გამოსვლისას გმირად გამოაცხადა. რამდენიმე დღის წინათ, ამ ადამიანმა ოცდაერთი წლის გოგონა გადაარჩინა, რომელიც მტკვარში თავს იხრჩობდა. იგი დაუფიქრებლად გადახტა მტკვარში და საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად გოგონა წყლიდან ამოიყვანა, — აღნიშნა მიხეილ სააკაშვილმა.

კახეთის საინფორმაციო ცენტრის ინფორმაციით, მას შემდეგ რაც ტაბუცაძეს ნათია ჩხარტიშვილი მოსტაცეს, იგი შსს-ს ორგანოებიდან გაათავისუფლეს.

**კახეთის საინფორმაციო ცენტრი**

## ცესკოს თავმჯდომარემ ანგარიში წარადგინა

ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ზურაბ ხარატიშვილმა საქართველოს რეგიონებში საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობის ანგარიში წარადგინა. როგორც „პირველს" ცსკ-დან აცნობეს, 4-დან 15 ივლისამდე პერიოდში კომისიის თავმჯდომარე აჭარის (ხულო, შუახევი, ქედა, ხელვაჩაური, ქობულეთი, ბათუმი), გურიის (ლანჩხუთი, ოზურგეთი, ჩოხატაური) და სამეგრელოს (წალენჯიხა, ჩხოროწყუ, მარტვილი, სენაკი, ზუგდიდი, ხობი, ფოთი) პოლიტიკური პარტიების რაიონული ერთეულების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ადგილობრივი მედიის წარმომადგენლებს, ასევე საოლქო საარჩევნო კომისიების წევრებს შეხვდა. ზურაბ ხარატიშვილმა შეხვედრების მონაწილეებს 2010 წლის 30 მაისის თვითმმართველობის არჩევნების შემდგომ პერიოდში განხორციელებული საქმიანობის ანგარიში გააცნო, ასევე სტრატეგიული გეგმის ძირითადი მიმართულებების პრეზენტაცია და რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების გეგმა წარუდგინა.

პარალელურად თითოეული შეხვედრის შემდეგ საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ განხორციელებული საქმიანობისა და სამომავლო გეგმების შესახებ დისკუსიები იმართებოდა.

ამასთან, ცსკ-ის თავმჯდომარე ზემოაღნიშნული რეგიონების ადგილობრივი საზოგადოების წარმომადგენლების სხვადასხვა სახის რეკომენდაციებს გაეცნო, რაც ადმინისტრაციას საარჩევნო პროცესების უკეთ დაგეგმვაში დაეხმარება.

**პირველი**

შედით საიტზე atb.ge

# ნოდარ დუმბაძის დაბადების დღე რუსთაველის საზოგადოებამ აღნიშნა

ეკა ირემაშვილი



ქართველი მწერლის ნოდარ დუმბაძის დაბადებიდან 83-ე დაბადების დღე რუსთაველის საზოგადოებამ აღნიშნა. რუსთაველის საზოგადოებაში ნოდარ დუმბაძის კოლეგები, მეგობრები, ოჯახის წევრები და ის ადამიანები შეიკრიბნენ, ვისთვისაც ნოდარ დუმბაძე და მისი შემოქმედება განსაკუთრებით ძვირფასია. მწერლის დაბადების დღეზე რუსთაველის საზოგადოებაში მასზე ბევრი ისაუბრეს და ის საინტერესო მომენტები გაიხსენეს, რომელიც თითოეული მათგანისთვის გამორჩეულია. მისი 80 წლის იუბილე ბავშვთა ქალაქ „მზიურში" განსაკუთრებულად აღინიშნა. მისმა შვილიშვილმა ლევან მაჭარაშვილმა კი ბაბუას ნახევარსაათიანი ფილმი მიუძღვნა, რომელშიც მწერლის ცხოვრება და მოღვაწეობაა აღწერილი.

— უკვე 27 წელია ამ დღეს აღვნიშნავ. მე ნოდარს პირობა მივეცი, რომ სანამ ცოცხალი ვიქნები, მის დაბადების დღეს ყოველთვის აღვნიშნავ. ამ პირობას დღემდე პირნათლად ვასრულებ. მართალია მისი ამქვეყნიდან წასვლიდან დიდი დრო გავიდა, მაგრამ ნოდარი ჩემთვის ისევ ცოცხალია და ცოცხალი იქნება მანამ, სანამ მისი ნაწარმოებები ქართველ საზოგადოებას ემახსოვრება და მის წიგნებს წაიკითხავენ, — განაცხადა მწერლის მეუღლემ, ქალბატონმა ნანული გუგუნავამ.

ნოდარ დუმბაძის მამა 1937 წლის რეპრესიების პერიოდში დააპატიმრეს, დედა კი გადაასახლეს. იგი თავდაპირველად თბილისის მე-15 საშუალო სკოლაში სწავლობდა, მაგრამ მისი დამთავრება ვერ შეძლო, რადგან საცხოვრებლად ბებიასთან და ბაბუასთან, ჩოხატაურის რაიონის სოფელ ზენობანში გადავიდა. სოფელ ხიდისთავის საშუალო სკოლის დასრულების შემდეგ მწერალი თბილისში დაბრუნდა სწავლის გასაგრძელებლად. შევიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკურ ფაკულტეტზე. მუშაობდა ასისტენტად უნივერსიტეტის ლაბორატორიაში, პარალელურად ეწეოდა შემოქმედებით მოღვაწეობას.

ნოდარ დუმბაძემ გამოსცა იუმორისტული მოთხრობების სამი კრებული. მოგვიანებით სამსახური მიატოვა, რათა მთელი დრო მწერლობისათვის მიეძღვნა. სხვადასხვა ჟურნალთან თანამშრომლობის პარალელურად, მწერალი კინოსცენარებსაც წერდა, აქტიურად იბეჭდებოდა მისი იუმორისტული მოთხრობებიც, იყო ჟურნალ „ნიანგის" რედაქტორი, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი, ჟურნალ „მოლოდაია გვარდიას" სარედაქციო კოლეგიის წევრი. ნოდარ დუმბაძის შემოქმედება პოპულარული გახდა როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთაც. მისი ნაწარმოებები თარგმნილია რუსულ, უკრაინულ, მოლდავურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ, ესპანურ, პოლონურ, იაპონურ, თურქულ, არაბულ ენებზე. მისი ოთხივე რომანი გადაკეთდა პიესად და დაიდგა საქართველოსა და უცხოეთის სცენებზე.

— ბედნიერია ის შემოქმედი, რომელიც ამდენი წლის შემდეგაც ემახსოვრება ქართველ საზოგადოებას. ერთ-ერთი ასეთი ნოდარ დუმბაძეა. ისეთი თბილია, ისეთი ღრმაა, ისეთი საოცარია მისი ნაწარმოებები, არ არსებობს რამდენჯერმე არ მიუბრუნდე და ერთი ამოსუნთქვით არ წაიკითხო. ჩვენ, რუსთაველის საზოგადოებამ გადავწყვიტეთ ნოდარ დუმბაძის დაბადების დღე აქ აღგვენიშნა. შევიკრიბეთ ყველა ის ადამიანი, ვისაც მისი შემოქმედება უყვარს და ვისთვისაც ნოდარ დუმბაძე ძვირფასია, — აღნიშნა რუსთაველის საზოგადოების წარმომადგენელმა დავით შემოქმედელმა.

ნოდარ დუმბაძე მის მიერვე დაარსებულ საბავშვო ქალაქ „მზიურში" დაკრძალეს, თუმცა ორი წლის წინ მისი ნეშტი მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში გადაასვენეს. ბავშვთა ქალაქი „მზიური" კი ნიუ იორკის პარკის ანალოგი იქნება. ამ საკითხთან დაკავშირებით, თბილისში უკვე იმყოფებოდა ნიუ იორკის მთავარი ურბანული დიზაინერი ზივ ლავი, რომელმაც დედაქალაქის საკრებულოში სემინარიც ჩაატარა და ღია სივრცეების განვითარებისა და მზიურის ურბანული პარკის დიზაინის საკითხებზე ისაუბრა. უცხოელი სპეციალისტი ჩვენს დედაქალაქში მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების სამსახურის მიერ იქნა ჩამოყვანილი. „ჩემი ვიზიტის მთავარი მიზანი, მზიურში ნიუ-იორკის ცენტრალური პარკის ანალოგის შექმნაა. მერიის წარმომადგენლებთან და ლანდშაფტის ქართველ სპეციალისტებთან სამუშაო შეხვედრები უკვე გავმართე. ერთობლივად განვიხილეთ და ვიმსჯელეთ პროექტებზე. ამ პროექტში თბილისის სიძველე აუცილებლად არის გასათვალისწინებელი და დიზაინის შერჩევაც შესაბამისად უნდა მოხდეს", — განაცხადა ზივ ლავიმ.

ცნობილი გახდა ისიც, რომ პარკს ძველი სახელი შეუნარჩუნდება და ის ორი უბნის შემაერთებელ ფუნქციას მიიღებს. ეს იქნება თბილისის სავიზიტო ბარათი, რომელზეც ევროპელი არქიტექტორები იმუშავებენ. ზოოპარკისა და მზიურის ადგილას გაშენდება ულამაზესი პარკი, რეკრეაციული ზონა, რითაც თბილისი კიდევ უფრო თანამედროვე ქალაქი გახდება. საბურთალოდან ვაკეში გადასვლა უკვე ფეხითაც იქნება შესაძლებელი. ის ყველა ტიპის მომხმარებელზე იქნება გათვლილი. ძველი მზიური ზოოპარკს მინის გვირაბით დაუკავშირდება. ტერიტორია ზონებად დაიყოფა და მოეწყობა კინოთეატრი, ამფითეატრი, დასასვენებელი ადგილები ყველა ასაკის ადამიანისთვის. ზოოპარკს კი თბილისის ზღვაზე გადაიტანენ, სადაც ცხოველებისთვის დიდი ვოლიერები აშენდება. პროექტის ბიუჯეტი ჯერჯერობით უცნობია, თუმცა დედაქალაქის მერი

გაგრძელება მე-15 გვერდზე

# რუსუდან ფეტვიაშვილი ბათუმში გალერეას ხსნის

ეკა ირემაშვილი

ცნობილი ქართველი მხატვარი რუსუდან ფეტვიაშვილი ბათუმში 21 ივლისს მუდმივმოქმედ საგამოფენო სივრცეს გახსნის. გალერეას არტ-კაფეს დანიშნულებაც ექნება და პიაცასთან სიახლოვეს განთავსებულ მყუდრო გარემოში ნებისმიერ მსურველს შეეძლება მისვლა.



სპეციალურად ამ დღისთვის მხატვარმა უკვე შექმნა 19 ახალი ტილო, რომელიც მუდმივმოქმედი გალერეის გახსნაზე იქნება წარმოდგენილი. ისინი კონკრეტულ თემაზე არ არის შექმნილი და შესრულებულია აბრეშუმზე. რუსუდან ფეტვიაშვილი თავის გალერეაში ნამუშევრებს ეტაპობრივად შეცვლის. გალერეის კარი ღია იქნება ყველა იმ ხელოვანისთვის, ვისაც კულტურა განსაკუთრებულად უყვარს. ახალი სივრცე საშუალებას მისცემს მსურველებს ლიტერატურული, მუსიკალური საღამოები ჩაატარონ. ახალი პროექტების პრეზენტაციისას მხატვარი ბათუმში ყოველთვის ჩავა, თუკი საქართველოში იქნება.

რუსუდან ფეტვიაშვილმა ხატვა წლისა და ათი თვის ასაკში დაიწყო. პირველი პერსონალური გამოფენა 6 წლისამ მოაწყო. მას შემდეგ მისი ნამუშევრები მრავალჯერ გამოიფინა როგორც სამშობლოში, ისე მის ფარგლებს გარეთ. ქართველი მხატვრის ტილოები გამოიფინა გერმანიაში, აშშ-ში, საფრანგეთში, დიდ ბრიტანეთში, ავსტრიაში, რუსეთში, ესპანეთში, უნგრეთში. მისი ილუსტრაციებით გამოცემულია წიგნები შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი" და „ქართული ზღაპრები". მხატვარი შესულია კემბრიჯის ბიოგრაფიული ცენტრის მიერ გამოშვებულ წიგნში „XX საუკუნის მსოფლიოს 2000 გამოჩენილი ადამიანი". სენტ იორში საგანგებო პრესკონფერენცია მიეძღვნა რუსუდან ფეტვიაშვილის ფენომენალურ მხატვრობას. მან მონაწილეობა მიიღო წმინდა ოთხთავის დიდი უნიკალური ხელნაწერი ეგზემპლარის შექმნაში, რომელიც სამების საკათედრო ტაძრისთვის მომზადდა. პროექტი მისი უწმინდესობისა და უნეტარესობის, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით განხორციელდა.

არტ-სალონისთვის ინტერიერი მხატვარმა საზღვარგარეთ შეუკვეთა. გალერეის გახსნაზე საქართველოში მხატვარი თავის უცხოელ მენეჯერებს ელოდება. რუსუდან ფეტვიაშვილის პარიზელი მენეჯერი ბათუმს სპეციალურად მეგობრებთან ერთად ეწვევა. საქართველოში ჩამოვა მხატვრის გერმანელი მენეჯერიც. მესამე მენეჯერი კი საქართველოში ჩამოსვლას გარკვეული მიზეზების გამო ვერ მოახერხებს.

ეს რუსუდან ფეტვიაშვილისთვის პირველი გალერეა არ იქნება. მხატვარს უკვე აქვს გალერეა თბილისში, საფრანგეთში, კერძოდ პარიზში, სადაც რუსუდან ფეტვიაშვილს დახურული ტიპის გალერეა აქვს. სულ მალე კი ქართველი მხატვრის მუდმივმოქმედი გალერეა უკვე გერმანიაში გაიხსნება.

გალერეის გახსნის პარალელურად, ქართველი მხატვარი გამოფენებისთვის ემზადება, რომლებიც უცხოეთშია დაგეგმილი. ასევე მუშაობს ვაჟა-ფშაველას კრებულისთვის საჭირო ილუსტრაციებზე. ხელოვანს მწერლის ათი საუკეთესო მოთხრობისთვის ილუსტრაციების შექმნა აქვს დავალებული. შვეიცარიამ და გერმანიამ რუსუდან ფეტვიაშვილის ნამუშევრების გამოფენას უკვე უმასპინძლა, ახლა კი მხატვარი პარიზისთვის ემზადება, სადაც მისი ტილოები შემოდგომაზე გამოიფინება.


## ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

პროექტის ფარგლებში შესაძლებელი გახდა ტაძრის შიგნით და ეზოში ჩაგვეტარებინა არქეოლოგიური გათხრები. ახალმა აღმოჩენებმა შეცვალა ტაძრის ისტორია. ის, რაც ისტორიულად ცნობილი იყო, დღეს ფაქტითაც დასტურდება — აღმოჩენილ იქნა პირველი ტაძრის საძირკველი და წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახო საძვალე. არქიტექტორების, ხელოვნებათმცოდნეებისა და ისტორიკოსების ჯგუფი მუშაობს ამ საკითხების შესწავლაზე. პარალელურად ბატონ ბუბა კუდავას (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი) ხელმძღვანელობით გამოსაცემად მზადდება წიგნი „ხობის მონასტერი".

ტაძარში დამონტაჟდა ახალი კანკელი, იწერება ახალი ხატები, გამოიცვალა სარკმლები, დასრულდა იატაკის ფილების დაგება; მიმდინარეობს საპატრიარქო რეზიდენციის მშენებლობა. ტაძარსა და რეზიდენციაში დამონტაჟდა გათბობის სისტემა.

მზადდება პროექტი წმიდა ცოტნე აღმსარებლისა და მისი ოჯახის წევრების საძვალის მოსაწყობად.

დასამზადებელია საეკლესიო ავეჯი; შესაცვლელია განათების სისტემა, ტაძრის ძირითადი კარები.

იმისათვის, რომ შევძლოთ დაწყებული სამუშაოების დასრულება, გვჭირდება თანადგომა.

გახდით მონასტრის მეგობარი.

გვჯერა, თქვენი თანადგომით შევძლებთ გავუფრთხილდეთ წინაპართა დანატოვარს და თავად გავხდეთ ღირსეული წინაპარი.




იცხოვრეთ მომავლისთვის.

უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.

**საბანკო რეკვიზიტები:**

ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის" ხობის ფილიალი
ბ/კ: 220 101 465
ანგ. N 36 010 892 GEL;
136 180 892 USD;
236 180 892 EUR



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ან დარეკოთ: მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი — 700 607; ახალი ქსელები — 700 608; სილქნეტი — 608 608 (ზარის ღირებულებაა 1 ლარი).

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)



## განცხადებები

● იყიდება, მცხეთის რაიონის სოფელ ვაზიანში (თბილისიდან 30 კმ-ში), 2000 კვ.მ. საკარმიდამო მიწის ნაკვეთი ხეხილით, სასმელი და სარწყავი წყლი (შეიძლება ნაწილ-ნაწილად). 1 კვ.მ.-ის ფასი 2 დოლარი. ტელ: 8790 53-02-41; 253-15-87.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● იყიდება 2-სართულიანი კერძო სახლი მეტრო „ვარკეთილთან" (50 მეტრში). ტელ.: 273-35-63; 593 93 40 36 ლიკა.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ნევროზი, აგრესია, შიშები, ღვიძლისა და თირკმლის ფუნქციის აღდგენა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით უკუჩვენების გარეშე, იმუნიტეტის გაძლიერება 100% შედეგებით (ანონიმურობა დაცულია). ტელ: 558-96-89-15 ან 234-02-38 ექიმი მეგი.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის გაწმენდა დაინფიცირებისგან, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით 100%-იანი შედეგებით. ტელ: 234-02-38; 558-968-915 ექიმი ქ-ნი მეგი.

● სიმაღლეში სწრაფი და ეფექტური ზრდა თვეში 3-5 სმ-ის მომატებით, 25 წლამდე, კურსის გამეორება შეიძლება სასურველ შედეგამდე, გახდომა თვეში 7-დან 20 კგ-მდე, უვნებლად, მიღებული შედეგის შენარჩუნებით, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, იმუნიტეტის გაძლიერებით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 234-02-38; 595-293-299; 8790-293-299. ექიმი ქ-ნი ინგა.

# სტანიმირ სტოილოვი:
# „ანორთოსისი“ მოსაგებად იბრძოლებს

ევროპის ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის საპასუხო მატჩი ქართულ „გაგრასა“ და კვიპროსულ „ანორთოთისს“ შორის ზესტაფონში ხვალ გაიმართება. კუნძულელები ქუთაისში არიან დაბინავებულნი, სადაც გუშინ პრესკონფერენცია გამართეს.

კვიპროსელებს პირველი მატჩი 3:0 აქვთ მოგებული, მაგრამ მოედანზე ხვალაც მოსაგებად გასვლას გეგმავენ.



**სტანიმირ სტოილოვი, „ანორთოსისის“ მთავარი მწვრთნელი:**

— პირველი მატჩის შედეგიდან გამომდინარე, ფავორიტებად ჩვენ ვითვლებით, თუმცა, ჯერჯერობით, ყველაფერი გადაწყვეტილი არ არის. მეტოქე ახალგაზრდული გუნდია, რომელიც შემართებით თამაშობს. მოწინააღმდეგეს დასაკარგი არაფერი აქვს, ამიტომაც, ვფიქრობ, ხვალ საკმაოდ რთული მატჩი გველის.

— ***პირველ მატჩში თუ ელოდით მეტოქის ასე იოლად დამარცხებას?***

— ვერ ვიტყვი, რომ „გაგრა“ იოლად დავამარცხეთ. უბრალოდ, ეს ფეხბურთია და ხდება, როცა ერთი გუნდი მეორეს დიდი ანგარიშით ამარცხებს. მეტოქემ ძალზე აქტიურად დაიწყო და თავიდან მცირე უპირატესობასაც კი ფლობდა, მაგრამ შემდეგ ჩვენ ვიძალეთ და გავიმარჯვეთ.

— ***რა შთაბეჭდილება დატოვა "გაგრამ" პირველ შეხვედრაში?***

— კიდევ ერთხელ გავიმეორებ: ჩვენი ხვალინდელი მეტოქე ძალზე ახალგაზრდული გუნდია. აშკარად ეტყობათ, რომ ბიჭებს ფეხბურთის თამაში შეუძლიათ და ფეხბურთისაგან უდიდეს სიამოვნებას იღებენ. ერთადერთი, რაც მათ ამ ეტაპზე აკლიათ, გამოცდილებაა, რომელსაც დროთა განმავლობაში შეიძენენ. "გაგრა" ძალზე ტექნიკური და მოძრავი გუნდია და ვფიქრობ, კარგი მომავალი აქვს. ჩვენთან მიმართებით ისიც უნდა ვთქვა, რომ "ანორთოსისს" მაღალ დონეზე თამაშის დიდი გამოცდილება აქვს. ამასთან, ფიზიკური უპირატესობის ფაქტორიც უნდა ვახსენოთ.

— ***„ანორთოსისი“ უძლიერესი შემადგენლობით არის ჩამოსული?***

— ჩვენ პირველ შეხვედრაშიც გვაკლდა ძირითადი შემადგენლობის ხუთი ფეხბურთელი, რომლებიც არც ხვალ ითამაშებენ. ასევე არ იქნება ბრაზილიელი ევანდრო რონკატო, რომელსაც მცირე ტრავმა აქვს და სიტუაციის გართულებას ვერიდებით.

— ***ხვალინდელ მატჩში მეტოქეთა შანსებს როგორ შეაფასებთ?***

— ყველაფერი მოედანზე გამოჩნდება. ფეხბურთში წინასწარ რაიმეს თქმა გამართლებული არ არის. მოედანიც იმისათვის არსებობს, რომ გახვიდე და დაამტკიცო შენი უპირატესობა.

— ***მაინც რა შედეგს უნდა ველოდოთ ხვალ "ანორთოსისისგან"?***

— ჩვენ საბრძოლო განწყობა გვაქვს და მოედანზე მოსაგებად გავალთ. პირველი მატჩის შედეგის მიუხედავად, გუნდი სერიოზულად ემზადება. საკუთარ თავს მოდუნების უფლებას ვერ მივცემთ. როგორც ყოველთვის, "ანორთოსისი" მოსაგებად იბრძოლებს.

გუშინ საღამოს კვიპროსელებმა დავით აბაშიძეზე ივარჯიშეს. მათი წვრთნის დასრულების შემდეგ იგივე "გაგრას" ფეხბურთელებმაც გააკეთეს. დღეს კი, 21 საათზე თამაშია.

# ედუარდ სერგიენკო:
# „უფრო მეტი უნდა შევუტიოთ!“

დღეს ევროპის ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე საპასუხო მატჩს გამართავს რუსთავის „მეტალურგი“. შეგახსენებთ, ქვემოქართლელთა მეტოქე ყაზახური „ირტიშია“ და მათი რუსთავული მატჩი ფრედ, 1:1 დასრულდა.

ევროპის ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე საკუთარ მოედანზე რუსთავის „მეტალურგთან“ საპასუხო მატჩის წინ პავლოდარის „ირტიშის“ ნახევარმცველმა ედუარდ სერგიენკომ ერთ-ერთ ყაზახურ ინტერნეტ-გამოცემასთან საუბარში განაცხადა, რომ გუნდი დაცვაში არ ჩაჯდება და შეუტევს.

— ***როგორ ემზადებით მატჩისთვის?***

— მზადება ჩვეულებრივ რეჟიმში მიდის. შინ ვთამაშობთ და ამიტომ უნდა მოვიგოთ, რათა გულშემატკივრები გავახაროთ. სტადიონის გავსებას ველით.

— ***რუსთავში გამარჯვებაში „ირტიშს“ ხელი რამ შეუშალა?***

— კარგად ვთამაშობდით და საგოლე მომენტებიც გვქონდა. თუმცა, გამარჯვებამდე ცოტა დაგვაკლდა.

— ***იღბალი?***

— შესაძლოა იღბალიც.

— ***რაზე გააკეთებს გუნდი აქცენტს მომავალ თამაშში?***

— ყოველთვის შემტევ ფეხბურთს ვთამაშობთ და ამიტომ საკუთარ კართან □„ჩაჯდომას“ არ ვაპირებთ. შევუტევთ.

— ***შეგიძლიათ, მეტოქის ძლიერი და სუსტი მხარეები დაგვისახელოთ?***

— „მეტალურგი“ კარგი გუნდია. ქართველებს კარგი შეტევის ხაზი და დაბალანსებული ნახევარდაცვა ჰყავთ, მაგრამ დაცვაში პრობლემები აქვთ.

— ***სტატისტიკის მიხედვით, „ირტიშს“ გოლები ძირითადად მეორე ტაიმის დასაწყისში გააქვს. ეს რით არის განპირობებული?***

— გუნდის ფიზიკური მდგომარეობით. ამ დროისთვის მეტოქე იღლება და შეცდომებს უშვებს.

— ***გინდათ თქვათ, რომ „ირტიში“ ფიზიკურად უფრო გამძლე გუნდია, ვიდრე „მეტალურგი“?***

— დიახ.

— ***იმავე სტატისტიკის მიხედვით, „ირტიში“ ყველაზე ხშირად გოლს მატჩის ბოლოს უშვებს. თქვენც იღლებით?***

— ალბათ, ასეა. რეალურად თუ ვიმსჯელებთ, ის იგებს, ვინც ნაკლებად ცდება.

— ***პირადად მწვრთნელმა რაიმე დავალება უკვე მოგცათ?***

— არა. გუნდში ცალცე დავალებებს არავის აძლევენ. დავალება საერთოა — უფრო მეტად უნდა შევუტიოთ.

— ***თავად გამარჯვებაში დარწმუნებული ხართ?***

— დიახ. თუმცა, ამავე დროს, არც მეტოქის შეუფასებლობა შეიძლება. შეტევასთან ერთად, არც დაცვას ვივიწყებთ.



— ***ქალაქში გულშემატკივრებს შორის როგორი განწყობაა?***

— განწყობა კარგია, მაგრამ ისეთი აჟიოტაჟი, როგორიც პოლონეთის „იაგელონიასთან“ მატჩის წინ იყო, არ არის. თუმცა, ვფიქრობ, რომ სტადიონი სავსე იქნება.

# შტეფან ეფენბერგი მწვრთნელობისთვის ემზადება

42 წლის შტეფან ეფენბერგი სამწვრთნელო კურსებზე დადის და ლიცენზიის აღებას აპირებს. მწვრთნელის განათლებას ეფენბერგი ყოფილ თანაკლუბელ მეჰმეთ შოლთან ერთად ეუფლება, რომელიც 40 წლისაა და ეფესთან ერთად 2001 წელს „ბაიერნში“ ჩემპიონთა ლიგა მოიგო. სხვათა შორის, შტეფანისგან განსხვავებით, შოლს გარკვეული სამწვრთნელო გამოცდილება უკვე აქვს — შარშან „ბაიერნის“ მეორე გუნდის თავკაცი გახლდათ, თუმცა წარმატებებს ვერ მიაღწია.

— მთავარია, უმაღლეს ლიგაში ვიმუშავო და მნიშვნელობა არა აქვს, გერმანიაში დავსაქმდები, იტალიაში თუ ინგლისში. დარწმუნებული ვარ, რომ სამწვრთნელო საქმეში ძალიან წარმატებული ვიქნები, — აცხადებს ეფე.

სხვათა შორის, თავის დროზე სწორედ ასე ლაპარაკობდა ეფენბერგის კოლეგა ლოთარ მათეუსიც, რომელიც შტეფანზე რვა წლით უფროსია. ამ უკანასკნელმა სამწვრთნელო ლიცენზია ათი წლის წინ აიღო და ზუსტად ათი წელია, მწვრთნელის რანგში მოღვაწეობს, თუმცა წარმატებას ვერსად მიაღწია. კითხვაზე, ხომ არ ეშინია, რომ მათეუსის ბედს გაიზიარებს, „ბაიერნის“ გულშემატკივრების უსაყვარლესი ექს-ფეხბურთელი პასუხობს, ეს გამორიცხულიაო.

ეფენბერგთან და შოლთან ერთად, სამწვრთნელო კურსებს კიდევ ოთხი წარსულში ცნობილი გერმანელი ფეხბურთელი გადის — თომას შტრუნცი, იორგ ჰაინრიხი, კრისტიან ვიორნსი და იორგ ბიომე.

# „ინტერს“ სკუდეტო დაუბრუნეს

იტალიაში რამდენჯერმე შეიცვალა ისტორია 2006 წლის სკუდეტოსთან დაკავშირებით. გემახსოვრებათ, ის ჯერ „იუვენტუსს“ ჩამოართვეს და „ინტერს“ გადასცეს, შემდეგ „ინტერს“ ჩამოართვეს და უპატრონოდ დატოვეს, სულ ბოლო გადაწყვეტილებით კი კვლავ „ინტერს“ დაუბრუნეს.

ფედერკალჩოს სადისციპლინო კომიტეტმა „ინტერის“ პრეზიდენტის, მასიმო მორატის მიერ შეტანილი სარჩელი განიხილა და ახალი დასკვნა დადო, რომლის მიხედვითაც „ინტერი“ სადავო საკითხებში აშკარად გამართლებული იყო. ამის შემდეგ ფედერკალჩოს სხდომა გაიმართა, რომელზეც ამ საკითხს კენჭი ეყარა და ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით სკუდეტო კვლავ „ინტერს“ დაუბრუნდა.

საგულისხმოა, რომ აღნიშნული გადაწყვეტილებაც ექვემდებარება გასაჩივრებას და უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს ისტორია კიდევ დიდხანს გაგრძელდება. ეს ნათლად ჩანს „იუვენტუსის“ ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებულ განცხადებაში:

— ფედერკალჩოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება ძალიან შორს არის სიმართლისგან, რადგან 2006 წლის სკუდეტო „იუვენტუსმა“ სრულიად დამსახურებულად მოიგო. გადაწყვეტილება, რომლის ძალითაც „ინტერს“ სკუდეტო დაუბრუნდა, აუცილებლად გასაჩივრდება და, თუ ჩვენი მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა, სარჩელს იტალიის ოლიმპიურ კომიტეტში შევიტანთ. ბრძოლა გაგრძელდება იქამდე, სანამ სამართალი არ იზეიმებს.

მასიმო მორატი კი მიიჩნევს, რომ სამართალმა უკვე იზეიმა და გასარჩევი აღარაფერია:

— მიხარია, რომ იტალიის ფეხბურთის ფედერაციაში მალევე მოეგნენ გონს და სამართლიანობა აღადგინეს. 2006 წელს საუკეთესო გუნდი უდავოდ „ინტერი“ იყო და, რომ არა ტურინელთა მაქინაციები, სკუდეტოს მოედანზევე მოვიპოვებდით. თუმცა, ამას უკვე აღარ აქვს არსებითი მნიშვნელობა — მთავარია, რომ გაუგებრობა აღმოიფხვრა და სკუდეტო დაგვიბრუნდა.

# ჩვენი მეტოქეები:
# უკრაინა ლიტვურ შეკრებაზე ამერიკელი ლეგიონერით გაემგზავრა

უკრაინის ეროვნული ნაკრები ლიტვის ქალაქ კლაიპედაში შეკრებაზე გაემგზავრა. უკრაინელები საქართველოს მეტოქეები არიან ევროპის ჩემპიონატის ჯგუფში, რომლის თამაშებიც 31 აგვისტოდან სწორედ კლაიპედაში გაიმართება.

ახალი მწვრთნელის, მაიკ ფრატელოს ხელმძღვანელობით უკრაინა ივლისის დასაწყისიდან ემზადება, თუმცა გუნდი არ იყო სრულად შეკრებილი და უმეტესი დრო 5-7 კალათბურთელით უწევდა ვარჯიში. 19 ივლისისთვის კიევში ყველა კალათბურთელმა მოიყარა თავი. კლაიპედაში მხოლოდ არტურ დროზდოვი ვერ გაემგზავრა, რომელსაც, უკრაინული პრესის ცნობით, ოჯახური პრობლემები აქვს.

სამაგაიეროდ, ლიტვაშია „დნიპროს“ ამერიკელი ლეგიონერი სტივენ ბურტი, რომელიც უკრაინული პასპორტის მოლოდინშია. უკრაინაში ბევრს არ სურს ნაკრებში ამერიკელი ლეგიონერის მოწვევა, თუმცა ფედრაციას ნატურალიზაციის საკითხი უკვე გადაწყვეტილი აქვს და ბურტიც უკრაინელებს ევროპის ჩემპიონატზე დაეხმარება. უკრაინის ნაკრები კლაიპედაში 10 დღეს დაჰყოფს, რის შემდეგაც კიევში დაბრუნდება და 29-31 აგვისტოს საერთაშორისო ტურნირში მიიღებს მონაწილეობას, სადაც მისი მეტოქეები ბელარუსის, ესტონეთისა და იორდანიის ნაკრებები იქნებიან.

# ურუგვაი ფინალშია და მეტოქეს ელის

**პერუ — ურუგვაი 0:2**

***0:1, 0:2 სუარესი (53, 58)***

**პერუ:** ფერნანდესი, კარმონა, აკასიეტე, როდრიგესი, ვილჩესი, ადვინსულა (ლობატონი 61), კრუსადო, ბალბინი (ბალონი 90), იოტუნი (ჩიროკი 54), გუერერო, ვარგასი

**ურუგვაი:** მუსლერა, პერეირა, ლუგანო, კოატესი, კასერესი, გონსალესი, გარგანო (ეგურენი 71), არევალო, პერეირა, ფორლანი, სუარესი (ერნანდესი 71)

**გაძევება:** ვარგასი (69)

კოპა ამერიკის 2011 წლის გათამაშების პირველი ფინალისტი ურუგვაის ნაკრებია. ოსკარ ტაბარესის გუნდმა პერუს 2:0 სძლია და 1999 წლის შემდეგ პირველად მოიპოვა სატიტულო შეხვედრაში თამაშის უფლება.

მატჩის პირველი ნახევარი უგოლოდ დასრულდა, ხოლო შეხვედრის ბედი მე-2 ნახევრის დასაწყისში ლუის სუარესის ორმა ზუსტმა დარტყმამ გადაწყვიტა და ლივერპულის ფორვარდმა 5-წუთიან მონაკვეთში დუბლი მიითვალა.

53-ე წუთზე ფორლანის შორეული დარტყმა ფერნანდესმა უხეიროდ მოიგერია და დამატებაზე მოთამაშე სუარესს ანგარიშის გახსნის საშუალება მისცა. ხუთ წუთში პერეირას ძალიან კარგი გადაცემით მეკარესთან პირისპირ გასულმა სუარესმა ფერნანდესი საჯარიმოს წინა ხაზთან მოატყუა და ცარიელ კარში ბურთის მშვიდად შეგორებით შეხვედრის საბოლოო ანგარიში დააფიქსირა, ხოლო თავად საუკეთესო ბომბარდირობის ტიტულის მოპოვებისთვის დიდი ნაბიჯი გადადგა.

პერუელთა მდგომარეობა განსაკუთრებით მას შემდეგ დამძიმდა, რაც 69-ე წუთზე, კოატესისთვის იდაყვის სახეში ჩარტყმის გამო, მოედანი ვადაზე ადრე დაატოვებინეს გუნდის კაპიტან ხუან მანუელ ვარგასს.

ჯერ სრული შემადგენლობით ვერ უძლებდა პერუს ნაკრები მეტოქეს, კაცნაკლულობაში კი საერთოდ ვერაფერი გააწყვეს და ურუგვაელებმა საქმე მშვიდად მიიყვანეს გამარჯვებამდე.

**მოამზადა მიხეილ ქორქოლიანმა**

## შედეგები

### ფეხბურთი

**კოპა ამერიკა**

| | |
|---|---|
| ურუგვაი-პერუ | 2:0 |

**ევროპის ჩემპიონთა ლიგა**
**მე-2 შესარჩევი ეტაპი**

| | |
|---|---|
| ფლორა-შემროკი | 0:0 |
| ბატე-ლინფილდი | 2:0 |
| დუდელანჟი-მარიბორი | 1:3 |
| ნეფთჩი-დინამო(ზ) | 0:0 |
| ტობოლი-სლოვანი | 1:1 |
| ჰიკი-ბანგორი | 10:0 |
| ეკრანასი-ვალეტა | 1:0 |
| ლიტექსი-მოგრენი | 3:0 |
| ტორსჰავნი-მალმიო | 1:1 |
| პლზენი-პიუნიკი | 5:1 |
| ვისლა-სკონტო | 2:0 |
| შკენდია-პარტიზანი | 0:1 |

**გერმანია. ლიგის თასი**
**ნახევარფინალები**

| | |
|---|---|
| დორტმუნდი-მაინცი | 1:0 |
| ბაიერნი-ჰამბურგი | 1:2 |

### წყალბურთი

**მსოფლიო ჩემპიონატი**
**კაცები**

| | |
|---|---|
| სერბეთი-რუმინეთი | 12:5 |
| ხორვატია-კანადა | 11:4 |
| ბრაზილია-იაპონია | 11:13 |
| გერმანია-ს.აფრიკა | 16:8 |
| იტალია-აშშ | 8:5 |
| ჩერნოგორია-ესპანეთი | 9:7 |

**ქალები**

| | |
|---|---|
| აშშ-უნგრეთი | 16:7 |
| ჰოლანდია-ყაზახეთი | 13:3 |
| ჩინეთი-კუბა | 19:6 |

### ჩოგბურთი

**ატპ. ჰამბურგი. თიხა**

| | |
|---|---|
| ანდუჰარი-ბენეტო | 6:2;6:2 |
| დოლგოპოლოვი-ნიემინენი | 3:6;6:1;4:6 |
| სიმონი-სტახოვსკი | 6:2;6:1 |
| ჩელა-კამკე | 1:6;4:6 |
| ფონინი-კრივოი | 6:1;7:5 |
| ფერერო-შტებე | 3:6;2:6 |
| იუჟნი-ბერლოკი | 7:5;7:6 |
| გარსია ლოპესი-რაისტერი | 6:7;2:6 |
| კოლშრაიბერი-გოლუბევი | 7:5;6:3 |
| შტეპანეკი-სეპი | 6:1;7:5 |

**ვტა. ბაქო. ჰარდი**

| | |
|---|---|
| არიფიევა-კუცოვა | 3:6;3:6 |
| პავლუჩენკოვა-სოლოვიოვა | 7:5;6:4 |
| ზვონარევა-აბდურაიმოვა | 6:1;7:5 |
| იაკიმოვა-კორიტცევა | 2:6;5:7 |
| ნიკულესკუ-ვოსკობაევა | 6:7;2:6 |

# რობერტო კარლოსი: „ფორმაში ვარჯიშზე მეტად თამაშით შევდივარ“



მადრიდის „რეალში“ 12-წლიანი წარმატებული ასპარეზობის შემდეგ რობერტო კარლოსმა ჯერ სტამბოლის „ფენერბახჩეს“ მიაშურა, შემდეგ ერთი სეზონი „კორინთიანსში“ იბურთავა, 2011 წლის 12 თებერვალს კი გულშემატკივართა უმრავლესობისთვის მეტად მოულოდნელი გადაწყვეტილება მიიღო — გამოცდილმა მარცხენა უკანახაზელმა რუსეთის პრემიერლიგის მახაჩყალის „ანჟისთან“ ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

რამდენიმე დღის წინ მახაჩყალელებმა ავსტრიაში ტესტ-მატჩი ჩაატარეს გელზენკირხენის „შალკესთან“ და „რეალის“ მრავალწლიანი პარტნიორები რობერტო კარლოსი და რაული ერთმანეთის მოწინააღმდეგეები იყვნენ. ამ მატჩში მონაწილეობა საქართველოს ნაკრების მეკარე ნუკრი რევიშვილმაც მიიღო, თუმცა, ჟურნალისტების მთავარი სამიზნე ორი ძველი მეგობარი, რობერტო კარლოსი და რაულ გონსალესი იყვნენ.

ვებგვერდ ჩამპიონატ.რუ-ზე გამოქვეყნდა კარლოსის ინტერვიუ, სადაც „ანჟის“ კაპიტანს პირველი კითხვა გელზენკირხენელთა ამჟამინდელ თავდამსხმელთან დაკავშირებით დაუსვეს.

***— გავრცელებული ცნობის თანახმად, ტესტ-მატჩის წინ რაულს შეხვდით და მასთან საკმაოდ ხანგრძლივი საუბარი გქონდათ. რა თემებს შეეხეთ ყოფილი თანაგუნდელები?***

— როგორც კი გავიგე, რომ „ანჟის“ „შალკესთან“ მოუწევდა ამხანაგური შეხვედრის ჩატარება, დიდად გავიხარე. 12 წლის განმავლობაში მე და გონსალეს ბლანკომ მადრიდის „რეალში“ მხარდამხარ ვითამაშეთ, ბევრ წარმატებას მივაღწიეთ ერთობლივი ძალისხმევით და, რაც მთავარია, მეგობრები ვართ. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ერთმანეთის საფეხბურთო შესაძლებლობებს ყოველთვის სათანადოდ ვაფასებდით.

***— რაც თქვენი და რაულის საფეხბურთო გზები გაიყო, ერთმანეთთან კონტაქტი ხშირად გაქვთ?***

— სამწუხაროდ — არა. მე და რაული პრაქტიკულად არ ვუკავშირდებით ერთმანეთს. ეს უპირველესად მოუცლელობის ბრალია.

***— რამდენიმე დღის წინ ბრაზილიურ პრესაში დაიწერა, რომ 2 წლის შემდეგ მახაჩყალის “ანჟის“ პრეზიდენტი გახდებით. ეს სიტყვები მართლა თქვენ გეკუთვნით თუ ჟურნალისტების ფანტაზიის ნაყოფია?***

— ჯერჯერობით კლუბთან მოქმედი კონტრაქტი მაკავშირებს და უახლოესი წლების განმავლობაში მხოლოდ მოთამაშის ამპლუაში მიხილავთ. როდესაც ფეხბურთის თამაშს თავს დავანებებ, კლუბის ხელმძღვანელებთან შეთანხმებით გადავწყვეტთ, თუ რა ფორმით გავუწევ სამსახურს „ანჟის“. ამასთან, ნაკლებად მნიშვნელოვანია, მთავარი მწვრთნელი გავხდები, მისი ასისტენტი, კლუბის პრეზიდენტი თუ მისი ელჩი. მთავარი ისაა, რომ ბედს სამომავლოდაც მახაჩყალურ კლუბს დავუკავშირებ.

***— მოდით, ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რომ უკვე დღეს ხართ „ანჟის“ პრეზიდენტი ან რომელიმე მნიშვნელოვანი პოსტი გიკავიათ კლუბის დირექტორატში. რომელი ფეხბურთელის გადაყვანას შეეცდებოდით გუნდში?***

— კონკრეტულ გვარებს ვერ დაგისახელებთ. ჯერჯერობით ფეხბურთელი ვარ და სასელექციო საკითხები ჩემს კომპეტენციაში არ შედის.

***— ბოლო დროს ფეხბურთელთა ხელფასი ასტრონომიულად გაიზარდა. ბევრს ეს ახალგაზრდა მოთამაშეების შემდგომი ზრდის შემაფერხებელ ფაქტორად მიაჩნია.***

— ასე ხელაღებით ამის მტკიცებას არ შევუდგებოდი. ყველა ქვეყანას თავისი სპეციფიკა აქვს და ზოგიერთ ქვეყანაში თქვენ მიერ ნახსენები პროცესი მოქმედებს, ბევრში — არა. მეორე ნაწილს მიეკუთვნება ბრაზილია. ჩვენში ფეხბურთი ისე ფანატიკურად უყვართ, ფული ბურთის გორების სურვილს ვერ ჩაკლავს.

***— ევროპელი საფეხბურთო ექსპერტების ნაწილი საპირისპიროს ამტკიცებს. ბრაზილიელი მოთამაშეების მენტალიტეტს კარგად იცნობთ, ამიტომაც გკითხავთ — რატომ ხდება, რომ თქვენი თანამემამულე ფეხბურთელების ნაწილი აღმოსავლეთ ნახევარსფეროში გადმობარგების შემდეგ ნაკლები მონდომებით ვარჯიშობენ და თამაშობენ და სამშობლოში მიბრუნება უწევთ.***

— ბრაზილიიდან უკვე 18 წელია წასული გახლავართ და შორსმიმავალი დასკვნის გაკეთება ჩემთვის ძალიან ძნელია. ყოველი შემთხვევა განცალკევებით უნდა განვიხილოთ, უკან დაბრუნებულებზე მეტი ბრაზილიელი ფეხბურთელი ევროპაში წარმატებით ასპარეზობას აგრძელებს.

***— „ანჟის“ ავსტრიულ შეკრებაზე 2 დღით დააგვიანეთ. როგორ გგონიათ, 37 წლის გამოცდილ ფეხბურთელს ამგვარი შეკრებები სჭირდება, როცა იგი ლამის ფორმის პიკზე იმყოფება?***

— დავიწყებ იმით, რომ შეკრებაზე დაგვიანების საპატიო მიზეზი მაქვს — სწორედ ეს 2 დღე დამჭირდა ჯერ ბრაზილიაში, შემდეგ კი ავსტრიაში ჩასასვლელად. უშუალოს შეკრებას რაც შეეხება, გულწრფელად მოგახსენებთ, რომ ისინი არასდროს მიყვარდა და ახლაც ასეა. შესაძლოა, ყველა ფეხბურთელს მზადების თავისი ინდივიდუალური სპეციფიკა აქვს, მე კი ფორმას გაცილებით სწრაფად და უკეთ თამაშის წყალობით აღვიდგენ, ვიდრე მოსაწყენი ვარჯიშის შედეგად.

# „ბარსელონა“ ტრანსფერებს ადასტურებს

როგორც იქნა, “ბარსელონას“ შტაბმა დაადასტურა, რომ კლუბი სერიოზულ სატრანსფერო ამბებშია ჩართული, რომ ბოიან კრკიჩის “რომაში“ გადასვლას აღარაფერი უკლია, ისევე, როგორც ალექსის სანჩესის კატალონიურ გრანდში მისვლას.

ხოსეპ გვარდიოლამ კი განაცხადა, რომ სესკ ფაბრეგასის ტრანსფერზე “არსენალთან“ ინტენსიური მოლაპარაკება მიმდინარეობს.

“ბარსას“ სპორტული დირექტორი, წარსულში ცნობილი გოლკიპერი ანდონი სუბისარეტა და პეპ გვარდიოლა მედიის წინაშე წარდგნენ. სუბისარეტამ აღნიშნა, რომ ბოიან კრკიჩის ტრანსფერი “რომაში“ თითქმის განხორციელებულია, რომ ასევე წარმატებით გვირგვინდება ალექსის სანჩესის ტრანსფერი “უდინეზედან“.

— მხარეები ვგრძნობთ დიდ პასუხისმგებლობას და ვიმედოვნებთ, რომ ყველაფერი კარგად დასრულდება. ძალიან მალე ალექსისი ჩვენთან იქნება. ჯერ კიდევ დარჩა მოსაგვარებელი საკითხები, თუმცა, იმედი მაქვს, რომ ამ ტრანსფერს ბოლო კეთილი ექნება, — განაცხადა სუბისარეტამ.

ბოიან კრკიჩის შესახებ კი მან თქვა, რომ “რომაში“ ტრანსფერი თავად ფეხბურთელს წაადგება კარიერაში და ეს ხელშეკრულება ძალიან მალე გაფორმდება. სხვაგვარი სიტუაციაა სესკ ფაბრეგასის შესაძლო ტრანსფერთან დაკავშირებით.

— დასამალი არაფერი გვაქვს, ჩვენ დიდ პატივს ვცემთ “არსენალს“, სესკი კი ამ კლუბის საკუთრებაა, ჩვენ მათ ვთავაზობთ საინტერესო ვარიანტს, რომელიც, ჩვენი აზრით, ინგლისელებს დააინტერესებთ. მოლაპარაკებები მიმდინარეობს ღიად და არა კულუარებში, — აცხადებს სუბისარეტა.

პეპმაც დაადასტურა, რომ გუნდი, სავარაუდოდ, ალექსის სანჩესით და სესკ ფაბრეგასით გაძლიერდება, თუმცა, “ბარსას“ მწვრთნელმა აღნიშნა, რომ თუ საქმე არჩევაზე მიდგება, მისთვის პრიორიტეტული თავდამსხმელის შემატებაა და არა ნახევარმცველის. ამით ალბათ ყველაფერია ნათქვამი. პეპმა აქო და ადიდა ჩილელი ვარსკვლავი, მან ალექსისის მისამართით სიტყვა “ვირტუოზიც“ არ დაინანა:

— ის მხოლოდ 22 წლისაა, ძალიან ნიჭიერია და შეუძლია შეტევის სამივე პოზიციაზე თამაში. ამასთან, გუნდის დაცვით ფუნქციებშიც იღებს მონაწილეობას, თამაშობს ვერტიკალურად და შეუძლია, მატჩის ბედი გადაწყვიტოს.

# უელსელები თბილისში ქველმოქმედებით ჩამოვიდნენ

უელსური “ლანელი“, რომელიც თბილისის “დინამოსთან“ გასამართი შეხვედრისთვის ემზადება, არც ქველმოქმედებას ივიწყებს და გუშინ დინამოელებთან ერთად ბავშვთა ცენტრ “ცისარტყელას“ ეწვია, სადაც საჩუქრებს გადასცემენ გაჭირვებულ და უპატრონო ბავშვებს.

ცალკე პიარ-აქცია გამართეს დინამოელთა ესპანელმა ლეგიონერებმა — ხისკო, კოტო და იაგუე გულშემატკივრებს მეტროსადგურ „რუსთაველთან“ შეხვდნენ და ბილეთების რეალიზებას თავადვე ახორციელებდნენ.

**ხისკო:**

— სასიამოვნოა მსგავს აქციაში მონაწილეობის მიღება. მომდევნო შეხვედრაში ჩვენ მაქსი-



მალურად კონცენტრირებულნი უნდა ვიყოთ, რათა აღარ გავიმეოროთ დაშვებული შეცდომები. გულშემატკივარს კი გამარჯვებას ვპირდებით.

**იაგუე:**

— ძალიან კარგია გულშემატკივრებთან ურთიერთობა და მე ეს მახარებს. ამ აქციაში მონაწილეობის მიღება სასიამოვნოა. ვფიქრობ



და იმედი მაქვს, რომ 21-ში სტადიონზე გულშემატკივრები მრავლად მოვლენ და დავამარცხებთ უელსელებს.

**კოტო:**

— მიხარია, რომ გულშემატკივრებთან ერთად ვართ და სასიამოვნოა მსგავს აქციაში მონაწილეობის მიღება. მომდევნო შეხვედრაში ჩვენს გულშემატკივრებს ლამაზ თამაშს და



პირველ რიგში გამარჯვებას ვპირდებით.

გუშინვე ორივე გუნდმა დღევანდელ მატჩათან დაკავშირებით ბოლო ვარჯიში ეროვნულ სტადიონზე გამართა.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**



## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. ავსტრიელი კომპოზიტორი; 2. რაიმე მოქმედების აღმძვრელი მიზეზი; 3. ქართული მშრალი სამარკო ღვინო, რომელიც იწარმოებოდა 1886 წლიდან, მინიჭებული ჰქონდა პირველი ნომერი; 4. კვანტური მექანიკის ერთ-ერთი ფუძემდებელი გერმანელი ფიზიკოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 5. მაღალმთიანი სოფელი მესტიის რაიონში; 9. საზეიმო მუსიკალური ნაწარმოები, სახელმწიფოს სიმბოლო; 10. ფანტასტიკური ჟანრის ამერიკელი მწერალი; 14. სპორტის სათამაშო სახეობა; 15. ხორცის პროდუქტების მწარმოებელი ავსტრიული ფირმა; 16. ისრაელის კალათბურთელთა გუნდი; 19. რუმინულ-მოლდოვური ხალხური მუსიკის შემსრულებელთა პატარა ანსამბლი; 21. ესპანეთის ძველი დედაქალაქი.

**თარაზულად:** 6. სახელმწიფოს ძირითადი კანონი; 7. სამეგრელოსა და ლეჩხუმში გავრცელებული წითელყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 8. აქვსენტი ცაგარელის პიესა; 11. მაბეზღარა, ჯაშუში; 12. ჯაზის ერთ-ერთი სტილი; 13. გადასახდელ სახურავიანი ძველებური ეტლი; 17. გადაშენებული გიგანტური ქვეწარმავალი; 18. ქართველი მოქანდაკე, რუსთაველის პრემიის ლაურეატი; 22. ებარელთა რელიგიური, საყოფაცხოვრებო და სამართლის წესების და კანონების კრებული; 23. გიგანტური აფრიკული ხე; 24. გემის ოფიციანტი; 25. ფუფუნებით განებივრებული ადამიანი.

*შეადგინა თ. გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ექსტაზი; 2. ტირე; 3. გოლფი; 4. აგრეჟე; 6. ბუდეშური; 9. ტოშიბა; 13. ჰუდზონი; 14. ტუგრიკი; 15. კაბალა; 17. ჰერიო; 18. ხომლი; 20. ჯარა.

**თარაზულად:** 1. ესტრადა; 5. უნაბი; 7. ზოოლოგი; 8. სპრინტი; 10. ხუნდი; 11. ფლატე; 12. ქაშერი; 16. ხუტორი; 17. ჰიჯრა; 19. დეკა; 21. მაროკო; 22. ჩიზელი; 23. პამირი; 24. ქიმერა.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ბარნელა; 2. ავოკადო; 3. ინტერნეტი; 4. ლევსკი; 5. ტიფანი; 9. ბოისა; 10. ენისელი; 14. სპირიჩუელი; 15. ტაქსაფონი; 19. აპლომბი; 16. კუკავა; 20. მასინე; 21. ფრახტი.

**თარაზულად:** 6. მაჭავარიანი; 7. ლუტეცია; 8. ენესკუ; 11. ტოსკანა; 12. ადანი; 13. ჰელიოსი; 17. ბატერფლაი; 18. ტიურინგია; 22. ცანგალა; 23. ვერსაჩე; 24. აბსოლუტი; 25. რიგოლეტო.



## იუმორი

ორი ტიპი გზაზე ფარს აყენებს წარწერით: „სდექ, აღსასრული უკვე ახლოა, სანამ გვიან არ არის, უკან დაბრუნდი!“ გვერდით სატვირთო ავტომობილმა ჩაუქროლათ, ფანჯრიდან წელამდე გადმოხრილმა მგზავრმა მუშტი ჰაერში შეატრიალა და გადმოსძახათ:

— წყეული სექტანტები, სულ გავიდნენ თავს.

მანქანა მოსახვევს მიეფარა, იქიდან საშინელი გრუხუნი და წყალში მძიმე სხეულის ჩავარდნის ხმა ისმის.

ერთი ტიპი მეორეს ეუბნება:

— მართალი იყავი, სჯობდა უბრალოდ დაგვეწერა „ხიდი დანგრეულია!“

***

— ამ სამსახურის დაკარგვისა ნუთუ ასე გეშინიათ?

— დაკარგვისა არა, იმის მეშინია, რომ სხვას ვერ ვიშოვი...

***

— ფრაზის „ძველით ახალი წლის აღნიშვნას აპირებ?“ ინგლისურად გადათარგმნის დროს კომპიუტერი დაეკიდა, შემდეგ კვამლი აუვიდა და დაიწვა...

***

ცოლმა ლატარიის რამდენიმე ბილეთი იყიდა.

— თუ მოვიგე, — ეუბნება ქმარს, — ძვირფას ქურქს ვიყიდი.

— თუ ვერ მოიგე? — ეკითხება ქმარი გესლიანი ხმით.

— მაშინ, შენ მიყიდი...

**გ. თ.**

## SMS-განცხადებები - 3090

### იყიდება

● სასწრაფოდ იყიდება 3-ოთახიანი ბინა ავჭალაში, მე-3 სართულზე, კარგ მდგომარეობაში. კარგი პარკეტით, დიდი სამზარეულო და დიდი აბაზანა ტუალეტით, მეტლახ-კაფელში. ფასი 34000 დოლარი. ტელ.: 555-10-58-33

# ნიკოლოზ რურუას „აგვისტოს 5 დღე“ შედევრად არ მიაჩნია

ეკა ირემაშვილი

ჰოლივუდში მოღვაწე რეჟისორის რენი ჰარლინის მიერ გადაღებულ ფილმთან „აგვისტოს ხუთი დღე“ დაკავშირებით მოსაზრებების ფრქვევა გრძელდება. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრს ნიკოლოზ რურუას არ დაუმალავს, რომ ჰარლინის ნამუშევარი შედევრი არ არის და „აგვისტოს 5 დღეს“ მინისტრი განსაკუთრებული მოლოდინით არც ელოდებოდა.

ამ საკითხზე ნიკოლოზ რურუამ „ეხო მასკვისთან“ ინტერვიუში ისაუბრა და განმარტა:

— შესაძლოა, ფილმი ვინმეს სწორხაზოვნად მოეჩვენოს, თუმცა საბოლოო ჯამში, ის საკმაოდ ნორმალურად არის გაკეთებული. მიყვარს ფილმები, მაგრამ არ ვარ ბლოკბასტერების მოყვარული. „აგვისტოს 5 დღე“ „ბოევიკის“ ჟანრისაა, თუმცა გაკეთებულია ნორმალურად. ეს არ არის შედევრი და მე დიდი მოლოდინები ამ ფილმთან დაკავშირებით არ მქონია. გამიხარდა თვითონ ის ფაქტი, რომ ფილმი ცნობილმა რეჟისორმა რენი ჰარლინმა გადაიღო. ამ ფილმით მილიონობით ადამიანი ომზე ბევრს გაიგებს. რენიმ სერიოზულად შეიყვარა ჩვენი ქვეყანა და ეს ფაქტი მახარებს. ის ჩემი ნაცნობია. ბოლო სტუმრობისას მკითხა კიდეც, ხალხო, არ მოგწყინდითო? ვუთხარი, არა-მეთქი, — ასეთი კომენტარი გააკეთა საქართველოს კულტურის მინისტრმა რენი ჰარლინის ფილმთან დაკავშირებით.

ნიკოლოზ რურუას არც ის დაუმალავს, რომ „აგვისტოს 5 დღე“ რენი ჰარლინისთვის სახელწიფოს არ შეუკვეთავს, მისი გადაღება ქართულ-უკრაინულმა კერძო კომპანიამ დააფინანსა.

რენი ჰარლინის ნამუშევარი კიდევ დიდხანს იქნება საზოგადოების განსჯის საგანი — გასულ თვეში ტელე-რადიოკომპანიამ „თრიალეთი“ „აგვისტოს 5 დღის“ შემქმნელებს სასამართლოში უჩივლა. ტელერადიოკომპანიამ ფილმის ის ეპიზოდი გააპროტესტა, რომელშიც მის შესახებ არაობიექტური ინფორმაცია აისახა. აღნიშნული ეპიზოდის მიხედვით, უცხოელი ჟურნალისტები ტელეკომპანიაში მასალის მიტანას ცდილობენ, მაგრამ შენობა დაკეტილია. ამ ეპიზოდში „თრიალეთის“ ლოგო და ჯაჭვით დაკეტილი კარია ნაჩვენები. „სინამდვილეში საქმე სულ სხვაგვარად იყო. ჩვენი კარი არა თუ დაკეტილი იყო, არამედ სწორედ ჩვენს ტელეკომპანიაში იყო განთავსებული მედიაცენტრი, საიდანაც ათეულობით ჟურნალისტი (მათ შორის მსოფლიოს წამყვანი მედიასაშუალებებიდან) ახალ ამბებს გადასცემდა. საომარი მოქმედებების დროს ყველა ველოდით, რომ პირველ დარტყმას სწორედ ჩვენ მივიღებდით. მიუხედავად ამისა, არც ერთ თანამშრომელს საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასადაც კი შენობა არ დაუტოვებია, ხოლო მას შემდეგ, რაც გორის ტელე-ცენტრი დაიკავეს, გადამცემი მწყობრიდან გამოვიდა და მოსახლეობის გაფრთხილების გარეშე ადგილობრივი ხელისუფლება, გუბერნატორი და სხვა სამართალდამცველი ორგანოები ქალაქიდან გაიქცნენ. მხოლოდ მაშინ დატოვა ქალაქი თანამშრომლების ერთმა ნაწილმა, თანამშრომელთა დიდი ნაწილი კი კვლავ ტელეკომპანიის შენობაში იმყოფებოდა. ტელეკომპანია „თრიალეთის“ კარი არც ერთი წუთით არ დაკეტილა. თუ ფილმის რეჟისორს დაკეტილი კარის გადაღება უნდოდა, მას შეეძლო, გუბერნიის შენობა გადაეღო. ხელისუფლება საკუთარი სარეკლამო ფილმით სამაგიეროს გვიხდის იმის გამო, რომ ჩვენს ეთერში მიუკერძოებელი და ობიექტური ინფორმაცია შუქდება, რაც მათთვის მიუღებელია. ასეთი საშინელი, შეკვეთილი სიცრუითა და ცილისწამებით ხელისუფლება ცდილობს, ჩვენი ტელეკომპანიის თანამშრომლების პროფესიული და ადამიანური ღირსება შელახოს. აქედან ნათლად ჩანს, თუ როგორ ხორციელდება ტელეკომპანიაზე ზეწოლა და რამდენად რთულ და საშიშ მდგომარეობაში გვიწევს მუშაობა. რეჟისორს ამ კონტექსტში „თრიალეთის“ ლოგოსა და შენობის ჩვენების არანაირი უფლება არ ჰქონდა. ჩვენ საქმე გვაქვს ფაქტების განზრახ დამახინჯებასთან, რაც ტელეკომპანია „თრიალეთის“ დისკრედიტაციას ისახავს მიზნად. დარწმუნებულები ვართ, რომ ეს ქვეყნის პირველი პირების დავალებით მოხდა. ტელე-რადიოკომპანია „თრიალეთი“ ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შელახვისთვის ფილმის რეჟისორის რენე ჰარლინის და პროდიუსერების პაპუნა დავითაიას და კობა ნაყოფიას წინააღმდეგ სასამართლოს მივმართავთ“, — ასეთი განმარტება გააკეთა ტელეკომპანიამ.

ფილმის კინოთეატრებში გამოჩენისთანავე ინტერნეტსივრცეში „აგვისტოს 5 დღის“ პირატული ვერსიები გავრცელდა. ამის შესახებ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას „საქართველოს ავტორთა საზოგადოებამ“ აცნობა. მთლიანობაში ფილმის პირატული ვერსია 10 სხვადასხვა ვებ. გვერდზე დაიდო. ამ ვებ. გვერდებზე კინემატოგრაფიული ნაწარმოები „საავტორო და მომიჯნავე უფლებების“ შესახებ საქართველოს კანონის დარღვევით განთავსდა. ამ ფაქტთან დაკავშირებით „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ“ საგანგებო განცხადებაც გაავრცელა: — ყველა ზომას მივმართავთ, მათ შორის მოსთხოვთ ვებ. გვერდის მფლობელებს აღკვეთონ კანონდარღვევა, ხოლო დარღვევის აღმოუფხვრელობის შემთხვევაში ვებ. გვერდების ჰოსტინგის უზრუნველმყოფ ავტორიზებულ პირებს მოვთხოვთ ვებ. გვერდების დაბლოკვას“.



„აგვისტოს 5 დღის“ საგანგებო ჩვენება გაიმართა კინოთეატრ „ამირანში“, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსისა და საქართველოს პარლამენტის წევრებისთვის. ჩვენების ორგანიზატორები საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო და „ემ ჯგუფი“ იყვნენ. ფილმის ჩვენების შემდეგ მოეწყო საზეიმო მიღება.

რენი ჰარლინის ფილმის პრემიერის შემდეგ კინოში ბოლო პერიოდში ხშირად აქცენტირებული კონფლიქტის თემას საჯარო დისკუსია „კინო და კონფლიქტი“ მიეძღვნა. დისკუსია თბილისის ადამიანის უფლებათა სახლის ორგანიზებით გაიმართა, რომლის მასპინძელიც საქართველოში ავსტრიის ბიბლიოთეკა იყო. დისკუსიაზე ძირითადი მომხსენებლები იყვნენ ნინია კაკაბაძე (ჟურნალისტი, კინოკრიტიკოსი), ჯანა ჯავახიშვილი (ფსიქოლოგი), ლალი პერტენავა (ხელოვნებათმცოდნე, მოდერატორი), ნატო ზაზაშვილი (ფსიქოლოგი, კავშირი „საფარი“). დისკუსიაზე დასწრება ნებისმიერ მსურველს თავისუფლად შეეძლო.

რუსეთ-საქართველოს ომის თემას მიეძღვნა საგანგებო სპექტაკლი ლაგოდეხის კულტურის ცენტრთან არსებულ თეატრში. „სტოპ რაშა“ — ასე ეწოდებოდა სპექტაკლს, რომლის რეჟისორიც ლევან წიქვაძე იყო. გასულ წელს ლაგოდეხის მიუნიციპალიტეტის „კულტურის ცენტრთან“ არსებულ თეატრსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის კახის რაიონის სოფელ ალიბეგლოს ქართულ თეატრს შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც თეატრები ითანამშრომლებენ და დადგამენ ერთობლივ სპექტაკლებს.

„სტოპ რაშას“ პრემიერა დასახული ურთიერთანამშრომლობის პირველი ნაბიჯი აღმოჩნდა. სპექტაკლში საინგილოს თეატრის მსახიობებიც იღებდნენ მონაწილეობას. სპექტაკლის პრემიერა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით გაიმართა. სპექტაკლს კულტურის სამინისტროს ხელოვნებისა და განათლების დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე ირინა საგანელიძე და ხელოვნების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი ზაზა სოფრომაძე ესწრებოდნენ.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის მეორე კორპუსში კი იურიდიული ბიბლიოთეკის დარბაზში აგვისტოს ომზე გადაღებული პოლონელი რეჟისორების დოკუმენტური ფილმის „სახლი“ პრეზენტაცია და დისკუსია შედგა, რომელსაც სპეციალურად პოლონეთიდან ჩამოსული ფილმის რეჟისორები უძღვებოდნენ. ფილმი სახელწოდებით „სახლი“ მოგვითხრობს 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შესახებ, სადაც ნაჩვენებია მოქალაქეების თვალით დანახული ომი. ფილმში არ ჩანს არც ტანკები,არც თვითფრინავები, არც შეიარაღებული ძალები. „სახლი“ — არის ამბავი იმ ხალხის, რომლებმაც საფრთხე იგრძნეს და თავშესაფარი მთებში ერთ-ერთ ოსურ ოჯახში მოძებნეს. ერთ ჭერქვეშ ცხოვრობდნენ სხვადასხვა ეროვნების ხალხი — რუსები, სომხები, ქართველები და ოსები. ესენი ყველა ერთად გააერთიანა ომის უარყოფამ, შიშმა, აღშფოთებამ და საკუთარი სახლებიდან გადახიზვნამ.

თუმცა ეს დასასრული არ არის — 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომი კიდევ ბევრი ხელოვანის შთაგონების წყაროა. აფხაზეთში უკვე იღებენ მხატვრულ ფილმს, ამის შესახებ ინფორმაციას ცხინვალური მედია ავრცელებს. ფილმს „2008-ის აგვისტო“ ეწოდება და მისი რეჟისორი ჯანიკ ფაიზიევია. ის წარმოშობით უზბეკია და გადაღებული აქვს ფილმები „თურქული გამბიტი“, „რუსეთის იმპერია“. ფილმების გადაღების პარალელურად, ჯანიკ ფაიზიევი რამდენიმე ფილმისა და სერიალის პროდიუსერია. გადაღებები ოჩამჩირის რაიონის სოფელ ჩლოუში მიმდინარეობს. ფილმზე მუშაობისას შემოქმედებითმა ჯგუფმა გადაღებები თავდაპირველად მთელ ჩრდილოეთ კავკასიაში დაიწყო, ბოლოს კი მხოლოდ აფხაზეთში გააგრძელა. ფილმში მსახიობებთან ერთად აფხაზეთის ადგილობრივი მცხოვრებნიც მონაწილეობენ. მთავარ როლებს კი იგორ ბეროევი, გოშა კუცენკო და სვეტლანა ივანოვა ასრულებენ.

ფილმის სცენარის მიხედვით მთავარი გმირი ქალის 7 წლის ვაჟი 2008 წლის აგვისტოში არდადეგებზე ე.წ. სამხრეთ ოსეთში იმყოფებოდა და დედა მის მოსაძებნად ჩადის. ფილმის გადასაღებად საჭირო თანხა ჯერ კიდევ გასულ წელს გამოყვეს. პროექტი კინოს მხარდაჭერის რუსეთის სახელმწიფო ფონდმა სოციალურად მნიშვნელოვან 13 ფილმს შორის შეიტანა და გადაღებისთვის საჭირო თანხაც სწორედ ამავე ფონდიდან გამოიყო.

# სამგლოვიარო განცხადებები

ავიაკომპანია „აირზენა“ ღრმა მწუხარებას გამოთქვამს თანამშრომლის

**ნუგზარ გაბრიჩიძის**

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

მუხრან ბაგრატიონი ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

**ნუგზარ გაბრიჩიძე**

და ღრმა მწუხარებით სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

პ.ბერაია, ბ.კილასონია, ა.გამყრელიძე, თ.კალანდაძე, ვ.ყურიჯანაშვილი, ტ.ღვაბერიძე, ვ.კიკნაძე, გ.ციხისთავი, მ.ტყეშელაშვილი, ი.ჭელიძე, ვ.კვარაცხელია, ს.მარსაგიშვილი, დ.გადელია, ვ.ხაზარაძე, გ.ნოზაძე იუწყებიან უახლოესი მეგობრის

**ნუგზარ გაბრიჩიძის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---



მეუღლე კუკური გორგაძე, შვილები დავით გორგაძე, ევგენი გორგაძე, რძლები ირმა თავართქილაძე, დიანა გორგაძე, შვილიშვილები ირაკლი გორგაძე, ანა-მარია გორგაძე, გიორგი გორგაძე, კახა გორგაძე, ძმა თემურ სამთელაძე, ძმისშვილები გიორგი, ნინო სამთელაძეები, მაზლები ბუჭა და მამია გორგაძეები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ნუნუ**
**სამთელაძე-გორგაძე**

პანაშვიდი: 21, 22 ივლისს;
დაკრძალვა: 23 ივლისს, 14 საათზე;
მისამართი: აგლაძის ქუჩა 34, IV კორპუსი, II სადარბაზო.

---

აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლობა აღმოსავლეთ საქართველოში მწუხარებით თანაუგრძნობს თანამშრომელ ნანა ცატავას დედის

**თინათინ ჯობავას**

გარდაცვალების გამო.

---



თავისუფალი საქართველო იტყობინება, რომ გარდაიცვალა პარტიის თავმჯდომარის მოადგილე

**გიორგი (გუგე) ცანავა**

გიორგი ცანავა პროფესიით გახლდათ ექიმი-ქირურგი. სხვადასხვა დროს მუშაობდა რუსეთისა და საქართველოს სამედიცინო დაწესებულებებში. 2002-2003 წლებში იყო ქ. წალენჯიხის საკრებულოს თავმჯდომარე. 2004-2008 წლებში იყო საქართველოს პარლამენტის დეპუტატი. 2010 წლიდან გახლდათ პარტია თავისუფალი საქართველო-ს თავმჯდომარის მოადგილე.

პარტია თავისუფალი საქართველო მწუხარებას გამოთქვამს და უსამძიმრებს გიორგი ცანავას ოჯახის წევრებსა და ახლობლებს.

პანაშვიდი: ხუთშაბათს და პარასკევს.

დაკრძალვა: შაბათს, 23 ივლისს 15:00 საათზე ქ. წალენჯიხაში.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# ნოდარ დუმბაძის დაბადების დღე რუსთაველის საზოგადოებამ აღნიშნა

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ამტკიცებს, რომ ეს ყველაფერი საკმაოდ იაფი ჯდება. დედაქალაქის მერია მსხვილი გამწვანებული და რეკრეაციული ტერიტორიების ჩამოყალიბებას მაქსიმალურ ყურადღებას უთმობს, რაც თბილისის განვითარების გენერალურ გეგმაშია ასახული. გამწვანების დიდ პროექტებს შორის კი აღსანიშნავია მზიურისა და ზოოპარკის გაერთიანების პროექტი, რომლის განხორციელების შედეგად ქალაქის ცენტრში სრულფასოვანი დასვენებისთვის მსხვილი ცენტრალური პარკი შეიქმნება, რომელიც ყველა საჭირო ინფრასტრუქტურით იქნება აღჭურვილი. პარკი 4 ნაწილად დაიყოფა და ყველა თაობის ადამიანისთვის დასასვენებელ და გასართობ ადგილად გადაიქცევა.

მსხვილი ურბანული პარკი, თამარაშვილის ქუჩისა და გმირთა მოედანს შორის, „მზიურისა“ და ზოოპარკის ტერიტორიაზე 950.000 კვ.მეტრ ფართობზე მოეწყობა. პროექტი ასევე ითვალისწინებს მზიურის პარკის შექმნის იდეას, რომლის განხორციელებაც გასული საუკუნის 80-იან წლებში სწორედ ნოდარ დუმბაძის თაოსნობით დაიწყო.

# TV პროგრამა

**ხუთშაბათი 21 ივლისი**

**06.30** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** ჩვენი დილა **11.00** სამოთხის ვაშლები **12.00, 16.00, 20.00** მოამბე **12.30** ევროპული არჩევანი **14.00** ცხოვრება მშვენიერია **15.00** სერიალი **"დოლმენი"** **17.00** ან. ფილმი "სამურაი" **18.00** მედ-ინფო **18.30** ჩვენი ფერმა **19.05** დოკ. ფილმი "ლეონარდო და ვინჩი" **19.40** პეპეს ზღაპრები **21.00** **ფეხბურთი**. ევროპის ლიგა. მეორე საკვალ. ეტაპი. გაგრა – "ანორთოსისი" (კვიპროსი) (პირდ.) **23.00** სი ბემოლი **00.00** ავტოპილოტი **01.00** მხ. ფილმი **"მედგარი გული"** (**12**) (ა. ჯოლი) **02.55** მოამბე **03.15** მხ. ფილმი **"ტუტანჰამონის წყევლა"** **1-2** ს. (**12**)

**08.00, 00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00, 12.00, 14.45, 17.45, 23.00** ბრიფინგის დროით **10.00, 22.00** თავისუფალი ტრიბუნა **11.00, 16.00** დოკ. ფილმი **14.00** საუკუნის პორტრეტები **17.00** მეხსიერება **19.00** დოკ. ფილმი "მილიონერები" **20.00** მხ. ფილმი **"შიმშილი"** **01.00** მხ. ფილმი **"ყასაბის ცოლი"**

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერიალი **"ცოდვილი"** **11.00** სერიალი **"მიმწყვდეული"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.30** კურიერი **12.30** სხვა ამბები **13.00** ბიზნეს-კურიერი **13.30** შუა დღე (პირდ.) **15.40** ეთამაშე ვარსკვლავს (გან.) **17.00** სერიალი **"ავრორა"** **18.45** სერიალი **"ქალის მსხვერპლი"** **19.45** სერიალი **"ახალგაზრდა ქვრივი"** **22.00** პროფილი (გან.) **00.00** შუა დღე (გან.) **02.00** პატრული **02.30** მხ. ფილმი (სუბტ.)

**08.05** ან. ფილმი "ალადინი" **08.30** ან. ფილმი "ელ ტიგრეს თავგადასავალი" **09.00, 11.00, 14.00, 17.00, 20.00, 02.45** ქრონიკა **09.15** საბ. სერ. "მონსტრებთან მებრძოლები" **10.00** სერიალი **"ლამაზი სიცოცხლე"** **11.40** სერიალი **"სიყვარულის ზღვა"** **12.30** დღის შოუ (პირ.) **13.45** ტვ-მარკეტი **14.40** ბოიარის ციხესიმაგრე **16.00** სერიალი **"მეტოქეები"** **17.40** სერიალი **"სიყვარულის ზღვა"** **18.40** სერიალი **"როცა სიყვარული მოდის"** **21.00** სერიალი **"დამალული სიმართლე"** **22.00** სერიალი **"შუა ქალაქში"** **00.00** რემონტი (გან.) **00.45** მხ. ფილმი **"ვიკი, კრისტინა, ბარსელონა"** (**18**) (პ. კრუსი) (სუბტ.) **03.10** მხ. ფილმი **"ცეცხლოვანი ველი"** (**15**) (შ. ტერონი) (სუბტ.)

**08.00** ანიმაცია **09.45** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **10.00** გოგიჩას დილა **11.00** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **13.00** "მზესუმზირა" (პირდ.) **14.30** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **15.30** პულსი **16.00** სერიალი **"ვნებათა მიწა"** **17.00** მხ. ფილმი **19.00** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **22.30** რეალითი-შოუ "მზის სახლი" დღიური **23.30** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **00.00** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **02.00** ფარული კამერა **02.30** მხ. ფილმი

**08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30** "დრო" **09.00** მუსიკა **09.30, 23.00** სერიალი **"სოფია, ცოტა მაღროვე"** **10.00** დოკ. ფილმი "გამოჩენილი ადამიანები" **10.40** სცენა **11.10, 14.10, 17.10** ინგლისურის გაკვეთილი **11.50, 21.00** სერიალი **"დაცვის უფლება"** **12.50, 19.30** სერიალი **"მეგობრები"** **15.00** სერიალი **"განებივრებული ლამაზმანი"** **16.00** სცენა **16.30** დროის ვექტორი **18.00** დოკ. ფილმი **00.00** მხ. ფილმი

ერთსულოვნება

**08.30** დილის პროგრამა "განთიადი" **10.00, 19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **10.30** პერსპექტივა **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00, 18.00** საეკლესიო კალენდარი **12.15** მხ. ფილმი **"მაგდანას ლურჯა"** **13.30** კონცერტი – რ. სებისკვერაძე **15.05** ახალი აღთქმის განმარტებანი **15.25** მხ. ფილმი **"ცისკარა"** **16.45** დოკ. ფილმი "ველური ბუნება" **17.10** დოკ. ფილმი "ირაკლი აბაშიძე" **18.05** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **18.15** დებიუტი – დოკ. ფილმების პროგრამა **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.30** მხ. ფილმი **"წკიპურტები"** **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.25** მიწათმოქმედი **21.40** გამოყენებითი ხელოვნება **22.20** მოკ. ფილმი "გოლა" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დოკ. ფილმი "ცეკვის არისტოკრატი" **00.30** განთიადის სტუმარი **01.00** კონცერტი – ანდრეა ბოჩელი

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

21 ივლისი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1,6688 |
| ევრო | 2,3929 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 2,6721 |
| რუსული რუბლი | 0,0598 |

## ამინდის პროგნოზი 21 ივლისისთვის

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 2§-31, ღამით — 17-29

**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 26-28, ღამით — 25-28

**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 24-26, ღამით — 14-17

სოხუმი 2§-27; ზუგდიდი 2§-27; ქუთაისი 27-28; გორი 39-31; თბილისი 39-31; ბათუმი 25-26; გურჯაანი 39-31





წამალი "ფერდი" შეიცავს არაერთ ბიოლოგიურად აქტიურ სამკურნალო ნივთიერებას. "ფერდი" დამამშვიდებელი, ტკივილგამაყუჩებელი, ანტისეპტიკური, ანტიმიკრობული და მაღალი ანტიოქსიდანტური აქტივობის მქონე მცენარეული წამალია.ის გამოიყენება, როგორც დამამშვიდებელი საშუალება ვეგეტონევროზის (უძილობა, აგზნებულობა, შიში, ნერვული აშლილობა, დაძაბულობა) დროს, როგორც ხველების დამაწყნარებელი, აგრეთვე კუჭ-ნაწლავის ,ქრონიკული ფაღარათის, ფილტვების, პირისღრუს, საშარდე გზების, სქესობრივი გზით გადამდები ინფექციური დაავადებების მკურნალობისას.

წამალი "ფერდის" მოქმედება განპირობებულია ფარმაკოლოგიურად აქტიური ნივთიერებების კომპლექსით .მათშორის უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია გლიკოზი და მიგდალინი, რომელიც კუჭის ფერმენტის ზემოქმედებით იშლება და გამოყოფს ტკივილ გამაყუჩებელი,ანესთეზიური,ანტიბაქტერიული და სპაზმოლიზური თვისებების მქონე ციანწყალბადმჟავას.

ნედლეულის შემადგენლობაში შედის ნაერთები — გლიკოზიდები: ამიგდალინი, პრულაურაზინი (ლაურაცერაზინი) და მისი სტერეოიზომერი პრუნაზინი, თავისუფალი ციანწყალბადმჟავა - 0,4 - 5%; მთრიმლავი ნივთიერებები - 25%, 0,5% ეთერზეთები, 2,7% ტრიტერპენოიდები (ურსოლის მჟავა-1%), პროანთოციანები, ფენოლკარბონმჟავები (ჰიდროლიზდება კოფეინის, პარა-კუმარის მჟავას წარმოქმნით), კატეხინები (დიმერული, ტრიმერული კატეხინები, ეპიკატეხინი, (+)-კატეხინი, (–)-ეპიკატეხინი), ვიტამინი C, სტეროიდები (ბეტა-სიტოსტერინი, სტიგმასტერინი, ქოლესტერინი), ფლავონოიდები, რომელთა ჰიდროლიზით მიიღება ქვერცეტინი;

პრეპარატის ანტიოქსიდანტური აქტივობაა 72-85%;

წამალი "ფერდი" იკითხეთ აფთიაქებში. დალუქულ ქილაში მოთავსებულია 90 კაფსულა, თუ შეიძენთ ცალობით თითოეულ კაფსულაზე უნდა იყოს წარწერა "ფერდი". 2011 წელს მისი ფასი არ უნდა აღემატებოდეს 30 ლარს.

გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახები ნფორმაციისთვის მიმართეთ ექიმს.

WWW.PHERDI.GE ☎ 295-90-60

ექიმის კონსულტაცია უფასოა.

მის: დავით აღმაშენებლის გამზ.146


# უეფამ „ზესტაფონს“ შინ თამაშის ნება არ დართო

**ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურმა გაავრცელა ინფორმაცია, რომელიც ქართული ფეხბურთის, განსაკუთრებით კი „ზესტაფონის" ქომაგებს გულს დასწყვეტს — უეფადან მისულ წერილში ნათქვამია, რომ „ზესტაფონი" ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზე მეტოქეს დავით აბაშიძის სახელობის არენაზე ვერ უმასპინძლებს.**



მოგეხსენებათ, ეს უფლება უეფამ „ზესტაფონს“ „დაჩიასთან“ შეხვედრისას დაფიქსირებული უწესრიგობების გამო ჩამოართვა. გულშემატკივრები იმედოვნებდნენ, რომ ევროფეხბურთის მამები გადაწყვეტილებას შეცვლიდნენ, მაგრამ ასე არ მოხდა და უეფამ სტადიონის დაცვის უყურადღებობა დაუსჯელი არ დატოვა.

— საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ კლუბს უეფასთან საგანგებო წერილით უშუამდგომლა, რომლითაც „ზესტაფონისთვის“ საშინაო არენაზე თამაშის უფლებას სთხოვდა. წერილს ერთვოდა იმერეთის სამხარეო ადმინისტრაციისა და კლუბის თხოვნა. სამწუხაროდ, უეფამ ქართული მხარის თხოვნა არ დააკმაყოფილა და ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპის მომდევნო მატჩს „ზესტაფონი“ თბილისში, ბორის პაიჭაძეზე ითამაშებს. უეფას წერილში ნათქვამია, რომ ზესტაფონის სტადიონზე დაცვის სამსახურის მუშაობა ძალიან დაბალ დონეზეა და, მიუხედავად იმისა, რომ შარშან კლუბს მიეცა უფლება, მესამე საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩი ლვოვის „კარპატისთან“ საკუთარ არენაზე ეთამაშა, წლეულს უეფა ამ დათმობაზე არ წავა, — წერია საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ვებგვერდზე.

წერილს ხელს აწერს უეფას კლუბების საშეჯიბრო კომიტეტის მენეჯერი კეიტ დალტონი, რომელიც იმედს გამოთქვამს, რომ თუ მომავალი წლისთვის „ზესტაფონი“ ევროთასებზე ასპარეზობის უფლებას მოიპოვებს, მისი სტადიონი წესრიგში იქნება და სრულად დააკმაყოფილებს უეფას მოთხოვნებს.

მ. ჟ.


# 11 ივლისიდან

## იყიდება

## „ახალი თაობის“ და „საოჯახო ბიბლიოთეკის“

100 წიგნი

# სუპერპროექტის

## ადამიანები, რომელთაც შეცვალეს მსოფლიო

ტომი 8

## ვაჟა-ფშაველა

**გაზეთი და წიგნი ერთად 8 ლარი**





## ასტროპროგნოზი 21 ივლისისთვის

### ჰარმონიული დღეა

**ვერძი** — საქმიანი მოლაპარაკებებისგან თავი შეიკავეთ. რისკი არ არის გამართლებული. **კურო** — კონფლიქტური დღეა. ერიდეთ მკვეთრ გამოთქმებს. **ტყუპები** — ნებისმიერ საქმეს შემოქმედებითად მიუდექით. **კირჩხიბი** — წადით საყიდლებზე. ნავაჭრი იღბლიანი იქნება. **ლომი** — მნიშვნელოვანს ნურაფერს დაგეგმავთ. წვრილმანი საქმით დაკავდით. **ქალწული** — იაქტიურეთ. დღეს ყველა საქმე გამოგივათ. **სასწორი** — ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. არ დალიოთ. **მორიელი** — დაისვენეთ და გაერთეთ. ეს დღე საკუთარ თავს მიუძღვენით. **მშვილდოსანი** — საყვარელ ადამიანს მეტი ყურადღება დაუთმეთ. **თხის რქა** — იყავით მიზანდასახული. რისკი გაამართლებს. **მერწყული** — ენერგიის მოზღვავებას იგრძნობთ. იაქტიურეთ. **თევზები** — გადით ქალაქგარეთ. იმუშავეთ ბაღში.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## კროსვორდი

**შვეულად:** 1. სახელმწიფო კავკასიაში; 2. ქართული სპორტული გაზეთი; 3. მუსიკალური წამყვანი დისკოთეკაზე; 4. რომან „დათა თუთაშხიას“ პერსონაჟი; 6. ისტორიული რკინიგზის ვაგზალი ლონდონში; 9. ტბა, ქალაქი, კანტონი შვეიცარიაში; 13. ფანტასტიკური შინაარსის ხალხური ნაწარმოები; 14. კომპიუტერული თამაშების მოყვარული; 15. სია, ჩამონათვალი რაიმეს მიღება გაცემის შესახებ; 17. ცხენის ერთგვარი სვლა; 18. ბოსტნეულის მავნებელი მწერი; 20. სასიძო ქორწილში.

**თარაზულად:** 1. ქართული ყველი; 5. არწივის ძველი ქართული სახელწოდება; 7. ნახევარკუნძული ევროპაში; 8. საგნის ნატურალური ზომის მოდელი; 10. თეთრყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 11. ქართველი კინორეჟისორი; 12. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი ბორჯომ-ხარაგაულის ნაკრძალში; 16. ფრანგი კინოვარსკვლავი ქალი; 17. მაღალყელიანი ფეხსაცმელი; 19. სოფელთა სახელწოდება ჩრდილო კავკასიაში; 21. რეგიონი კახეთში; 22. დედამიწის თანამგზავრი; 23. ტროპიკული პალმის ნაყოფი; 24. აეროპორტი მილანში.

*შეადგინა თ. კოპალეიშვილმა*



ლურჯი წითელი ყვითელი შავი